



# ისტორიული ხამკვიდრეობა

სამთხოველო-პოპულარული ჟურნალი, პირველი, 2010 წ. ფასი 3 ლარი



**№7**  
(9)

**4** სეღსან-საგა  
ორგანიკი

**7** ერეკლე  
ხეორე  
პროგლობათა  
გადაჭრის  
პირაპი

საქართველო-  
**11** აუსეთის  
ერთიანობის  
სათავეებთან

ქართველი  
მცენარეების  
**15** კარები  
რასეთსა და  
უკრაინის

ქართველი  
სასელიარო  
მოძახვა  
**21** იორეა  
სახელი

„ერთად  
საქართველო  
რასეთი და  
ქართველი“  
— აღმო-  
სავლეთის  
**23** რეაგზი

ლეკიანონა  
**29** XVIII  
საუკანოს  
ხეორე  
ცავევარში

ერთად —  
სამართლო  
როს  
**35** გზები

2008 წლის  
აგვისტოს  
მოვლენება  
**41** მშირე  
ისტორია

საქართველოს  
სამხედრო  
**48** გზა

ვაჟა-პეტრის დაბანის „დოკარსარე“  
VIII-IX ს. დაბანის „რ-ნი“



გელა მამიაშვილის ფოთი

# სარჩვი

■ ღიდი მაგალითები	
სელსან-სპა რჩევის	4
■ მაცხოვი ტერიტორია	
ერეკლე გეორგი აროგლევათა გადაჭრის მიერავი	7
■ პოლიტიკური	
საქართველო-რუსის ერთობლივობის სათავის	11
■ გულფურული კავშირები	
ქართული მწერლობის კარიბი რუსთა და უკრაინეთი	15
■ ქართველი სასელის მოძვალევა,	
გესტავე იოსებ სახაელი (ქორეგულაშვილი)	21
■ უცლის რჩეული ქვეყნის სეიდრი	
„ერთად ცარები რუსი და ქართველი“ – აღმოსავლეთის მიერავი	23
■ ლეკიონება XVIII საუკის გეორგი ცავარები	29
■ უცხო თვალით	
დასავლელი აცლიტიკოსები რუსთა კოლოტიკაზე ევკასიაზი	32
■ ჩვენი ისტორია	
ერთად – სამამელო როს გზები	35
■ პოზერეცია	
2008 ცლის აგვისტოს როს: კოლოტიკაზი, ცერცომიკური და სელის-მორალური უძიგვები	38
■ სახალისურო აზგისტო	
2008 ცლის აგვისტოს მოვლენისა მშრალი ისტორია	41
■ თეატრის სათავეებითან	
სახიობანი (საცხაობანი) ქველ საქართველოში	45
■ დარგობრივი ფრაზითი	
ცეკვლას უკროვი და აბრევამის მუხური თბილისები	47
■ საქა შეღებიანი	
საქართველოს სამხატვრო გზა	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

მთავარი რედაქტორი თემურ ერისძე

მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97



# სულხან-საბა რჩების

სულხან-საბა ორბელიანი იყო შთამომავალი დიდად შეძლებული და გავლენიანი ფეოდალის — ყაფლანისა და მე „საქართველოს ბჭეთ-მთავრის და მოსამართლეთ უხუცესის“, ყაფლანის შვილისა, ვახტანგისა. დედამისი თამარი იყო ასული ანტისპარსული მოძრაობის მეთაურის და სულისჩამდგმელის ზაალ, არავეის ერისთავისა. სულხანის პაპა და მამა ძალიან დაახლოებული იყვნენ სამეფო ოჯახთან, რადგანაც ასული ყაფლანისა და დაი ვახტანგისა, როდამი, მეუღლე იყო ვახტანგ V შავნავაზისა. ვახტანგ V-ის შვილები: არჩილი, გიორგი, ლევანი და სხვანი არიან სულხანის მამიდაშვილები, ხოლო სულხანი მათი ბიძაშვილი, სულხანს დოკუმენტებში ენოდება ბიძა მეფის ვახტანგ მეექვსისა, რადგანაც, თოსკანის არქივის ერთი დოკუმენტის ცნობით, ვახტანგი ვითომც იყო დისშვილი სულხანისა. ეს ცნობა შეუწყნარებელია: შეუძლებელია ვახტანგ მეფის მამას ლევანს შეერთო სულხანის და, რომელიც მას ბიძაშვილად ხდებოდა, ანდა ვახტანგ ორბელიანს მიეთხოვებინა თავისი ქალი დისშვილისათვის. თან ისტორიიდან ცნობილია, რომ ვახტანგის დედა იყო ქაიხოსრო გურიელის ასული თუთა და არა ორბელიანის ქალი (შეადგ. ვახტანგ მეექვსის მიერ დაბეჭდილი ნიგნების წინასიტყვაობა). სულხანს ბიძა ვახტანგისა ენოდება როგორც ვახტანგის მამის ლევანის ბიძაშვილს.

დაბადებულა სულხანი დმანისის ახლოს, ს. ტანძიაში „ქართულსა ქორნიკონსა ტმ (1658), ოქტომბერ-სა კდ (24), რომელი ლათინურად ოთხი ნოემბერი იქნება, დღესა კვირიკესა, შუალამის ჟამსა“. 1658 წელს 24 ოქტომბერი მართლაც კვირა დღეს მოდიოდა, მაგრამ ლათინურად, ესე იგი, ახალი სტილით უდრიდა არა ოთხს, არამედ — სამს ნოემბერს (24+10=31=3).

სულხანის სწავლა-აღზრდაზე დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო ოჯახს, განსაკუთრებით მის მამას ვახტანგს და ბატონიშვილს, შემდეგ მეფეს, გიორგი მე-11-ს. ესენი, ალბათ, ზოგად ხელმძღვანელობას უწევდნენ და სათანადო მიმართულებას აძლევდნენ მისი აღზრდის საჯემეს. ამა თუ იმ კერძო დისციპლინაში მას საგანგებო მასწავლებლები უნდა ჰყოლოდა.

სულხანის განათლებას ფართო დიაპაზონი ჰქონდა. როგორც მისი ობზულებებიდან ჩანს, მან კარგად იცოდა ღვთისმეტყველება და სასულიერო მნიერობა, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, მათემატიკა, ფილოლოგია და ენები. ჩვენში ძველად სათანადო ყურადღებას აქცევდნენ უცხოენების შესწავლას, განსაკუთრებით მის ხალხისათვის, რომელიც თავისი თავისი მას დახმარებას მიმართავდა ხოლმე. და თუ მას ამ ენების სიტყვებიც შეაქვს თავის ლექსიკონში, ეს სხვების დახმარებით. მოვიგონოთ, მაგალითისათვის, მდვდელმონაზონი სერგიოსი, რომლის დახმარება ლექსიკონის შედგენისას, როგორც თვითონ სულხანი ამბობს, სავალალო აღმოჩენილა. გაუგებარია სულხანის ბიოგრაფიაში ერთი რამ, ცნობილია, რაოდენ გავრცელებული იყო ჩვენში სპარსული ენის ცოდნა, განსაკუთრებით მაღალ წრეებში და ისეთ მოღვაწეთა შორის, როგორიც საბა იყო; ეს ცოდნა პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ კულტურულ-ლიტერატურული საჭიროებითაც იყო გა-

სათვის. მართალია, სულხანი თვითონ აღიარებს, რომ, ქართულის გარდა სხვა ენა არ ვიცოდიო, მაგრამ ეს არის, ასე ვთქვათ, თავისებური თავმდაბლობა; ყოველ შემთხვევაში მან თურქული ენა კარგად იცოდა, უნდა სცოდნოდა მას აგრეთვე სომხურიც. რაც შეეხება ევროპულ ენებს, ის თავები იყო წვრილად დანერილი; „მე ხომ სხვას, ასოს მეტს, არას ვიცნობდიო“. ერთი ცნობის მიხედვით (გრანდუკა კოზიმი მესამის არქივიდან), სულხანმა „ქართულისა და თათრულის მეტი სხვა ენა არ იცის“. ერთი სიტყვით, მან ევროპული ენები არ იცოდა, ევროპაში მოგზაურობისას ის თარჯიმნის (პატრები: რიშარი, სილიბისტრო და ანჯელო) მეშვეობას მიმართავდა ხოლმე. და თუ მას ამ ენების სიტყვებიც შეაქვს თავის ლექსიკონში, ეს სხვების დახმარებით. მოვიგონოთ, მაგალითისათვის, მდვდელმონაზონი სერგიოსი, რომლის დახმარება ლექსიკონის შედგენისას, როგორც თვითონ სულხანი ამბობს, სავალალო აღმოჩენილა. გაუგებარია სულხანის ბიოგრაფიაში ერთი რამ, ცნობილია, რაოდენ გავრცელებული იყო ჩვენში სპარსული ენის ცოდნა, განსაკუთრებით მაღალ წრეებში და ისეთ მოღვაწეთა შორის, როგორიც საბა იყო; ეს ცოდნა პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ კულტურულ-ლიტერატურული საჭიროებითაც იყო გა-

მონვეული. სულხანმა სპარსული ენა თითქოს არ იცოდა. ეს მოულოდნებული და გაუგებარი იქნებოდა. საბამ, უნდა ვიფიქროთ, სპარსული ენა იცოდა, იცოდა არა ნაკლებ, ვიდრე სხვარმელიმე უცხოენა, ამას ადასტურებს მისი რედაქტორული მუშაობა „ქილილა და დამანას“ ვახტანგის სულხან თარგმანზე. ვახტანგს თავის ტექსტში უთარგმნელად შეუტანია მრავალი სპარსული სიტყვა; საბას „უმრავლესობა ასეთი სიტყვებისა ისეთი სიზუსტით უთარგმნია, რომ, საფიქრებელია, სპარსული ენის კარგი მცოდნის დახმარებას მიმართავდა, ის მათ თარგმნის, ხშირ შემთხვევაში, ენის კარგად მცოდნე პირის მეშვეობით“. რასაკვირველია, საფიქრებელი არაა, რომ საბას ეს გაეკეთებინოს სპარსულის კარგად მცოდნე სხვა პირის მეშვეობით და დახმარებით, ამას გამორიცხავს ლოტერატურული მხარე მის მიერ რედაქტირებული თარგმანისა. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დღეს ჩვენს ხელშია, ირკვევა, რომ სულხანს ორი მეუღლე ჰყოლია. პირველი „ბაგრატიონთ ასული დარეჯანი“, გარდაიცვალა 1683 წელს, ხოლო მეორე სამცხეს ათაბაგის ასული თამარი, 1709 წელსაც ცოცხალი ყოფილა, როგორც მაღალ წრეებში და ისეთ მოღვაწეთა შორის, როგორიც საბა იყო; ეს ცოდნა პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ კულტურულ-ლიტერატურული საჭიროებითაც იყო გა-

გარეჯის მრავალმთის ნათლის მცემლის მონასტერში, ალბათ, ცოლქმრის ურთიერთშეთანხმებით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, და არა მათ შორის რაიმე კონფლიქტის გამო, რომელსაც მათი განქორწინება უნდა მოჰყოლოდა. რამ გამოიწვია სულხანის ბერად შედგომა? საფიქრებელია, სულხანის ბერად შედგომა, რასთან დაკავშირებითაც მან სახელი სულხანი საბად შეიკვალა, გამოწვეული იყო სულხანის პოლიტიკური იდეალების დამისწრაფებათა კატასტროფით. ეს იყო ის დრო, როდესაც გამწვავებული ბრძოლა წარმოებდა ქართლის ტახტისათვის გიორგი XI და ერეკლე I შორის. სულხანი ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა თავისი მამიდაშვილისა და აღმზრდელის სასარგებლოდ, რისთვისაც დიდი რეპრესიები განიცადა მამულების კონფისკაციითა და სამშობლოდან გაძევებით (იმერეთსა და ახალციხეში) გათავებული. ეს ბრძოლა გიორგის დამარცხებით გათავდა; 1696 წელს ის იძულებული შეიქნა, სპარსეთში შაჰს ხლებოდა და იქ დარჩენილიყო. სულხანი, ალბათ, მოლოდინში იყო, იქნებ გიორგიმ სპარსეთში საქმე გამოასწოროს, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ შაჰი გიორგის სამშობლოში დაბრუნების მაგიერთავის საკუთარ საქმეებს აკეთებინებდა, ხოლო ერეკლე საბოლოოდ განმტკიცდა ქართლში, ყოველგვარი იმედი დაკარგა, პოლიტიკურ საქმიანობასა და სამოქალაქო ცხოვრებაზე ხელი აიღო, თავისი ქონება (ადგილ-მამული) ძმებს დაუტოვა და მონასტრის კიდოლებს შეათარა თავი.

სულხანმა, შეიძლება ითქვას, აჩქარებული ნაბიჯი გადადგა, რამდენიმე წელიწადი რომ დაეცადა, მას ჩვენ ბერად ვერ ვიხილავდით. საქმე ისაა, რომ მალე გიორგის საქმეები გამოსწორდა, შაპმა მას ქართლის ტახტი დაუბრუნა, რაც ერეკლეს აცნობა კი-დეც. თუმცა გიორგი უკან აღარ დაბრუნდა, მაგრამ ტახტის გამგედ დაინიშნა მისი ძმის შვილი და სულხანის მამის დისშვილი ვახტანგი (1703 წ.), ესე იგი სულხანის იდეალი გაცოცხლდა, მკვდრეთით აღდგა. ამით აიხსნება, რომ მან უმალვე დატოვა მონასტრის კედლები და პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მორევში ჩაიძირა. სულხანის ჭკუა-გონებას, განათლებასა და გამოცდილებას დიდად აფასებდა მისი მონათე-

სავე სახლი ვახტანგ მებუთის მემკვიდრებისა, კერძოდ, ვახტანგ VI. ჯერ იყო და 1710 წლის 1 დეკემბერს ის გაინვია ხვარასანში ვახტანგის მამ ქაიხოსრომ საჭირო საქმეების გამო, უკან დაბრუნდა 1711 წლის 20 ოქტომბერს. 1712 წლის 23 აპრილს ის მიჰყება ისპაპანს ვახტანგს და უკან ბრუნდება იმავე წლის 20 დეკემბერს. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ვახტანგს ევროპის ორიენტაცია აუღია, საფრანგეთთან დიპლომატიური მინერ-მონერა გაუმართავს, ალბათ აღმოსავლეთში მყოფი მისიონერების საშუალებით. შემონახული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მას საფრანგეთის მეფისილუ მე-14 წერილები მიუღია. გადაუწყვეტია გაგზავნა ელჩისა, რომლის როლში საბას ვხედავთ. 1713 წლის 18 აგვისტოს საბა გაპყვა კიდევაც რიშარს და ლუ მე-14 ვახტანგის წერილები წაუღო. ევროპაში ის დიდი პატივით მიიღეს როგორც პაპმა, ისე ლუ მე-14, რომელსაც ის ორჯერ წარუდგა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ საბა ამ დროს კათოლიკე იყო.

როდის გაკათოლიკდა საბა? არსებობს კათოლიკე მისიონერთა ორი ცნობა; ერთის მიხედვით, საბამ 1687 წელს აღიარა კათოლიკობა, მეორეთი კი — 1692 წ. არც ერთთა მართალი, არც — მეორე. საბას კეთილგანწყობილება და მიდრეკილება კათოლიკობისადმი, რომელსაც ის იჩენდა მისიონერთა წინაშე, უკანასკნელებმა, ალბათ, ისე გაიგეს, რომ ის უკვე ფორმალურად კათოლიკეა. მაგრამ საბას ამ შემთხვევაში შეეძლო ეთქვა ის სიტყვები, რომელთაც მისი „სწავლანის“ მიხედვით, ამბობდა, თურმე, ზოგიერთი მაპმადინობაში გადასული პირი: „გულითა არ მიყოფიეს უარი, ოდენ ბაგითა ვთქვით“. ფორმალურად საბა 1701 წელსაც „მართლმადიდებელია“; ამ წელს მას დაუწერია „სამოთხის კარი“, რომელშიაც არავითარი კვალი კათოლიკობისა არაა, ის წმიდა მართლმადიდებლობითი თხზულებაა. არაა არავითარი კვალი კათოლიკობისა არც მის „სწავლანში“, რომელიც ყალიბდება 1698-1710 წლებში და რომელიც საკითხავი წიგნი იყო ნათლისმცემლის უდაბნოში. ამ თხზულებაში არის ერთი ქადაგება „უძროოდ და ურგებად სინანულისათვის“, რომელშიაც გაკიცხული და უარყოფილია უდროო, ესე იგი, დაგვიანებული სინანული. ასეთი სინა-

ნული კათოლიკურმა ეკლესიამ არ  
იცის, აქ მისაღებია ყოველი დროის  
სინაზული, არა მარტო წარსულისა  
თუ აწინდელისა, არამედ — მომავ-  
ლისაც.

საბას კათოლიკობა უნდა მიეღო  
ფორმალურად დაახლოებით 1713  
წელს, როდესაც მან გამოაქვეყნა კა-  
თოლიკური რედაქცია „სამოთხის  
კარისა“; აქ უკვე პაპისტური დოგმა-  
ტები გაშიშვლებულადაა წარმოდგე-  
ნილი. მაშასადამე, 1712-13 წლებზე  
ადრე საბა ფორმალურად კათოლი-  
კე არაა, ასეთად უნდა გამხდარიყო  
ის 1712 წლის 23 აპრილიდან, როდე-  
საც ის ვახტანგის მიშვება ისპაანს,  
სადაც საბოლოოდ გადაწყდა მისი  
ევროპაში წარგზავნა, 1713 წლის 18  
აგვისტომდე, როდესაც ის მართლაც  
გაუდგა შორეულ გზას.

გამორიცხული არაა, რომ ფორმა-  
ლური ცერემონია საბას კათოლიკო-  
ბაში გადასვლისა შესარულა სპარ-  
სეთში რომელიმე იქ მყოფმა მისიო-  
ნერმა, შეიძლება რიშარმაც, რომე-  
ლიც, როგორც ცნობილია, მისი მე-  
საიდუმლე იყო. ქართლში ამ ცერე-  
მონიის შესრულებას საბა უთუოდ  
მოერიდებოდა, რათა ზედმეტად არ  
გაელიზიანებია ისედაც მის წინააღ-  
მდევ ამრეზილი საზოგადოებრივი  
აზრი და განწყობილება. საბას გაკა-  
თოლიკება გამოწვეული იყო არა კა-  
თოლიკობის, როგორც გარკვეული  
რელიგიური სისტემის, უპირატესო-  
ბის შეგნებით, არამედ პოლიტიკური  
მოსაზრებით. ამ აქტით საბას უნდო-  
და თავისი საქმისადმი (ან უკეთ ქარ-  
თული საქმისადმი) უფრო მეტად მი-  
ეკცია პაპისა და აღმოსავლეთის კა-  
თოლიკეთა მფარველის — საფრან-  
გეთის ყურადღება. პოლიტიკური  
მოსაზრებით, ჩვენი ცხოვრების მეს-  
ვეურნი არა მარტო ბერძნებული და  
რუსული მართლმადიდებლობის წი-  
ნაშე იხრიდნენ ქედს, ხშირად მაპმა-  
დიანობასაც იღებდნენ. რა გასაკ-  
ვირველია, თუ ისინი ამ მოსაზრებით  
კათოლიკობასაც უცხადებდნენ თა-  
ნამდებობას.

საბა კათოლიკობას ბოლომდე არ  
შერჩენია. როდესაც ის დარწმუნდა,  
რომ კათოლიკობაზ ვერ გაამართლა  
ის მისინაფეხანი და იდეალები, რო-  
მელთა გულისათვის მან რომის პრი-  
მატობა აღიარა, უკანვე დაუბრუნდა  
ის მამაპაპეულ აღსარებას. განა ასე  
არ მოიქცა ანტონ | კათალიკოსი, გა-  
ნა ცოტა იმის მაგალითები, როდე-  
საც პოლიტიკური მოსაზრებით გა-



მაჰმადიანებული მეფეები ხშირად ისევ ქრისტიანობას უბრუნდებოდნენ (არჩილი, ვახტანგი და სხვ)? ეს უნდა მომხდარიმყო 1722 წლის ივლისის შემდეგ, როდესაც რუსეთის მეფემ, პეტრე დიდმა, ვახტანგ VI მიიწვია მასთან ერთად სპარსეთის წინააღმდეგ გასალაშერებლად. ეს მიწვევა ვახტანგს, თავისთავად იგულისხმება. ძალიან გაეხარდა. იმწამსვე მან საჯაროდ უარყო მაჰმადიანობა და ქრისტიანობა აღიარა. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ საბაც შესაფერ ნაბიჯს გადადგამდა და კათოლიკობიდან მართლმადიდებლობაში გადავიდოდა. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ქართველები, რომელთაც კარგად იცოდნენ, რომ მდროს რუსეთში კათოლიკობას აღმაცერად უცქეროდნენ (მოვიგონოთ, თუ როგორ უცურებდა პეტრე დიდი მის წარმომადგენელს, სტეფანე იავორსკის), მოსკოვში წასვლისას მას საპასუხისმგებლო პოლიტიკურ დავალებას ვერ დააკისრებდნენ. თან გარდაცვალების შემდეგ ვსეხსვიატსკოეში, ქართველთა მართლმადიდებელ ეკლესის გალავანში ვერ დაასაფლავებდნენ, ეს ეკლესის კანონით აკრძალული იყო.

ევროპიდან საბა გამობრუნდა ცარიელი დაპირებებით. საქართველო მეტად მიმზიდველი და საინტერესო იყო საფრანგეთისათვის როგორც აღმოსავლეთში, კერძოდ სპარსეთში, გასავლელი გზა მისი სავაჭრო კაპიტალისათვის, ამიტომ იმ საქმების მოგვარება, რასაც საბა მოითხოვდა, მისთვის ხელსაყრელი იყო; მაგრამ საფრანგეთს ეს არ შეეძლო, რადგანაც ის უფრო დაინტერესებული იყო სპარსეთთან 1708 წელს დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხით; ამ ხელშეკრულების მუხლები განსაკუთრებულ შეღავთებს ანიჭებდა ფრანგ ვაჭრებს სპარსეთის ტერიტორიაზე. ამ რატიფიკაციის დასაჩქარებლად შედგა გარდანის ელჩინბა სპარსეთში; ალბათ, ამავე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად საფრანგეთს, როდესაც საბა იქ იყო, ეწვია სპარსეთის ელჩი მოჰამედ რიზა-ხანი, რომელსაც პარიზში საზოგადოებრივი მოუნიკარებების და სამართლებრივი მიზანის მისამართში მიმდინარეობდა. ამავე ხელშეკრულების მიზანი კათოლიკობის სასარგებლოდ იბრძოდა. მაგრამ რა დაუშავა მან იესე მეფეს, რომელიც, საბა სიტყვით, „ვერც იმაზე იყო კაის გულითა“. მისთვის, როგორც მაჰმადიანისთვის, სარწმუნოების თვალსაზრისით, თითქოს სულ ერთი უნდა ყოფილიყო, საბა კათოლიკე იქნებოდა თუ მართლმადიდებელი, ეს, ერთი შეხედვით, ნამდვილად კი სულ ერთი არ იყო. კათოლიკობის გავრცელებას ჩვენში მოჰკვებოდა ირანის საწინააღმდეგოდ ევროპაზე პოლიტიკური ორიენტაცია, ეს კი მიუღებელი და შეუწყნარებელი იყო იესესათვის, როგორც მაჰმადიანური ირანის მომხრისთვის. ამასთან, იესემ იცოდა, რომ საბა იბრძოდა ვახტანგის ინტერესებისათვის, რაც მას მოსვენებას არ აძლევდა. უფრო საინტერესოა ის, რომ საბა და ვახტანგს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რომლის შედეგი იყო ის, რომ მეფემ ჩამოიშორა თავისი აღმზრდელი, ღვანლოსილი თანაშემწე და მესაიდუმლე, რომელიც ოდესლაც „საქართველოს მამად“ იყო აღიარებული. საბა



ევროპიდან გამობრუნებული საბა გზადაგზა ჩერდებოდა სტამბოლს, ტრაპიზონსა და სხვა ქალაქებში, ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ, 1716 წლის ივლისში, სამშობლომდე მოაღნია. საქართველოში მან ჩამოიყანა სამი კაპუცინი და ერთი იეზუიტი (შირვანისათვის).

სამშობლოში დაბრუნებულ საბა დაუწყეს დევნა და ძლიერ ანუხებდნენ. ამას რომ მართლმადიდებლობის წარმომადგენელი სჩადიოდნენ, გასაკვირ არ არის — საბა მართლიკობა მიიღო, კათოლიკობა მისიონერები ჩამოიყანა თან და საქართველოში კათოლიკობის სასარგებლოდ იბრძოდა. მაგრამ რა დაუშავა მან იესე მეფეს, რომელიც, საბა სიტყვით, „ვერც იმაზე იყო კაის გულითა“. მისთვის, როგორც მაჰმადიანისთვის, სარწმუნოების თვალსაზრისით, თითქოს სულ ერთი უნდა ყოფილიყო, საბა კათოლიკე იქნებოდა თუ მართლმადიდებელი, ეს, ერთი შეხედვით, ნამდვილად კი სულ ერთი არ იყო. კათოლიკობის გავრცელებას ჩვენში მოჰკვებოდა ირანის საწინააღმდეგოდ ევროპაზე პოლიტიკური ორიენტაცია, ეს კი მიუღებელი და შეუწყნარებელი იყო იესესათვის, როგორც მაჰმადიანური ირანის მომხრისთვის. ამასთან, იესემ იცოდა, რომ საბა იბრძოდა ვახტანგის ინტერესებისათვის, რაც მას მოსვენებას არ აძლევდა. უფრო საინტერესოა ის, რომ საბა და ვახტანგს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რომლის შედეგი იყო ის, რომ მეფემ ჩამოიშორა თავისი აღმზრდელი, ღვანლოსილი თანაშემწე და მესაიდუმლე, რომელიც ოდესლაც „საქართველოს მამად“ იყო აღიარებული. საბა

სიტყვით, ეს მოწყობილი იყო „ჩეუბიანი კაცების“ მიერ, მაგრამ დუმს მის მიზეზებზე. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბა მართლმადიდი ცხოვრებით და მოქმედებით მისცა მეფეს საბა ბიუმაყოფილებისა. მაში, რაშია საქმე? საბა უშედეგოდ დაბრუნდა იქ. „ჩეუბიანმა კაცებმა“ მეფე, ალბათ, დაარწმუნეს იმაში, რომ საბა მართლმადიდობა, როგორც საჭირო იყო, მეფის დავალება შეესრულებინა, მან არ გააკეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო ამ საქმისათვის. ის არ მოქმედებდა ისე, როგორც უნდა ემოქმედნა ნამდვილ დიპლომატს. იმედგაცრუებული და გაჭირვებაში მყოფი მეფისათვის ესეც საკარისი იქნებოდა, რომ გული აეყარა თავის გამზრდელზე და თავიდან მოეშორებინა იგი, რამაც სასტიკად ატყინა გული საბას, როგორც ეს აღნიშნა მან იმ სამ იგავ-არაებში, რომელიც დაურთო მან მის მიერ რედაქტირებულ „ქილილა და დამანს“. საბენიეროდ, გაუგებრობა მეფესა და საბას შორის დიდხანს არ გაგრძელებულა; მალე ვახტანგმა ის კვლავ დაიახლოვა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და კულტურულ მოღვაწეობაში ჩააბა. როდესაც ვახტანგი იძულებული შეიქნა, რუსეთში გადასიზული იყო, მის ამაღაში, სხვათაშორის, მნიშვნელოვანი ადგილი საბამაც დაიჭირა. გარდაიცვალა ის 1725 წლის 26 იანვარს ვსესვიატსკოეში არჩილის ასულის — დარეჯანის სასახლეში და დასაფლავებულ იქნა იქვე, მართლმადიდებელი ეკლესიის გალავანში.

**ქართული ლიტერატურის  
ისტორიის მასალებიდან**

ზე

# ერეკლე გეორგე პრობლემათა გადაჭრის ძირისამი

დასავლეთის მაღალი რანგის დიპლომატთა ბოლოდროინდელმა ვიზიტებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართველი ერის წინაშე არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის გზაზე სხვისი მოიმედეობა ერთობ ცუდი თანამგზავრია.

როგორც ისტორიის მწარე გამოცდილება გვასწავლის, პოლიტიკური პრაგმატიზმისთვის სრულიად უცხოა სენტიმენტალური მიდრეკილებანი.

ქვემოთ გთავაზობთ ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფის — ერეკლე მეორეს რამდენიმე წერილს, რომლებიც თურქ-სპარსთა პირისპირ მდგარი ქვეყნის გასაჭირზე მოგვითხრობს. ქართველი მონარქი მცირე დახმარებას შესთხოვს ევროპული ქვეყნების ხელმისაფარებს. ისტორიისთვის კარგად არის ცნობილი მათი გამოხმაურების კონკრეტული შედეგი —

გულგრილობა და მხოლოდ გულგრილობა!

მკითხველს, ალბათ, ნამდვილად არ გაუჭირდება პარალელის გავლება წარსულ და დღევანდელ ურთიერთობებს შორის, რამაც, სავარაუდოდ, ღრმად უნდა დააფიქროს ყოველი ჩვენგანი.



## ■ ერეკლეს მიერ აგსტრიდის იმპერატორისადმი ეპოდულად მიღერილი ფერილი

**დიდად პატივცემულობა და  
მწყალობელობის უდიდებულესობავ,**

**დიდად მშვენიერობის უზენაესო  
იმპერატორო კეისარო,**

**დიდად სამართლიანო მეფევი,  
ჩემო პატრონო და სულთანო!**

თქვენი უდიდებულესობის სიძლიერისა და სიდიდის პირველი შთაბეჭდილება მავალებს, თავმდაბლად პატივი გცეტ და მორჩილების გამოცხადებისთანავე გისურვით ხანგრძლივი სიცოცხლე, სიმდიდრე, კარგად ყოფნა და სიცოცხლის ბედნიერი დასასრული, რათა თქვენ დიდად კეთილშობილ კარს ბედნიერების მომასწავებელი ნიშანი თან სდევდეს.

ჩემ შორის შეთანხმების საკითხში თქვენი მსახურისათვის წიშანდობლივია გულწრფელობის გამოჩენა, რადგან უდიდებულესობის საიმპერიო სამსახურისათვის ვერავითარ მომსახურება თქვენი მსახურის მხრიდან თავის შედეგს ვერ მიაღწევს, ასევე, საწინააღმდეგო საბაბით შორეულ თავდაცვით ერ-

თგულებასაც ვერ გამოამჟღავნებს. აქამდე ვერც შემთხვევა და ვერც ხელსაყრელი დრო ვერ გამოვნახეთ, რადგან მტანჯავ გარემოებაში მოხვედრილ გოდებასა და ჩივილში დაცულურდით. ჩვენ თავი აღარა გვაქვს, რომ ავკრძალოთ მონბა, რომელიც სისხლის ღვრით შეიქმნა.

კმარა. ჩვენ დიდებულების სახელოვანი ნიშნით უნდა დავეხმაროთ ყოველ უმსმლავრეს ხელისუფლებას და ჩვენსავე თავში ძლიერი მხნეობა დავასადგუროთ.

ამ კარში ორი მოტივი გვაქვს ნამოყენებული: პირველი, ქრისტიანობის თხოვნა; მეორე, თუკი შესაფერისად მიიჩნევთ, საჭიროა ფიცის დადება, რათა გამბედაობა გვეყოს თქვენს უმაღლესი კარის რეზიდენციაში მარად თავაზიანი წარდგომისა. ისე ნურასოდეს იქნება, რომ დროის გასვლასთან ერთად ჩვენი სამეცნიერო განწყობა და სწრაფვა მძიმე უსიამოვნებად იქცეს, რაც ხელს შეუშლის ჩვენს წარგზავნილს, რომელიც შიკრიკის მოვალეობას ასრულებს.

ჩემო მოწყალეობა და შორსმჭვრე-

ტელო სულთანო, წარსულში ჩვენი მამა-პაპანი გულით მოსურნენი და მოწადინებული იყვნენ; მათ ყოვლად განათლებული და მოწყალე ჩემი პატრონის ბრნწყინვალე კარამდე შეექლოთ მიეღწიათ სანუკვარი თხოვნით და სურვილიც აღსრულებინათ, მაგრამ ყოვლადძლიერი მაჰმადიანური სექტის გამო ამ მიზანთან დაკავშირებული ვერც დრო და ვერც შემთხვევა ვერ გამონახეს. ახლა კი დახმარებითა და ხელისშეწყობით ჩვენ შევიგნეთ საკუთარი ძალა და ნება, რათა გამოვხატოთ სურვილი და თხოვნა ჩვენ მამა-პაპათა; უფრო თავდაჯერებულად ვპედავთ და მოგმართავთ, რათა თქვენმა მეფურმა უდიდებულესობამ თავაზიანად და სულგრძელად ბოლომდე შეიწყალოს ჩვენი თხოვნა და სურვილი.

ო, ჩემო დიდად მოწყალეობა უმაღლესო მწყალობელო კეისარო, ჩემო პატრონო, ინებეთ და შეისმინეთ ჩვენი თხოვნა და მომართვა. უმაღლესი უფალი თქვენი უდიდებულესობის მეშვეობით ლოცავს და იცოდებს დიდად გატანჯულ და აწიოკებულ ქრისტიანებს.



იმპერატორები და მეფეები, მზე-  
ზე უფრო ბრწყინვალენი, სიკეთითა  
და სამართლიანობით ცნობილი  
იყვნენ: ასეთ უბედურებაში ჩავარ-  
დნილი ქრისტიანების შემწეობა და  
დახმარება მათს უდიდეს ლირსებად  
ითვლებოდა, ერთი სიტყვით, საა-  
ქაო და საიქიო ცხოვრებისათვის  
საჭიროა სამართლიანი ღვთის მად-  
ლიერების მოპოვება. ამ მიზნით  
თქვენმა მსახურებმა მწიგნობარი  
და გულწრფელი პატრი მაურო გა-  
მოგზავნეს. ის თქვენს რეზიდენცი-  
აში მიუდგომლად გაცნობებთ და  
შეგატყობინებთ დანაბარებს, თუკი  
უმაღლესი უფალი ინებებს, ის  
დროც დადგება, როცა თქვენს  
ბრწყინვალე და უდიდებულესობის  
სამეფო კარზე სამთხვევად ჩამო-  
ვალთ. რაც შეეხება იმ მოტივებს,  
რაც ჩვენს განზრახვას უდევს სა-  
ფუძვლად, სიდუმლო მუდარასთან  
ერთად საკმარისი იქნება ჩვენი  
ქვეყნის მიმართ დახმარებისათვის,  
რაც ერთმანეთან სიშორის მიუხე-  
დავად ჩვენ ხელს დიდად შეგ-  
ვინყობდა.

თბილისში მცხოვრები პატრი დო-  
მინიკო მრავალი მსახურისა და  
თარჯიმნის თანხლებით გასულ  
წელს გამოვზავნე თქვენი ბრნყინ-  
ვალების საიმპერიო უდიდებულე-  
სობის წინაშე. მიუხედავად მრავა-  
ლი თხოვნისა, ვთვლით, რომ ჩვენი  
სურვილი და თხოვნა კარგად ვერ

გამოვხატეთ. კვლავ განვაახლეთ თხოვნა და გაახლეთ ჩემდევგი მითითებანი. მიუხედავად ჩემი წერილისა, მას პირადადც უნდა მოეხსენებინა ყოვლად შემწყალებლებისათვის ზემოაღნიშნული თხოვნა. მას გზაში ლეთის მიერ წინაგანზრახული სვე-ბედი ეწვია. ჩვენი მეფური უდიდებულესობა დარწმუნებულია და კმაყოფილია ნეტარსახსენებელი განსვენებულის ენისა და სიტყვისა. დიდად გულწრფელი ჩვენი მოხსენება ასეთი იყო: გასულ წლებში აღმოსავლეთის ქვეყნებში ხმამ მოაღნია, რომ ჩემს უძლიერეს ხელმწიფეს სრულყოფილი ძლევამოსილი ნიშანი მოუცია, ძლევამოსილი ომი აწარმოოს თურქეთის სულთნის წინააღმდეგ. ამ ახალმა სასიხარულო ამბავმა დაბადა იმედი და წმინდა სურვილი ჩვენში — თქვენს გულითად მეგობრებში, რათა მათთვის თანაგრძნობა გაგენიათ. ეს შემთხვევა გაახარებდა თვით გარდაცვლილ პატრისაც, რომელიც თქვენი უდიდებულესობის სამეფო ტახტისაკენ იყო გამოგზავნილი და რომელიც შეძლებდა ჩვენი მონარქიისათვის შესაფერისი სამსახური გაეწია.

ამ დღეებში აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია მთლიანად დაანგრიეს და ჩვენზე წამოვიდა ყველა დიდი დაძლიერი, ველური მტერი. საჭირო საომარი იარაღი წაკლებად

ხავაქვს. ხელჩართული ბრძოლა კი  
ნაკლებ გვშველის. ყოველ დროში  
თქვენი უკეთილშობილესი სამეფო  
უდიდებულესობა ერთგვარ მტრო-  
ბასა და წინააღმდეგობას უწევდა  
თურქეთის სულთანს და ნუთუ ამის  
შემდეგ გლობალური მეგობრობა  
დამყარდება თქვენს შორის? დარ-  
წმუნებით ვიცით, რომ აღმოსავლე-  
თის ქვეყნები არავითარ შემთხვე-  
ვაში თურქეთის სულთანს არ დაეხ-  
მარებიან და ხელსაც არ შეუწყო-  
ბენ, არც მიემზრობიან. ჩვენი წინან-  
დელი თხოვნა ზემოთ მოგახსენეთ,  
რითაც ჩვენი განზრახვა შეგახსე-  
ნეთ. ახლა უფრო თამამად ვამჟღავ-  
ნებთ ჩვენს სურვილს: თქვენი გვირ-  
გვინის წინაშე გემუდარებით და  
თქვენს უდიდებულესობას, ყოვ-  
ლად ძლიერს, უბრნყინვალესსა და  
ყოვლისშემძლებელ ჩემს პატრონს  
ვთხოვ, რომ ურჯულოების მტვერს  
ხელი არ შეუწყოთ.

ყოვლად ღვთისმოსავო,  
უმაღლესო,  
ყოვლად მოწყალე, უძლიერესო.  
ჩემი პატრიონის,  
ზეაღმატებული ღირსების  
იმპერატორის ბედნიერების  
მოსურნე მსახური,

■ პრესიის მაფესთან ერთად მიმდინარეობის შესახებ

Ուզո՞ս գուցեած կաման մատման,  
րոմ րյուսետուս պաշտամ գուցեած  
նո եղալմինուցեն նեցարեսենցեպյուլնո  
նոնաձարնուց դա աելաց օմիշերագ-  
րուցա գուցու ըստանաթեց մնյալոցելնո  
ովանց դա կուցեց արուան, րոմ, րո-  
ցեսաւ հիզեն սաքալուրտա մթւրտա-  
գան գուցագ գացքիրուցենա, րյուսետուս  
գուցուցալս եղալմինուց մշակույթու-  
ցարտ դա ոյ մռացրիմոծուլցարտ դա  
տոյ մուրու մշենուեան դա ան մթւրտա-  
գան սալու գացքացոմնա, կուցեց րյու-  
սետուս օմիշերամ դա րյուսետուսազե  
եղալմինուց սացան նոյցի գրեացենա.

საქართველოს კაცნი მტრებისა-  
გან რომ გაქცეულან, შეწყნარები-  
თა და გამოზრდით შეუწყნარებიათ  
და ვინც შეწყხებულნი და გალარი-  
ბებულნი მისულან, მოწყალებითა  
და მიცემით და კიდევ ტყუეთათვის

გამოხსნით და განთავისუფლებით  
მოწყვალება უქნიათ. როგორათაც  
ყირიმელთა ზედა რომ იმპერატრი-  
ცა დიდის ეკატერინას ჯარი მოვი-  
და და ჩვენი მრავალ ათასი ტყუენი  
მრავლის წლის დატყუებულნი და  
იქავ ყირიმში დაცოლშვილიანე-  
ბულნი გამოიხსნა და სრულიად გა-  
ნათავისუფლნა.

და ყოველთვის რუსეთის ხელმწ-  
ფიდამ და რუსეთის იმპერიიდამ  
უანგარიშოდ ნუგეშის ცემულნი  
ვართ ყოვლითურთ და ჩუენ უმეტე-  
სის თავის შეწყვენის კადნიერება  
არა გვაქვს. იმათი დიდად მადლო-  
ბელნი ვართ და ამდენი იმათი წყა-  
ლობა კიდევ ჩვენ და ჩუენს ქვეყა-  
ნას არ ვყო.

რადგან ასეთსა შინა ადგილსა ვიმყოფებით თუ რამ უდიდესი წა-მალი კიდევ ზედ არ დაგვერთო. სა-

რადგან სპარსეთშიაც და სულ აზისის სახელმწიფოში ძალი ყოვლი-თურთ მოკლებული არის, და ერთი მეორესთან აშლილნი და მტკრნი არიან, ამის გამო ახლა არ შეუძლიანო. თუ ჯარი ევროპის წესზე გას-ნავლებულ გვეყოლება, რომ ამი-სავთის გვატანენ ძალას დალისტ-ნელნი და მაჲმადიანი სხვანი ჩვენ-ნი მეზობელნი, რომ სამუდამო ჯა-მაგირის ჯარი არა გვყავს და ესენი



და დალისტანელნი ლეკნი ერთს პირს იქმონენ, ჩვენ ძალას დაგვატანენ და მომშველებელი ჩვენი ვინც არის, ისინიც მაშინ უთეთროდ არ მოგვეშველებან. დიდი განსაცდელი იქნება მაშინ ჩვენზედ მომავალი.

და ამისთვის მათის დიდებულებასა და ყოვლად მოწყალებისაგან ვითხოვთ, რომ საბოლოოთ რა ერთისაც პოლკის ჯარის შენახვის შე-

ძლება გვეთხოოს, შეგვაძლებინონ და გვიბოძონ ეგება წყალობითა ზეგარდოთა, რომ ერთხელ ამ ქვეყანამაც აქედან ევროპის დიდებულ ხელმწიფებს მსახურის თავისის შესაძლებლობა უჩვენოს.

**მეფე ქართლისა და  
კახეთისა და სხვათა ერეპლე  
წელსა 1782,  
თვესა ოქტომბერს 18.**



## ■ ეპროპის ეპეყნებში გაზუავილი თურქელად დაზერილი ერეპლეს ზერილი

ყველასათვის სათანადოდ ცნობილია, რომ რუსეთის უძველესი მმრდანებლები, განსაკუთრებით კი უბრწყინვალესი თვითმპყრობელი მონარქი და დედოფალი ეკატერინე ყოველთვის მოწყალედ და მეგობრულად იყო განწყობილი ჩვენსა და ჩვენი ქვეყნის მიმართ. მას გაუწევია ჩვენთვის ქმედითი დახმარება და ახლაც ზრუნავს ჩვენზე. ასე რომ, ყოველთვის, როცა ჩვენი სარწმუნოების მტრები გვავიწროვებდნენ, რამდენადმე დახმარებას ვსაჭიროებდით და თავი უნდა შეგვეფარებინა მათთვის, ყოველგვარ დახმარებასა და შემწეობას აღმოგვიჩნდა ხოლმე. თანაც რუსეთი არა მარტო გაჭირების დროს დაგვეხმარებია, არამედ მაშინაც, როცა ჩვენი ქვეშევრომნი იძულებული იყვნენ, მომხდეური წარმართი მტრის ურდოებისაგან თავის გადარჩენაზე ეზრუნათ, იღებდნენ მათგან ყველაზე საიმედო დახმარებას და მხარდაჭერას, აგრეთვე, ისინიც, რომლებიც მონებად იყვნენ ქცეულნი, გაათავისუფლეს, გაუშვეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძლევამოსილი რუ-

სული ჯარი ყირიმში შეიჭრა და იქ ჩვენი ამდენი ერთმორწმუნე ბორკილგაყრილი დახვდა.

**საერთოდ დახმარება, რომელსაც აქამდე რუსეთი გვინევდა, უთვალიავია და დიდი, ვიდრე კაცი ოდესმე წარმოიდგენს ამას, და ამდენად, არ შევვნევს უნარი, ჩვენი მაღლიერება ჯეროვნად გამოვხატოთ.**

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენი სრული უსაფრთხოებისათვის ეს არაა საკმარისი, რადგან ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვენ უნდა გვეშინოდეს მომავლისა და უფრო და უფრო მეტი დახმარება თუ თავშესაფარი ადგილი უნდა ვეძიოთ. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ გვყოლოდა საკუთარი დახელოვნებული ძალები და მეთაურები, რითაც შევძლებდით თავის დაცვას და საფრთხის შემთხვევამდე მშვიდად ყოფნას, ამ მხრივ ჩვენ რომ გვქონდა საკმარისი ცოდნა, მაშინ უზენაესის მცირეოდენი დახმარებითაც შევძლებდით მრავალი მტრის მოგერიებას, განსაკუთრებით მაშინდელ ვითარებაში, როცა სპარსელები და ასევე აღმოსავლეთის დანარ-

ჩენი ხალხები დაუძლეურდნენ და ისე-დაც ერთმანეთს ებრძვიან. მხოლოდ იმ ნაკლის გამო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ თავდაცვა, იძულებული ვართ, ვითმინოთ, როცა ლევები და დაღესტნის სხვა მაჰადინან ხალხები ჩვენს ქვეყანას განუწყვეტლივ შემოსევებით და დარბევებით იკლებენ, რის გამოც ყოველგვარ უხამსობას ვითმენთ. კვლავაც საფრთხე გველის.

ეს გარემოებანი გვაძლევენ საბაბს, რომ ყველა დანარჩენ სუვერენისაც მიღმართოთ სათანადო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რათა ინებონ და იზრუნონ ჩვენზე იმ დიდი შედეგების გათვალისწინებით, რომელიც მათაც შეეხო, აღმოგვიჩინონ დახმარება, რათა, ერთხელაც იქნება, გავთავისუფლდებით ღმერთის წყალობით ამ საზრუნავისა და საფრთხისაგან, ყველა სახელმწიფო მეთაურს შევთავაზოთ შესაძლებლობისდაგვარად ჩვენი სამსახური და სამაგიერო სიკეთე.

**ერეპლე მეორე, მეფე მთელი საქართველოსი და მხარებისა. 1783 წლის 14 აგვისტო.**

## ■ ეპროპის ერთ-ერთი მონარქისადმი ერეპლეს მიერ მიზერილი ზერილის თარგმანი იტალიური დანართები

უძლიერესო და უშესანიშნავესო კეისარო, თქვენ უდიდებულესობავ, ჩემ პატრონო და სულთანო!

მართალია, თქვენდამი მუდარამ და თხოვნამ, უძლიერესო და უშესანიშნავესო ჩვენო იმპერატორო, გაზარდა ჩვენი დარცხვენა და მორიცება და საძრახისად თავიც მოგვეჭრა, მაგრამ პოლოს გაჭირებამ და შეშფოთებამ, შიშმა და საფრთხეშ გაბეჭდულება და სიმამაცე შევგმატა.

ჩვენი მოხსენება თქვენი უდიდებულესობის სამეფო კარისადმი და უსახელოვანეს იმპერატორისადმი შეწყალების გარდა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ ინებოთ და მოგვცეთ, თან მფარველობა გაუწიოთ ორ განვრთნილ რაზმს და ჯამაგირიც გაიღოთ თქვენი ჯარისათვის. დროულად გამოგზავნილი ჯამაგირიანი რაზმები სამაგილითონი იქნებან წყობით, რასაც ისინი გამოავლენენ მომისათვის

მზადყოფნით და თავზარს დასცემენ მოწინააღმდეგესა და მტერს, რომელიც გაიგებს და ნახავს რა მათს სამხედრო ხელოვნებასა და განყობას, უძლური იქნება მამაცურად იომოს.

**უშესანიშნავესი პატრონისა და ჩვენი სულთნის ერთგული მსახური, უძლიერესს, დიდად მოწყალეს.**

საქართველოს სამეფოსა და დანარჩენი სამფლობელოების ერთ ერეპლე



## ■ ერეპლუს მიერ საზრანგეთის მეფისაღმი მიშერილი

**უქრისტიანესას, უდიდესს,  
უმოწყვალესასა და მთელი  
საფრანგეთის სამეფოს  
დიდ მეფეს!**


ძალიან მერიდება, რომ ასე კონფიდენციალურად მოგმართავთ და ვაწუხებთ თქვენს გონებას და გაცისკროვნებულ გულს, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ ვსახეთ, რადგანაც ქრისტიანები ვართ, გვინდა მოგმართოთ ფრიად საჭირო თხოვნით, რის გარეშეც ვერაფერს შევძლებთ. თქვენო აღმატებულებავ, ლირსი გაგვხადეთ და ერნმუნეთ ჩვენი წინაპრებისა და ჩვენს სურვილს... ჩვენი საჭიროებანი და თხოვნა თავმდაბლად თქვენი მაღალი და ბედნიერი ტახტისათვის მიგვირთმევია. არც ჩვენს წინაპრებსა და არც ჩვენ დღემდე ბედი არა გვქონია, გვეპოვნა პატრონი და სსნის გზა. ჩვენს გარშემო მყოფი მაჰმადიანი ძლიერი მტრების გამო ვერ შევძელით დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება. ახლა კი თქვენი

უმაღლესობის წყალობის დრო დავვიდგა.

აი ახლა, მოწყვალეო ხელმწიფევ, მიიღეთ ჩვენი საჭირო თხოვნა, რაც წერილობით და სიტყვიერადაც გვაქვს დანაბარები ამ პატრი მაუროსათვის, გულშემატებივრად მოუსმინეთ მას ლვთის სიყვარულისათვის, თქვენო ყოვლად შემპრალებელო და საქებარო უდიდებულესობავ. ხელი გაუმართეთ ჩვენს გაჭირვებასა და თხოვნას. თქვენი აღმატებულების მიმართ ჩვენი გრძნობა მრავალი ქრისტიანის გრძნობაა, რაც თქვენი უფალი ღმერთისათვისაც არის მიძღვნილი.

თქვენმა აღმატებულებამ უწყის, რომ ორი სიცოცხლიდან სულიერ ცხოვრებას სრული უპირატესობა ეძლევა. ქრისტიანთა უმრავლესობა მუდამ თქვენი ყოვლად შემწყალობელი აღმატებულების მადლიერი იქნება და მარადუამს თქვენთვის ილოცებს.

(წერილი ხელმოუწერელია და  
არც თარიღი აქვს დასმული)



ერეპლუ II-ის ძაგლი თალავში

## ■ ერეპლუს ტერიტორია გეაკოლისა და სიცილის მეფეს

**უგანათლებულესას,  
უმაღლესას, უდიდებულესას,  
მთელი გეაკოლისა და  
სიცილის ხელმწიფეს!**

დიდი ხანია, საჭიროება გვაჩქარებდა, შეგვენუხებინა ჩვენი სათხოვრით ევროპა. მოგმართავთ უმაღლეს კეისარს და დიდად მოწყვალე, უდიდეს მონარქებსა და უაღმატებულესასა და უგანათლებულეს მეფეებს, რათა მოწყვალება მოილოთ ჩვენზედა.

აქამდე ამის ვერც შემთხვევა და ვერც მიზეზი ვერ მოგვეცა მაჰმადიანი და სხვა ძლიერი მეზობელი მტრების გამო. ღვთის წყალობით, ამჯერად გამოვნახეთ შემთხვევა და გაწუხებთ დიდად განათლებულებსა და უდიდეს მეფეებს. თქვენო უდიდებულესობავ, ღვთის სიყვარულისათვის გთხოვთ, დიდსულოვნებით მიიღოთ პატრი მაურო. მას დავავალე წერილობით და სიტყვიერადაც გადმოეცა სათქმე-

ლი. გთხოვთ, კეთილგანწყობილად მოუსმინოთ მას, როდესაც ის ჩვენს ვედრებას გადმოგცემთ.

რაგან ძალიან შორს ვიმყოფებით თქვენი მოწყვალებისაგან, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევსძლებთ თქვენდამი სამსახურის გაწევას, მაგრამ ქრისტიანობისა და ამ საწყალი ხალხის სიყვარულისათვის შეგვისრულეთ სათხოვარი. ღვთის სიყვარულისათვის მოიმოქმედეთ და აღასრულეთ ჩვენი სურვილი, ამდენი საცოდავი, დაბეჩავებული ქრისტიანი ხალხის გული იმედით აღავსეთ და ღმერთი თქვენს უდიდებულესობასა და უბრნყინვალე-

სობას დაულოცავს ორივე ცხოვრებას: ამქვეყნიერსა და სულიერს, და უფალი ხელს გაგიმართავთ ყველა საქმეში.

რადგან აზის მხარეში ვიმყოფებით, ველით დახმარებას ევროპიდან. ცხადია, თქვენ შეგწევთ ძალა, მოწყვალება მოილოთ ჩვენსა და ჩვენს ხალხზე. ჩვენი თხოვნის შენყალება თქვენს დიდსულოვნებას შეეფერება.

ამით ვამთავრებ თქვენს დიდ სათხოვარს. ბოდიშს ვიხდით, რომ ამ თხოვნამ თქვენი აღმატებულება უნდა შეაწუხოს.

(წერილი ხელმოუწერელია და უთარილო. წერილის დასაწყისში, მარცხენა ველზე, მიწერილია: „ნეაპოლი, სარდინია, ვენეცია“. მაგრამ ტექსტში არც სარდინიაზე და არც ვენეციაზე არაფერია ნათქვამი. ამავე წერილის ბოლოს, ისევ მარცხენა ველზე, მიწერილია: „ვენეცია“, მაგრამ წერილის ტექსტი აქ არ არის მოცემული. ვენეციის „შეკრებულთათვის“ და სარდინიის მეფისადმი ერეკლეს მიერ გაგზავნილი წერილების შესახებ).

ჩ

# საქართველო-რუსეთის ურთიართობის სათავეები

## მოკლე ისტორიული ექსპურსი

რუსეთი საქართველოს იმაზე ადრე გაეცნო, ვიდრე ამაზე წერილობითი წყაროები გვაუწყებენ და იგი IX საუკუნეში კიევის რუსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და ბიზანტიის იმპერიის ინტერესთა სფეროში მის ჩართვას უკავშირდება. ბიზანტიის ხელს არ აძლევდა აღმოსავლეთისკენ საწყალოსნო გზების მაძიებელი ახალი სახელმწიფოს გაძლიერება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რაც კიევის რუსეთთან მისი არაერთი კონფლიქტით აღინიშნა IX საუკუნის მეორე და X საუკუნის პირველ ნახევარში.

მართალია, ქართველებთან რუსების მსგავსი კონტაქტების დამადასტურებელი წერილობითი ცნობები არ შემონახულა, მაგრამ რუსეთში აღმოჩენილი დავით კურაპალატის მონეტები ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა. გარდა ამისა, ვოლგა-კასპიის მთავარი სავაჭრო არტერიით კასპიის ზღვით გადმონაპირებულ რუს ვაჭრებს მდინარე მტკვრით შეეძლოთ ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრამდე, თბილისამდე ასვლა. რუსი ვაჭრების კომერციულ საქმიანობაზე საქართველოში მეტყველებს ვლადიმირის, მინსკისა და ფსკოვის მხარეებში თბილისელი ჯაფარიდების მონეტების აღმოჩენა.

წერილობითი წყაროებით (სომხური და ბერძნული) პირველი კონტაქტები რუსებსა და ქართველებს შორის X საუკუნის დასასულსა და XI საუკუნის დასაწყისშია დამოწმებული. ეს ცალკეული შეხვედრები, განსაკუთრებით კიევის რუსეთის გაქრისტიანების (988—989) შემდეგ, ბიზანტიის ინტერესებით იყო გამოწვეული და არსებითად სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

უძველესი ქართული ცნობა ქართველებისა და რუსების ურთიერთობის ისტორიისათვის შეხება XI საუკუნეში რუს-ვარანგთა მონანილეობას სასირეთის ბრძოლაში ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ერისთავს შორის.

სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტების გარდა, ქართველთა და

ევ-პეჩერის მონასტრის მთავარი ტაძრის დამშვენებაში (მოხატვა-მოკენჭვა) კონსტანტინეპოლიდან მოწვეულ ბერძნებთან ერთად ობეზი (ანუ ქართველი) ოსტატებიც მონაწილეობდნენ.

რუსეთთან საქართველოს შემდგომი დაახლოება XII საუკუნის მეორე ნახევარში დინასტიური კავშირების დამყარებით აღინიშნება. ცნობა პირველი ასეთი კავშირის შესახებ მხოლოდ რუსულ მატიანეჟია დაცული და შეხება კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის ქორწინებას ქართველთა მეფის ასულზე (1154 წლამდე). მკვლევართა აზრით, ეს იყო დემეტრე I-ის ქალიშვილი რუსუდანი — თამარ მეფის მამიდა, რომელიც შემდგომში თამარისა და იური ბოგოლიუბსკის ქორწინების აქტიური მომხრეა.

საქართველოს მონარქთა დამოყვრების ინიციატივა იზიასლავს ეკუთვნოდა: საქართველოს სახით რუსეთი ძლიერ, მაღალი საერთაშორისო პრესტიუს მეონე ერთმორნებულება პარტნიორს იძენდა. რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბიზანტიის პატრიარქისგან მიტროპოლიტის დამტკიცებას

რუსთა შორის კულტურულ კავშირებზე მსჯელობა იმდროინდელი დადი საგანმანათლებლო კერების არსებობის საფუძველზე შეიძლება. ათონსა და იერუსალიმში როგორც ქართველების, ისე რუსების სამონასტრო ცენტრები ფუნქციონირებდა, რაც ამ ორი ერთმორნებულებალების მონინავე სასულიერო მოღვაწეთა შეხვედრებს, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას კეთილ ნიადაგს უქმნიდა.

სამონასტრო საქმიანობასთან დაკავშირებით, ქართველები მოიხსენიებიან XV საუკუნის რუსულ ნუსხებში დაცულ XI საუკუნის დროიდან გადმოსულ ცნობაში. მასში ნათევამია, რომ XI საუკუნეში კიევის მღვიმეთა მონასტრის (ანუ კი-



მოსკოვის ზოოპარკის  
მთავარი შესავლები  
გოლგაბა გრუზინებასა და  
კრასნია პრასნიას კუთხევი



ცხ. გორგის ტაძარი გრუზინეკაიას მოედანზე

ვერ მიაღწია, საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია კი საიმედო დასაყრდენი უნდა ყოფილიყო რუსეთისთვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

მოვინებით (1185 წელს), საქართველოს სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით, შედგა თამარ მეფის ქორწინება ნოვგოროდის მთავარიური ანდრიას ძე ბოგოლიუბსკისთან (გიორგი რუსთან). ეს მოვლენა მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა: ფორმალურად სავსებით მისაღები ერთორნებუნე რუსი უფლისწული იმხანად საკმაოდ ფეხმოდგმულ თამარის მონინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად ესაჭიროებოდა; თავის მხრივ, იური ბოგოლიუბსკი სამშობლოში დასაბრუნებლად დამხმარე ძალას ექცევდა იმ დიდებულებში, რომლებმაც იგი მეფე-ქმრად დასვეს საქართველოში.

XIII-XIV საუკუნეებში ცნობები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ მონლოლთა ლაშერობებს უკავშირდება.

რუსულ მატიანეში საქართველო უმეტესინდად XIV საუკუნის კონტესტებში ჩნდება. ამავე საუკუნე-

ში ტრადიციულ ტერმინ „ობეზის“ გვერდით ჩნდება საქართველოს ახალი, აღმოსავლური ენებიდან მომდინარე სახელწოდება „გურზისტანი“ და „გურზი“, რომელიც შემდგომში „ობეზის“ ადგილს იკავებს რუსულ წერილობით ძეგლებში.

ცოცხალ კულტურულ კავშირებზე მიუთითებს რუსული მატიანის ნიკონისეულ ნუსხაში 1389 წლით დათარიღებული საგულისხმო ჩანაწერი, რომლის თანახმად, „ქართული კულტურული კერძის მნახველი განათლებული რუსი XIV საუკუნის დასასრულს იერუსალიმიდან სამშობლოში ბრუნდებოდა და მატიანის საშუალებით ქართველების კუთვნილი ტაძრების შესახებ რუსეთის მონინავე წრებებს ცნობას აწვდიდა“. მკვლევარის შეფასებით, „ეს ქართველებისა და რუსების ურთიერთობაცნობის მნიშვნელოვანი ფაქტია ამ დროისთვის“.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XV საუკუნეში სრულიად შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში განახლდა. მონლოლთა ბატონობის

პერიოდში საფუძველშერეცული საქართველოს ფეოდალური მონარქია დაცუა და XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად

და ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამთავრო ებად და სათავადოებად. რღვევის გზაზე დამდგარი ქვეყანა ახლადჩამოყალიბებულ ოსმალთა იმპერიისა და ირანის სახელმწიფოს აგრესიის წინაშე აღმოჩნდა. ამავე პერიოდში რუსეთის სამთავროები მოსკოვის დიდი სამთავროს ირგვლივ გაერთიანდნენ და ივანე III-ის თაოსნობით საბოლოოდ დაამარცხეს მონლოლები.

გაძლიერებულ რუსეთთან დაახლოება შეიძლება ერთადერთი იმედის მომცემი საშუალება იყო ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილი და მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყველეული, დანანევრებული საქართველოს გადასარჩენად. პირველი ნაბიჯი მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა გადადგა. 1483 წელს და 1491 წელს მან მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის კარზე ელჩები გაგზავნა, რითაც საფუძველი ჩაუყარა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ახალ მნიშვნელოვან ეტაპს.

XV-XVI საუკუნეებში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, ფაქტობრივად, მოსკოვ-კახეთის ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. კახეთის მეფეთაგან პირველად ლევანი იყო რუსეთის მფარველობაში მიღებული ივანე IV-ის (მრისხანის) დროს, თუმცა ფიცის წიგნი შემონახული არ არის. კახეთის მეფემ, რუსეთის გან დახმარების მიღების მიზნით, 1563 წელს ელჩები გაგზავნა მოსკოვში ივანე IV-სთან, რის შედეგად კახეთში ციხეების დასაცავად რუსთარაზმი ჩამოვიდა.

იმ ხანად შექმნილმა რთულმა საერთამორისო ვითარებამ გამოიწვია 50-60-იან წლებში განახლებული პოლიტიკური ურთიერთობის შეცვლილი და მხოლოდ 1585 წელს რუსეთის მეფე თეფლორეს ელჩის — დანილოვის ხელით ალექსანდრე II-ს (ლევან მეფის ძეს) პოლიტიკური კავშირი და მფარველობა შესთავაზეს, რაც საბოლოოდ „ფიცის წიგნითა“ და „წყალობის სიგელით“ გაფორმდა 1587 წელს.

XVII ს-ის დასაწყისში „გაყიზილბაშების“ საფრთხის წინაშე აღმოჩენილი კახეთი ქეთევან დედოფლის მეთაურობით აჯანყებისთვის სამზადისა შეუდგა და დახმარების სათხოვნელად რუსეთში ბაგრატ



იესეს ძე, ალექსანდრეს ძმის შვილი, გაგზავნა.

ამრიგად, 1587 წლიდან კახეთის მეფე იურიდიულად რუსეთის მეფის ქვეშევრდომობას იღებდა.

მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ამიერკავკასიის საკითხი თითქმის მთელი XVII საუკუნის მანძილზე აქრუალური არ იყო, რადგან რუსეთის მთავარ საზრუნავს ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრების მოწესრიგება შეადგენდა. ამასვე მოითხოვდა იმხანად ირანთან სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნებისა და თურქეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა.

ამიტომ ვერ გამოიღო შედეგი შაჰ-აბას I-ის შემოსევების დროს რუსეთის ორიენტაციის მომხრე კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის მიერ მოსკოვში დახმარების სათხოვნელად გაგზავნილმა არაერთმა ელჩითამ (1615, 1618, 1624, 1635, 1649). სამხედრო დახმარებას კი თეიმურაზმა 1658 წელს მოსკოვში პირადად ჩასვლითაც კი ვერ მიაღწია.

თეიმურაზ I პირველი ქართველი მეფე იყო, რუსეთში ელჩიბის თანხლებით რომ ჩავიდა; ხოლო მის მიერ 1653 წელს მოსკოვს ნარგზავნილი შვილიშვილი ერეკლე (ერეკლე I, რუსეთის სამეფო კარზე ნიკოლოზის სახელით (ცონბილი) — პირველი ქართველი უფლისწული, რომელიც რუსეთში ჯერ 1660 წლამდე, მოგვიანებით კი კახეთში გამეფების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1665-1677 წლებში ცხოვრობდა და ზოგიერთი მკვლევარის

მიერ მოსკოვის ქართული კოლონიის დამაარსებლადაა მიჩნეული. ერეკლე ბაგრატიონი მონაწილეობდა რუსეთის სახელმწიფო კარის ზემოქმებში, ხელმწიფის ქალაქებრეთ გასვლებში და, ასევე, ესწრებოდა სამხედრო წვრთნებს.

მოსკოვში პირველი ქართული ახალშენის ჩამოყალიბება მეფე არჩილ II-ს უკავშირდება და XVII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში პეტრე I-ის ხელშეწყობით ხორციელდება.

იმერეთში გამეფების ოთხზე უშედეგო მცდელობის შემდეგ არჩილ მეფე 1699—1700 წლებში რუსეთში იჯახით საბოლოოდ დასახლდა, ფაქტობრივად, ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ფართო კულტურულ საქმიანობას შეუდღა.

**XVII საუკუნის გოლოს  
ქართული ასალშენის  
შექმნა აუსათის  
კოლიტიქარ იცხარესაგზი  
შეზორიზა და მიზნად  
საქართველოსთან  
კავშირის განვითარებას  
ისახავდა. ამიტომ აუსათში  
ვახეს მოსაკიდებლად  
ქართველებს ხალსაყარებლ  
კირობებს უქმნებოდა და  
ეზოვებოდა მას და სხვა ისტორიული ძეგლები დღესაც მოსკოვის იერსახეს.**

პეტრე I-ის ბრძანებით, ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს საკუთრებაში გადაეცათ ვ. გოლიცინის ყოფილი საზამთრო სასახლე ეკლესით. მაღლე ქართველებმა სააგარაკოდ მიიღეს სასახლე სოფელ ვსესვიატსკოვეში კარის საყდრით.

არჩილ მეფის ირგვლივ გაერთიანებულში ქართულმა ახალშენმა შუამავლის როლი შეასრულა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბებაში. ამ კავშირის საფუძველზე გაემგზავრა რუსეთში ვახტანგ VI დიდი ამალით 1724 წელს, მას შემდეგ, რაც პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დამყარებული სამხედრო-პოლიტიკურ კავშირით ირანის წინააღმდეგ გათვალისწინებული ერთობლივი ლამქრობა ჩაიშალა და აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალები დაეპატრონენ.

მოსკოვში ქართველთა ახალი ნაკადის ჩასვლის შემდეგ, 1729 წელს ვახტანგ VI-მ მიიღო სასახლე ბალით და მამულით პრესნიაზე, რომელიც თანდათან მჭიდროდ დასახლდა და უბანს მაღლე „გრუზინი“ ეწოდა. მოგვიანებით აქ წმ. გიორგის საყდარი აშენდა. ეს და სხვა ისტორიული ძეგლები დღესაც მოგანულად ერწყმის თანაბედროვე მოსკოვის იერსახეს.

\*\*\*

**ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩა მოსკოვის ცენტრში მდებარეობს, მისი სიგრძე 1.75 კილომეტრია. ქუჩის დასაწყისში მდებარეობს მეტ-**



გოლობაია გრუზინსკაიას ქუჩა (ხელვები)





როსადგული „ბარიკადნაია“, აქვეა  
მოსკოვის ზოოპარკიც.

XIX საუკუნის დასაწყისში ქუჩის ნაწილი გრუზინსკაიას მოედნამდე იწოდებოდა სანაპირო ქუჩად, რამეთუ იგი მიუყვებოდა მდინარე პრესნიას სანაპიროს. 1918-24 წლებში ქუჩას კომუნისტიჩესკაია და-არქეს, მოგვიანებით ძველი სახელი დაუბრუნეს; ისტორიული ცნობების მიხედვით, 1749 წელს პრესნიაზე 50 ქართული სახლი იყო, მათი მკვიდრი არც ერთი ეკლესის მრევლს არ წარმოადგენდნენ. ქართველი მღვდლები სახლებში ეწეოდნენ და გვიანდებას.

\*\*\*

40-იანი წლების ბოლოს ქართველ-მა უფლისნულმა გიორგიმ (ვახტანგის ძემ) ააგო ხის ეკლესია, რომელიც აკურთხა 1750 წელს ქართველმა არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა, ვიდრე ყიზლარში გაერგზავრებოდა (ამ ლირსეული ადამიანის შესახებ ქვემოთ გიამბობთ). ეკლესიაში მღვდლად მსახურობდა დიმიტრი ივანოვი. 1779 წელს ეკლესია სანდრის შედეგად დაინგა. მხოლოდ საეკლესიო შესამოსლისა და ჭურჭლის საცავი გადარჩა და იგი პოკროვის ეკლესიაში გადაიტანეს. ამდენად, ქართული სათვისტომ დარჩა ეკლესიის გარეშე. ხანძრიდან 9 წლის შემდეგ — 1788 წელს მიტროპოლიტ პლატონს ქართველებმა ახალი ეკლესიის აშენება და იქ ქართველი მღვდლის დანიშვნა თხოვეს. მშენებლობის უფლება მოეცათ, მაგრამ მღვდელზე არაფერს ამბობდნენ. ეკლესია ნელი ტემპით შენდებოდა, ამიტომ ქართველებს უწყალობეს გაუქმებული ლეონტიევის ეკლესია ტვერის ქუჩაზე სამრეკლოთი და ყველა საჭირო ატრიბუტით. 1793 წელს ეკლესიის ნაწილი აღდგომის წინა დღეებში აკურთხეს.

თავის დროზე ამ ეკლესიასთან ახლოს მდებარეობდა ვახტანგ VI-ის სასახლე (ამჟამად მის ადგილას გერმანიის საელჩოა). ლოთისმსახურება ეკლესიაში ქართულ ენაზე წარმოებდა.

1807 წელს თავადი ციციანოვები (ციციშვილები) რთავენ ეკლესიის ეკვდერს წითელი ხით. მათ ეკლესიას საკმაოდ ძვირფასი რელიქვიები შესწირეს: ჯვარი, ევანგელი, საღვთისმეტყველო წიგნები, საეკლესიო ჭურჭლი, კიდობანი და სხვ. ეკლესია საკმაოდ მდიდარი იყო, მასში

ცხ. მარიამ ლვისმაზობლის  
სახელობის კათოლიკური ტაძარი  
მალაია გრუზინსკაიაზე



ინახებოდა მართლმადიდებლური ქართული რელიქვიები (მათ შორის, წმ. ნინოს ჯვარი), ასევე მდიდარი ბიბლიოთეკა უძველესი წიგნებით დველ სლავურ და ქართულ ენებზე.

XIX საუკუნის დასაწყისის ცნობილი პოლოტიკური მოღვანის პავლე დიმიტრის ძე ციციანოვის უმცროსი ძმა — მიხეილი ეკლესიის ქტიტორი



ფილმისაზე სახელობის  
გიორგი გიორგი მუხუშე  
მალაია გრუზინსკაიაზე

იყო 25 წლის მანძილზე. 1870 წელს სამრეკლოს სიმაღლე მოუმატეს, ასევე გაადიდეს მინაშენები. 1897 წელს ძველ ეკლესიას, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო მრევლის დატევა (რადგან ამ რაიონში მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა), აშენდა ახალი შენობა არქიტექტორ სვეტენსკის პროექტით.

1920-იანი წლის ბოლომდე ეკლესია მოქმედი იყო. 1930 წელს კომუნისტებმა იგი დახურეს, შენობა კი გადააკეთეს: სამრეკლო დაშალეს, ბიბლიოთეკა, როგორც ჩანს, გაიტანეს. სწორედ ამ დროიდან განთავსდა ეკლესიაში კრასინის სახელობის ელექტროტექნიკური.

1993 წელს ტაძრის უძველესი ნაწილი ეკლესიას დაუბრუნდა, ახალში კი დღესაც ტექნიკური ფუნქციონირებს. რუსულ-ქართული საზოგადოება „ძალისას“ მეცანეობით, ტაძარი ეკლესიას დაუბრუნდა და რესტავრაცია ჩაუტარდა. ამჟამად აქ ლოთისმსახურება ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობს, მოქმედებს საკვირაო სკოლა ბავშვებისა და უფროსებისათვის. არის ბიბლიოთეკა.

მოამზადა  
დარეჯან ანდრიაშვილი

20

# ქართული მთარგმნის კერძო რესეტა და უკაიინაში

XVII-XVIII საუკუნეები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პოლიტიკური ორიენტაციის ხანგრძლივი ძიება საქართველოს რუსეთთან დაკავშირების გზით წარიმართა, რამაც გაახშირა ამ ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა და ურთიერთობა.

საგარეო პოლიტიკის გართულებების გამო კი საქართველოს მმართველი წრების წარმომადგენლებს თავიანთი მხლებლებით ხშირად უზდებოდათ ამ მხარეში არა მარტო გამგზავრება, არამედ ხანგრძლივად ყოფნა და ცხოვრება.

სამშობლოს მოცილებული ქართველობა შორეულ მხარეშიც განაგრძობდა ლიტერატურულ-შემოქმედებით და მეცნიერულ საქმიანობას. ასე თანდათანობით ეყრდნობა საფუძვლები ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერძებს რუსეთსა და უკრაინაში: მოსკოვში, პეტ्रერუსკში, ასტრახანში, კრემენჩიკში, მირგოროდში, ლისკოვოში (ნიუნი-ნოვგოროდში), მოზდოკში, ყიზლარში და სხვ. ამ კერძებში სხვადასხვა დროს კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას ენერგენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები, ცნობილი სასულიერო პირები, მთარგმნელები და კალიგრაფები. ასე წარმოიქმნა XVIII საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა.


ქართული ემიგრანტული მწერლობის წარმომბარუსეთსა და უკრაინაში ერთგვარი მოვლენა იყო ქართული აზროვნების ისტორიაში და წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების ახალ საფეხურს.

რუსეთში არსებულ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერძებს შორის თავისი საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოსკოვის ქართული ახალშენი (კოლონია), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუა წლებში, როდესაც იქ ჩავიდა კახეთის მეფის თემის შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი (ანუ, როგორც მას რუსეთში ეძახდნენ, ნიკოლოზ დავითის ძე). ქართველი ბატონიშვილის ამაღლის ზოგიერთი წევრი სამუდამოდ დარჩა მოსკოვში საცხოვრებლად და რუს დიდებულებს დაუმოყვრდა.

XVII საუკუნის მიწურულში მოსკოვში გაემგზავრა არჩილ მეფე. თავისი რჯახითა და მახლობლებით იგი სამუდამოდ დასახლდა იქ და სათავეში ჩაუდგა ქართულ ახალშენს.

რუსეთის ხელისუფლებამ ერთგულება აღუთევა ქართველ ემიგრანტებს, გამოუყო საცხოვრებელი ადგილები და ფულადი დახმარება მისცა. პეტრე პირველის ზრუნვა ქართველობაზე გამოწვეული იყო გარკვეული პოლიტიკური მიზნებით. ქართველი ემიგრანტები დაუახლოვდნენ რუსეთის სამეფო კარს, ურთიერთობა დაამყარეს მოწინავე რუს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან. მოსკოვის მახლობლად მდებარე ვსესვიატსკოეში მათ დაარსეს ქართული ახალშენი, რომელიც შემდეგში ერთგვარი თავშესაფარი გახდა საქართველოდან ჩასულთათვის.

მოსკოვში მცხოვრები ქართველებისთვის კულტურის კერას თავდაპირველად წარმოადგენდა წმ. ნიკოლოზის ბერძნული მონასტერი, ხოლო როდესაც პეტრე I-მა არჩილს განკარგულებაში გადასცა დონის მონასტერი, არჩილმა იქ მიზიდა განათლებული ქართველი საეკლესიო პირები, რომლებთან ერთად იგი ენეოდა დაუცხომელ და მრავალფეროვან მოღვაწეობას. შემდეგში კი, არჩილის სიცოცხლეშივე, ქართველების კულტურულმა საქმიანობამ თანდათანობით გადაინაცვლა სოფ. ვსესვიატსკოეში ანუ, როგორც მათ შეარქევს, „სესენნკაში“ თუ „ვსესენნკაში“, ხოლო არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქართული სტამბაც აქვე იქნა გადმოტანილი. მოსკოვის ქართული



დავით გურამიშვილი

კოლონიის წევრები მრავალმხრივ კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას ენეოდნენ, ძირითადად კი, მათი საქმიანობა მთარგმნელობით მუშაობაში გამოიხატებოდა. ალექსანდრე არჩილის ძე, პეტრე ნექაძე, გაბრიელ ჩხეიძე, მელქისედეგ კავკასიძე, ბაგრატ სოლომაშვილი, დავით თურქესტანიშვილი და ქართული ახალშენის სხვა წევრები, არჩილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, აქტიურად ჩაებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ წამოწყებულ ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას. თვითონ არჩილი ენერგიას არ იშურვებდა ქართული კულტურის განვითარებისთვის. მან საფუძველი ჩაუყარა მოსკოვში წიგნის ბეჭდვის საქმეს, რედაქციას უკეთებდა წიგნებს და თარგმნიდა რუსული ენიდან. არჩილმა შეაგროვა ქართული ბიბლიის სხვადასხვანუსა, შეუდარა ისინი სლავურ ტექსტს და იქიდან ხელახლა გადმოთარგმნა ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, რომლებიც ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა. მისი დამზადებული მასალა შემდეგ საფუძვლად დაედო ბიბლიის ბაქარისეულ გამოცემას (1743 წ.). 1705 წელს არჩილმა სახაზინო სტამბაში დააბეჭდვინა ქართული „დავითი“. არ-



ვანტაგზ VI

ჩილმა რუსულიდან თარგმნა პეტრე  
მოგილას „მართლმადიდებელი აღ-  
სარებაი სარწმუნოებისა“, „ხრო-  
ნოლრაფის“ მეორე ნაწილი (პირვე-  
ლი ნაწილი ბერძნულიდან გადმოი-  
ლო მღვდელ-მონაზონმა ბაგრატ  
სოლომაშვილმა, ათონის ივერიის  
მონასტრის მოღვაწემ, რომელიც  
არჩილს საქართველოდან მოსკოვ-  
ში გაჰყავა) და „ალექსანდრიანი“.  
არჩილ მეფეს თუ მის შეილს ალექ-  
სანდრეს რუსულიდან გადმოუ-  
თარგმნია ასკეტურ-მისტიკური ხა-  
სიათის კრებული — „წიგნი სასურ-  
ველი“, რომელიც შედგენილი ყო-  
ფილა რუსთა მეფის — მიხეილ თევ-  
დორეს ძის დროს და მისი ინიცია-  
ტივით. ალექსანდრე ბატონიშვილი-  
მა რუსულიდან თარგმნა სიმეონ  
პოლოცკის თხზულება და „ტესტა-  
მენტი“; გაბრიელ ჩხეიძემ 1707 წ.  
რუსულიდან გადმოილო დიმიტრი  
როსტოკის (ტუპტალოს) თხზუ-  
ლება და ა.შ.

მოსკოვის ქართული ახალშენის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 1725 წლიდან, როდესაც ვახტანგ VI დიდი ამალით მოსკოვს ჩავიდა. მომავლის იმედით ჩრდილოეთისკენ გამგზავრებულ ქართველობას „უთუოდ ჰქონდა დასახული, სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, აგრეთვე, სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება. უამისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენად განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება“.

ვაგტანგთან ერთად საქართველოდან რუსეთში ჩავიდნენ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები, საეკლესიო პირები. ერთი სიტყვით, იმდროინდელმა რჩეულმა ქართული ინტელიგენციის დიდმა ხანილმა რუსეთში მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ: **სულხან-საბა ორბელიანი** და მისი ძმები — ნიკოლოზ, დიმიტრი და ზაალ-ზოსიმე ორბელიანები, ვახუშტი და ბაქარ ბაგრატიონები, ონანა ქობულაშვილი, გაბრიელ გელოვანი, ოტია ფავლენიშვილი, მამუკა და ომა ბარათაშვილები და სხვ. შემდეგ მათ კვალს მიჰყვნენ დავით გურამიშვილი (1729 წ.), დიმიტრი სააკაძე (1734 წ.), ვაგტანგ ორბელიანი (1737 წ.)

**და ა.შ.** ამრიგად, მოსკოვის ქართული ახალშენი შეიცვლა და გაიზარდა ახალი შემოქმედებითი ძალებით. ახალშენი თითქმის XIX საუკუნემდე განაგრძობდა შევსებას სამშობლო-დან გადახვენილთა ახალ-ახალი თაობებით.

ვახტანგისა და მისი თანამოღვა-  
წეების მოსკოვში ჩასვლის შემდეგ  
ვსესვიარატსკოე ქართველებისთვის  
კულტურის ძლიერ ცენტრად იქცა.  
აյ ფართოდ გაიშალა კულტურულ-  
ლიტერატურული და სამეცნიერო  
მუშაობა. ლიტერატურის სიყვარუ-  
ლისა და მეცნიერული მუშაობის მა-  
გალითს თვითონ ვახტანგი იძლეო-  
და. პოლიტიკაში დამარცხებული  
მეფე-პოეტი მთელ თავის ცოდნასა  
და დაუღალავ ენერგიას ქართული  
ლიტერატურისა და მეცნიერების  
აყვავების საქმეს ახმარდა. ვახტან-  
გბა ძოსკოვში გალექსა ერასტი  
თურქესტანიშვილის მიერ რუსუ-  
ლიდან გადმოთარგმნილი აპოვ-

თეგმების კრებული — „მოკლედ სიტყვის გება სოგრატისი“, რომელსაც „სიპრძნე მალაღობელი“ უწოდა. აქვე გალექსა მან დიდაქტიკური თხზულების „ამირნასარიანის“ პროზაული ვერსია, რომლის სპარსულიდან გაფრთხოვენ მასვე ეკუთვნის. იქ, რუსეთშივე დაწერა ვახტანგმა ლექსების დიდი ნაწილი.

უშუალოდ ვახტანგის მითითებებით, ხოლო ზოგჯერ კი მისივე თა-

ნამონაზილეობით, მიმდინარეობდა  
სამეცნიერო-ტექნიკური შრომები-  
სა და მხატვრული ნაწარმოებების  
შეთხვა ან თარგმანი. ასეთ თხზუ-  
ლებებს საგანგებო წარწერაც აქვთ  
ხოლმე: „ოდეს მობრძანდა მეფე  
ვახტანგ ქალაქესა მოსკოვს, მან მიბ-  
რძანა და თვითონვე მანვე ქართუ-  
ლის ენით გაასწორა და ვრცლად  
დასწერაო“.

ვახტანგის დავალებით მამუკა ბარათაძე ილმა გალექსა პოემა „ჯიმშედიანი“ და დაწერა პირველი ქართული პოეტური ნაშრომი — „ლექსას სწავლის წიგნი“ („ჭაშნიკი“), ერასტი თურქესტანიშვილმა რუსულიდან თარგმნა „აპოვთეგმატია“, მიხეილ ელივიჩმა თარგმნა „სივაკის ზომა ანუ პლანიმეტრია“, მელქისედეგ კავკასიძემ გადაწერა ვახტანგის თხზულებათა შემცველი ჯნობილი ხელნაწერი და სხვ.

თავინათი შრომებითა და თარგ-  
მანებით ქართველმა ემიგრანტმა  
მწერლებმა გაადიდოეს ქართული  
მეცნიერული ლიტერატურა და  
ქართველებისთვის ხელმისაწვდო-  
მი გახადეს მოწინავე რუსული  
მეცნიერების იმდროინდელი მიღ-  
წევები.

ვახტანგი VI-ის გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ მალე ქართველი ემიგრანტების „ბედნიერებას“ ფრთხები შეეკვეცა. ვახტანგის სასით მოსკოვის ქართველობამ დაკარგა არა მარტო ყოველგვარი კულტურულ-ლიტერატურულ წამოწყებათა სულისჩამდგმელი, მეთაური და ორგანზატორი, არამედ ის დიდი იმედიც, რომელიც მათ ანუგეშებდა, მომავლისადმი რჩმენას უნერგავდა და სამშობლოში დაბრუნებას ჰპირდებოდა. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობამ ქართველ ემიგრანტებს შეუწყვიტა ის ნივთიერი დახმარება, რომელსაც მანამდე აძლევდა და აიძულა ისინი რუსეთის ქავერლობობა მიეღოთ.

1738 ნ. ჩამოყალიბდა ქართველ ჰუსართა შენაგრთი, რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა. რუსეთის მთავრობის სამხედრო და სამეურნეო ინტერესებმა განაპირობა ქართველების დასახლება უკრაინაში. სამხედრო სამსახურში შესულ ქართველებს რუსეთის ხელისუფლებამ უკრაინაში გამოიყო სამოსახლო ადგილები, რის გამოც ისინი უკრაინის ქალაქებში დასახლდნენ. მოსკოვში დარჩნენ ძირი-

80

თადად ის ქართველები, რომელებმაც უარი განაცხადეს სამხედრო სამსახურში შესვლაზე. რუსეთის ხელისუფლებამ მათ ნივთიერ დახმარებაზე უარი უთხრა. ამიტომ ქართველი ემიგრანტები შემდგომში დიდ ეკონომიკურ სივიწროვეს განიკვიდნენ.

ერთის მხრივ, ვახტანგის გარდაცვალებამ, ხოლო მეორეს მხრივ, ქართული ემიგრაციის მიმართ რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, უარყოფითად იმოქმედა მოსკოვის ქართულ ახალშენზე. ვახტანგის გარდაცვალებით გამოწვეულ ემიგრანტთა სულიერ კრიზისს დაემატა მათი ძირითადი ბირთვის დაქასქვადანანილება და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში, უმეტესად უკრაინაში, გაფანტვა. ყოველივე ამან დაასუსტა ახალშენის შემოქმედებითი ძალები. შიუხედავად ამისა, მოსკოვის ქართულმა ახალშენმა მაინც შეინარჩუნა თავისი სახე, არ დაიშალა და, მართალია, შედარებით სუსტად, მაინც ძველი საქმიანობა განაგრძო. მოსკოვის ახალშენი არსებობას განაგრძობდა სხვადასხვა დროს საქართველოდან გადახვენილი, მოსკოვში სხვადასხვა მოვალეობისთვის ჩასული თუ იქ დაბადებული ქართველების შევსებით.

## ვასტანის გეოლოგია



၁၇

1737-1744 წწ. ამ სტამბაში დაიბეჭდა თერთმეტი დიდტანი ნიგნი, რომელთაგან ოთხი რუსულიდან არის ნათარგმნი. მოსკოვის ქართული სტამბის გამოცემებიდან აღსანიშნავია: „დავითი“ (1737), „ტესტამენტი“ (1739), ბიბლია (1743), იოანე დამასკელის „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა“ (1744), სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“ და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნიგნების შემკულობანი ნახესხებია რუსული სტამბის გამოცემებიდან.

მოსკოვის ქართული ახალშენის  
საგამომცემლო მუშაობა წარიმარ-  
თა ბაქარ ბატონიშვილის უშუალო  
მეთვალყურეობით. სასტამბო-სა-  
გამომცემლო სამუშაოებში კი აქ-  
ტიურად მონაწილეობდნენ ამ საქ-  
მის გამოცდილი პირები და მდივან-  
მენერინობრები: ოსებ თამაზის ძე  
ქობულაშვილი (იოსებ სამებელი),  
ქრისტეფორე გურამიშვილი, მელ-  
ქისედეგ კავკასიძე, ბაქარის კარის  
მლვდელი ფილიპე, არქიმანდრიტი  
გერმანე და სხვ.

1745 წლიდან მოსკოვის ქართული სტამბის მუშაობა დროებით შეწყდა. 1762 წ. კი თბილისის მიტროპოლიტის — ათანასე ამილახვარის ინიციატივითა და ხარჯით მოსკოვში განახლდა ქართული წიგნის შექმნა. 1762-1768 წლებში აյ დაიბეჭდა ცხრა გამოცემა. განახლე-

ბულ ქართულ სტამბაში წიგნები  
იბეჭდებოდა დიმიტრი ციციშვილის  
„ზედამხედველობითა და მოურნე-  
ობითა“ და „ხელითა მესტამბე აბ-  
რამაძ ურიასკოფილისათა“.

მოსკოვის ქართული ახალშენი  
განაგრძობდა არსებობას საქართ-  
ველოს რუსეთთან შეერთების შემ-  
დეგაც. „ქართული კოლონია მოს-  
კოვში ამის შემდეგაც (რუსეთთან  
საქართველოს შეერთების შემდეგ.  
— რედ.) დიდხანს არსებობდა რო-  
გორც ქართული კულტურის კერა-  
და წარმატებით აგრძელებდა თა-  
ვის საქმიანობას. ამ კოლონიის შემ-  
ნებობით რუსული განათლებული  
საზოგადოება ეცნობოდა საქართ-  
ველოს წარსულსა და ანტყოს. კო-  
ლონიის განსწავლული მოღვაწენი  
შემდგომშიაც განაგრძობდნენ მშობლიური კულტურისადმი სამ-  
სახურს“.

ეოსეკოვის ქართული  
ახალგანის დაარსებას  
დადაგითან ერთად  
უასყოვითი მხარეების  
პერდეა. სხვას რომ თავი  
დავაცემოთ, ასეთში  
გადასახლდა  
იმდროიდები ქართველი  
იმედისგაცის საუკათასო  
ენიჭი. ახასთან,  
ვასტანების ამაღლამ  
საქართველოდან გაიჩანა  
მძიდარი სამაფო  
გიგლიორთება, უამრავი  
ქართული ხელნაწერი და  
თბილისის სტამბის  
დაცილები. ყოველივე ამან  
კი დიდი ხელი  
საგრძლებლად გააფისება  
საქართველოში  
გაჩაღებული კულტურულ-  
ეთნიკული ძალაობრივი  
ხალოებითი მუზეუმი.



სამაგიეროდ, სამშობლოს ბედის მაძიებლებს უცხო მხარეშიც არ შეუწევდებიათ სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობა. „სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო-სასწავლო წიგნებს, კვლავ აღადგინეს არჩილის მიერ გამართული სტამბა, სადაც ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს, თხზავდნენ ლექსებს და სხვ. მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა საქართველოს შედარებით მცირეს რგებდა. მათი ნამუშევრები სამშობლოში მცირედ აღწევდა და აქ კულტურული მოღვაწეობის მოდუნების გამოვრც სათანადო გამოძახილ პოლობდა და, რაც უმთავრესი იყო, დიდი ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის ეს კერა იქ, რუსეთში გადახიზული, უმეტესობის მეტებით შენებლად იყო განნირული.

საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალთაობებს არ ქმნიდა. მიუხედავად ამისა, ქართველთა კოლონიის დადებითი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო. მან ძლიერად შეუწყობელი საქართველოს კულტურულ დაახლოებას რუსეთთან". გარდა ამისა, ქართული ახალშენი მოსკოვში ნამდვილი ცენტრი იყო პოლიტიკური ემიგრანტი-პატრიოტებისა, რომლებიც დაუცხრომლად იბრძოდნენ თურქი და სპარსელი მოძალადებისგან სამშობლოს გასათავისუფლებლად.

მოსკოვის ქართული ახალშენის შემდეგ ქართული კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ყველაზე უფრო გაჩადებული იყო ასტრახანში. მოსკოვ-პეტერბურგში მიმავალ ქართველებს გაჩერება უხდებოდათ ქ. ასტრახანში ("აშთარახანში" თუ „აშტარხანში“), სადაც იღებდნენ გამგზავრების ნებართვას. ასტრახანის გეოგრაფიული მდებარეობა მეტად მოსახერხებული იყო რუსეთის შიდა მხარეებში ნაოსნობისათვის. ამასთან, ქართველებისთვის ასტრახანი წარმოადგენდა ხელსაყრელ ადგილს რუსეთთან ვაჭრობის გასაძლიერებლად. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, რაც მთავარია, „ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა სისტემატური ცოცხალი ურთიერთობის შენარჩუნებას საქართველოსთან. ასტრახანი იყო ის



პესია (შესარიცხ გაბაშვილი)

პუნქტი, საიდანაც ხორციელდებოდა ეს ურთიერთობა. ამიტომ არ შეიძლებოდა ასტრახანში ქართველთა გარკვეული ნაწილი არ ყოფილიყო დამაგრებული".

1682-1685 წლებში ასტრახანში მოუხდა ცხოვრება რუსეთში მიმავალ არჩილ მეფეს. მან აქ გააჩაღა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა და დაწერა შემდეგი თხზულებანი: „საქართველოს ზნეობანი“, „სიტყვა სანათლისძებო“, „სამიჯნურონი“, „რვათა გვამისა ასოთა“ და სხვ. ასტრახანშივე დაასრულა არჩილმა „გაბასახება თეიმურაზ პირველისა და რუსთველისა“.

დაახლოებით ოთხი ათეული წლის შემდეგ რუსეთში გაემგზავრა ვახტანგ VI. ლტოლვილი მეფე თავისი ამალით ასტრახანში ჩავიდა 1724 წ. 8 ნოემბერს, ხოლო აქედან, ყველაზე უფრო ახლობლებით, 1725 წ. 2 თებერვალს პეტერბურგს გაემგზავრა. ვახტანგის ასალის დიდი ნაწილი კი, რუსულან დედოფალთან ერთად, დროებით ასტრახანში დარჩა.

ასტრახანიდან ვახტანგის გამგზავრების შემდეგ იქ დარჩენილ მეფის ამალას ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყურადღება მიაკლეს და ეკონომიკური პირობებიც გაუუარესეს. რუსულან დედოფლის ნასაყანად პეტერბურგიდან ჩასული ოფიციალური პირი საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი წარგზავნილ ცნობაში წერდა: „Наги

и голодни, которые себе пропитание имеют рабою у Астраханских обывателей, на что князья их и архиерей не уважают“. ამალის ერთ-ერთმა წევრმა, ნიკოლოზ ორბელიანმა, დაწერა იამბიკო, რომელშიც აღწერილია ასტრახანში მყოფი ქართველების მძიმე მდგომარეობა. იგი პეტერბურგში მყოფ ვახტანგს ატყობინებს, რომ არა გვაქვს „არ წამალ სენთა, არ საზრდელ გვამთაო“, „გვხმობენ ქირდებით და ვიბრუნებთ სულსა ესრეთ მცირით დიდებითო“. ასეთი მდგომარეობის გამო იგი უსაყველურებს ვახტანგს: „თუ სულიერ ხარ, ესრეთ ვითარ ვისჯებითო“. გამნარებული ასეთი ცხოვრებით, ნიკოლბელიანი დასძენს: „მქები წაწყმდეს აქ უცხოთ შეწყნარებისაა“.

მიუხედავად იმისა, რომ ასტრახანში ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობისთვის სათანადო პირობები არ იყო შექმნილი. იქ დარჩენილ ამალის წევრებს, უსაქმოდ ყოფნის გამო და სამშობლოს დატოვებისგან გამოწვეული კავშინის გასაქარვებლად, განუგრძელიათ სამშობლოში დაწყებული ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული მუშაობა. აკი აცხადებს მამუკა ბარათაშვილი „წამებულში“: „ცუდ ყოფით, ფიქრით შეკრულმან და უსაქმიბით მარემან, მაშ, რა ქმნას მწირმან მწირს ალაგს... არც იკითხოს და არც წეროს?“

ასტრახანში დარჩენილ ქართველობას პოლიტიკურ და კულტურულ ხელმძღვანელობას უწევდა უფლისენული ვახუშტი. ასტრახანის ლიტერატურულ წრეში ამ დროს ირიცხებოდნენ: ონანა ქობულაშვილი, ნიკოლოზ და დიმიტრი ორბელიანები, მამუკა და თომა ბარათაშვილები, ოტია ფავლენიშვილი, ჯავახიშვილი და სხვები. ქართული კულტურის ეს უანგარო მოამაგენი დიდი მონძლობებით ამრავლებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, მრავლად თარგმნიდნენ ლიტერატურულ-მეცნიერულ წიგნებს, თხზავდნენ მხატვრულ ნანარმოებებს. ონანა ქობულაშვილმა გალენისა „ბარამგულიჯანიანი“, მამუკა ბარათაშვილმა აქ მიიღო თავისი პირველი პოეტური ნათლობა და დაწერა „წამებული“, ნიკოლოზ ორბელიანმა შეთხზა იამბიკო, იოსებ კლიმიაშვილმა გადანუსხა იოანე დამასკელის „მოკლე წინამ-

80

ძლვარი” და ა.შ. უფრო მოგვიანებით ასტრახანში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გაიოზ რექტორი (გარდ. 1821), ალექსანდრე დიმიტ-რის ძე ამილახვარი (1750-1802), ზაქარია გაბაშვილი (გარდ. 1783) და გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830).

ნაყოფიერი ლიტერატურული  
მუშაობა მიმდინარეობდა უკრაი-  
ნის ქალაქ კრემენჩიკში. აյ 1785-  
1790 წლებში მოღვაწეობდა გაიოზ  
რექტორი. კრემენჩიუგში დაწერა  
მან „გრამატიკა“, „ქრისტიანობრი-  
ვი სწავლა, ანუ ჭეშმარიტი სიტყვა  
ლმრთისა“ და რუსულიდან თარგ-  
მნა ამბროსი მედიოლანელის  
თხზულებანი, „საეკლესიო ისტო-  
რია“, „დილის ლოცვანი“ და სხვ.

1787-1789 წლებში კურემენჩუგში  
იმყოფება ბესარიონ გაბაშვილი  
(ბესიკი), რომელიც გენერალ პო-  
ტიომეკინთან იყო წარგზავნილი  
იმერეთის მეფე დავითის მიერ. აქ  
ბესიკს არ შეუნელებია ლიტერა-  
ტურულ-შემოქმედებითი მუშაობა  
და დაუწერია ლექსები.

ქართლ-კახეთის საქმეებთან და-  
კავშირებით 1787 წელს კრემბიჩუგ-  
ში ჩავიდა **მირიან ბატონიშვილიც**  
(1767-1834). სწორედ აქ, კრემბი-  
ჩუგში, მას უნდა შეხვედროდა მირ-  
გოროდიდან ჩამოსული დავით გუ-  
რამიშვილი, რომელმაც მიართვა  
თავისი ნაწერების კრებული; პოე-  
ტი და მწიგნობრობის მოყვარული  
უფლისნული უახლოვდება კრემბი-  
ჩუგში მყოფ ბესა კასა და გაიოზრექ-  
ტორს და მათთან ერთად აქტიუ-  
რად ებმება ლიტერატურულ საქმი-  
ანობაში. ამ ამაგდარი სამეცნიერო  
გარდა, კრემბიჩუგში მოღვაწეობდ-  
ნენ სხვა ქართველებიც, რომელთა  
საქმიანობაც, უმთავრესად, მთარ-  
გმნელობით-კალიგრაფიული ხასი-  
ათისა იყო.

საგამომდკემლო-ლიტერატურული მუშაობა გაჩაღებული იყო ქ. მოზღვიშიც, სადაც ახლად დაარსებულ ეპარქიას (1793 წ.) განაგებდა **გაიოზ რეკტორი**. მან თავისი ცხოვრება უმეტესად რუსეთში გაატარა. იგი ცხოვრობდა მოლდავეთში, პეტერბურგში, სარატოვში, ასტრახანსა და პენზაში. ამიტომ გაიოზის ლიტერატურული საქმიანობა რუსული მწერლობის ზეგავლენით წარიმართა. მისი თანამედროვის სიტყვით, „ესე იყო ფრიად განსწავლული რუსულისა... ამან თარ-

გმნარუსულიდან უმრავლესნი წიგნები ვითარცა სამოქალაქო, აგრეთვე საეკლესიონი, ვიდრე 400-მდე“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაიოზ რექტორის ინიციატივითა და ხარჯით ქართული სტამბის მოწყობა მოზღვოში. აღნიშნული სტამბა მუშაობდა 1796-1801 წლებში სტამბის ოსტატის — რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილის თაოსნობით. მოზღვოების სტამბის გამოცემები-დან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ოთხმა: რომანოზ ზუბაშვილის წერილი გაიოზისადმი (1796), გაიოზის „გრამატიკა“ (1796-1800), მისიკე „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა“ (1797) და „განცენება შინაგანისა საქართველოისა მართვისა“ (1801).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეცნიერულ-ლიტერატურული და მთარგმნელობით-კალიგრაფიული საქმიანობა წარმატებით იყო გაშლილი რუსეთის დანარჩენ ქართულ ახალშენებშიც. ქართული კულტურის დაუღალავი მუშავი წლითინ-ლობით ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენს მწერლობას. მათი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებანი ქართული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ქართული ემიგრანტული მწერ-ლობა, ძირითადად, განაგრძობდა ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარსა და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მაგრამ, ამასთანავე, ქართულ ლიტერატურაში ემიგრანტმა მწერლებმა შეიტანეს ბევრი ახალიც, პოეზია გაამდიდრეს შინაარსობრივად, ჟანრობრივად, გადაახალისეს მანამდე გამოყენებული პოეტური ფორმები, შემოიტანეს ახალი ლექსიკა და სხვ. ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობის დამყარება იწვევს ლიტერატურის შინაარსისა და ფორმების განახლებას. ემიგრანტთა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გავლენით ლიტერატურა იძენს ახალ თვისებებს.

რუსეთში შექმნილი იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ქართული ემიგრაცია აღმოჩნდა არასასურველ მდგომარეობაში: სამშობლოდან გადახვენას დაემატა ნივთიერი სივიწროვეც. პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შეცვლამ ემიგრანტ მწერლებში გამოიწვია ცხოვრების უარყოფითი შეფასება. ეს მოტივი

Տայմաօդ ձլոյրագա Եարմոցցենու-  
լո մատս լուրոյշալ լոյշեածի. մա-  
տո լոյշեածի ման մկայտրագ մշղազ-  
նցքի միյցգապրոյցնուլո ըմիցրա-  
պուս մջցոմարցոն ճա մատո և լուրո-  
յոր մլցոլցարցի, սասոնարցոցո-  
լցի սա ճա ցուլցաթէենուլոն ճա ցան-  
ցոն պոլցի. իսոն յինուան ամ սոյց-  
լու մյետլոնի, պրոյոնի, ցայ-  
տանլոնի, ճայնֆոլոնի. ամ ցա-  
րյոնցի յու, տազու մերու, եցլու Շյ-  
նցոյու ըմիցրանցու Շյմոյմէցի պահու-  
րոմանցու մուս սանցուսի պահու-

ემიგრაცია მცირდება  
სათალი ფარებით  
გადამოვცხას მათი  
თანადროული ცხოველება,  
სრულიალური და  
პოლიტიკური  
ეფექტურა გარება. მათ  
თხულებები უკვე  
აუკარად შეიმჩნევა  
თადეათანობითი  
ააგრძელა საეკლესიო-  
ალიგიური  
იცხარესაგილან  
ამოქალაქო, ამვეჯილი,  
ყოველდღიური  
იცხარესაგისაკან.  
ემიგრაციი მცირდება  
გვისატავე არალისტერ-  
საყოფასცხოველო  
სერატებს, მათს  
თხულებები თავს იჩენ  
ასალი, საეკრ  
მსოფლეოდველობა.

ემიგრანტთა ნაწერებში განსა-  
კუთრებით ძლიერად უდევს დი-  
დაქტიკური ელემენტი. ამ დროს ვი-  
თარდება დიდაქტიკური ლიტერა-  
ტურა. ამ თხზულებებში საკმაოდ  
გვხვდება ჯანსაღი აზრები და გან-  
მარტებები, რომლებიც მოწმობენ  
მათი ავტორების დიდ განსწავლუ-  
ლობას.

ემიგრანტულ ლიტერატურას  
ნაკლებად ახასიათებს სადევებირო  
და საზღვაპრო შინაარსის თემები, ან  
სატრიფიალო-სამიჯნურო პოემები.  
მათი შემოქმედების საგანი ყოველ-  
დღიური ამბებია, ისინი ახლოს დგა-  
ნან ცხოვრებასთან და ცხოვრების  
ყოველდღიური სინამდვილით სუ-



ლდგმულობენ. ალბათ, ნაწილობრივ ამითაც არის გამოწვეული, რომ ემიგრანტმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში უხვად გამოიყენეს ავტობიოგრაფიული ხასიათის მასალები. მეორე მხრივ, საპატიო ადგილს იჭერს მათს შემოქმედებაში ეროვნული მოტივი.

**„ჩუსეთისა და უკაიის  
ეართულ კოლონიაზი  
მაქანილ ნაცაროვაზი  
იგრძოვა ერთი გაეკვეული  
კილო, სამოგლოდან  
ისულავითი გადასვენით  
გამოცვეული სავა-  
ნალვაზი, საციფიკური  
ემიგრაციული  
მჯრევაზება. ამიტომაც  
აღიაველი კოლონიას  
მცარლოვას XVIII საუკუნის  
ემიგრაციულ ეართულ  
მცარლოვასას უცოდება“.**

ემიგრანტი მწერლების შემოქმედების სპეციფიკურმა კილომ, მოტივმა გამოხატულება ჰპოვა შესატყვის ფორმაში. ახალი თემების დასამუშავებლად, რომლებშიც გადმოცემული იყო პიროვნების ინტიმური გრძნობა-განწყოფილებანი, საიჭრო გახდა ლექსის ახალი სახეები, ფორმები. ვრცელი და გრძელი ლექსების ნაცვლად, თავისი განწყობილებების გადმოსაცემად, ემიგრანტი მწერლები მიმართავენ მოკლე ლირიკულ ლექსებს.

ახალი ფორმების ძიებით ემიგრანტი მწერლები ქართულ ლიტერატურას ამდიდრებენ ახალი გამომსახველობითი საშუალებებით. მართალია, ზოგჯერ ამ ლექსებში უფრო მეტია ფორმალური ვერსიფიკატორობა, ვიდრე ნამდვილი ცხოველმყოფელი პოეტური აღტყინება, ხშირად მათი ენაც შედარებით მძიმეა, მაგრამ ამ პოეტური ქმნილებით ემიგრანტმა მწერლებმა ქართულ ლიტერატურაში შემოიტანეს ლექსის ახალი ფორმები და უანრები.

ემიგრანტი მწერლები მშობლიურ ლიტერატურას ამდიდრებენ თარგმანებითაც.

**ჩუსეთისა და უკაიის  
ეართული ახალშევისი**

## ჩამოყალიბება ხელი გაუცო ნათარების მასობრივად ლიტერატურის მასობრივად

**გავრცელებას. ჩუსეთის  
გზითვა გავრცელდა ჩვანები  
დასავლეთი ევროპის  
ლიტერატურა.**  
**თარგმანების მასვარით  
ქართველი მაითხმები  
ცხოველი ჩუსელი და  
ევროპული მცარლობის  
სხვადასხვა დარგის.**  
**ჩუსელ-სლავურიდან  
ქართველები თარგმანიდნენ  
როგორც სასულიერო  
ეგლებას, ისე იმ დროს  
რესეტი გავრცელებულ  
სარო სასიათის ნივნებას.**

პირველ ხანებში თარგმნილი ლიტერატურა უმთავრესად შეადგენდა მორალურ-ფილოსოფიური და დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებებს, რომელთა მიზანს ნარმადებენდა ზნეობრივი დარიგებანი. ამ სახის თხზულებათა თარგმანი ქართველ მკითხველს უნერგავდა ცოდნის საჭიროებას, უვითარებდა ლიტოლვას განათლებისკენ. შემდეგ კი მხატვრულთან ერთად ითარგმნებოდა მეცნიერული, ტექნიკური, სამხედრო თუ სხვა სახის წიგნები და შრომები. ნათარგმნმა ლიტერატურამ ქართველ მკითხველებს გააცნო ზოგიერთი ახალი უანრი და მხატვრული საშუალებანი.

ზუსტ, ზედმინებით თარგმანთან ერთად ქართველი მთარგმნელები მშირად გვაძლევენ ტექსტის არაზუსტ, უფრო სწორად, თავისუფალ თარგმანს. თავისი შეხედულებებისდა მიხედვით ისინი თავისებურად ცვლიდნენ, კუმშავდნენ და ავრცელდნენ თარგმანის ადგილებს, აქართულებდნენ ადამიანთა რუსულ, ეროვნულ სახეებს, ცვლიდნენ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რუსეთის გეოგრაფიულ პუნქტებს საქართველოს ადგილმდებარებით ასხვაფერებდნენ. ერთი სიტყვით, გვაძლევდნენ გადამუშავებულ ტექსტებს. ამით ისინი ცდილობდნენ ნაწარმოების „გადმოქართულებას“, რათა თხზულების

შინაარსი უფრო გასაგები და მისაწვდომი გაეხადათ ქართველი მკითხველისთვის.

რუსეთ-უკრაინის ქართული ახალშენები ხელს უწყობდნენ რუსი და ქართველი ხალხის ლიტერატურის ურთიერთ გაცნობას. მთარგმნელობითი პროცესი არ იყო მხოლოდ ცალმხრივი — არა ერთი თხზულება იქნა გადათარგმნილი ქართულიდან რუსულ ენაზე. ასე, მაგალითად, ქართული ენიდან რუსულად უთარგმნიათ პოლტავაში შვედებზე ძლევამოსილი გამარჯვების აღსანიშნავად არჩილ მეფის მიერ საგანგებოდ დანერილი ლექსი, „ბარამულანდამიანი“ (მთარგმნ. სიმონ ეგნატაშვილი), ალექსანდრე ამილახვრის „გეორგიანული ისტორია“, მისივე „სატრახანში“ და სხვ.

ქართველი ემიგრანტი მწერლები თავიანთი შემოქმედებითადა პრაქტიკული მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ რუს და ქართველ ხალხებს შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებას. მათ შეითვისეს მოწინავე რუსული კულტურის საუკეთესო ტრადიციები და ორგანულად შეუკავშირეს ის თავის მრავალსაუკუნოვან კულტურას. რუსულმა მოწინავე კულტურამ კეთილხაყიფერი გავლენა იქონია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაზე. სწორედ ამ კულტურის ზემოქმედებით არსებობას განაგრძობს აღორძინებული ახალი ქართული თეატრი და დრამატურგია და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსდება რუსულ-სლავური ტიპის სასწავლებლები (სემინარიები).

დასასრულ, რუსეთის ქართული ახალშენების მოღვაწეთა წარმატებითი პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობით ნიადაგი მომზადდა საქართველოს შესასვლელად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში. „თვით ის ფაქტი, რომ რუსეთში ქართული საქმის კეთებას ხელს არავინ უშლიდა და თვით რუსულ მაღალ კულტურასთან ურთიერთობაში საქმე წინ მიდიოდა, იმის აშკარა მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთი სხვა მეზობელთა განსხვავებული „ქართველობისათვის“ ნაკლებ საშიში, მყუდრო და განათლებული თავშესაფარი იყო“.

**ქართველი ლიტერატურის  
ისტორიის მასალებიდან**

# ქართველი სასულიერო მოძვალე, მასტაპე იორებ სახაგალი (ქოგულავილი)

იოსებ სამებელი (1676–1750) კახეთის განათლებულ თავადურ გარემოში აღიზარდა. მისი მამა, კახეთის მდივანმწიგნობართუხუცესი თავადი თამაზ ქვაბულისძე პოეტიც იყო. იოსების პაპას, სვიმონ ქვაბულისძესაც, მდივანმწიგნობართუხუცესის თანამდებობა ეპყრა. იოსების ბიძაშვილი ფილიპე მლევდელი მესტამპე იყო, და — ილუმენია თინათინი. მისი ძმისნული — ავთანდილ (ათანასე) ქობულოვი, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრი იყო და შემდგომში ქართველ ჰუსართა პოლკში ჩაირიცხა, სადაც სეკუნდ-მაიორად მსახურობდა.

იოსებმა მოლევანეობა შიომლვი- მის მონასტერში დაიწყო. XVII საუ- კუნის დასასრულს იგი მონასტრის ნინამძღვარი იყო. 1705 წელს პატ- რიარქმა დომენტიმ იგი ეპისკოპო- სად აკურთხა, ხოლო 1709 წელს მი- იღო სამების ეპარქია, რომელსაც განაგებდა 1723 წლამდე. ჩისმალე- ბის შემოსევის დროს სამების ტაძა- რი და ეპარქია ოსმალება აიკლეს. იოსებმა დატოვა თავისი საწყისო, ამავე წლებში წილკნის ეპარქია და მთავარეპისკოპოსის ხარისხი მიიღო. წილკნის ეპარქიას იგი 1729– 1730 წლებამდე განაგებდა, ამ დროს კვლავ დაიძაბა მდგომარეო- ბა საქართველოში, ოსმალებმა მოკლეს კახეთის მეფე კონსტანტი- ნე (მამადყულიხანი) და ააოხრეს ქართლ-კახეთი. ამ არეულობის დროს წილკნის ეპარქიას დიდი ზა- რალი მიადგა. იოსებმა კვლავ და- ტოვა თავისი სამწყსოდა 1731 წელს რუსეთს გაემგზავრა რათა მოწყა- ლება შეეგროვებიმა დაზარალებუ- ლი ქართული ეკლესია-მონასტრე- ბის აღსაფეხნად. რუსეთში იოსები 33-კაციანი ამალით გამგზავრებუ- ლა. დარიალის ხეობაში თავს დასხ- მიან ჩეჩენ-ლეკები, მგზავრები გა- უძარცვავთ, ზოგი მათგანი დაატყ- ვევეს, ზოგიც მოკლეს. სამებელს მოუკლეს ძმისნული კონდრატი, თვითონ იგი დაატყვევეს. 17 დღის განმავლობაში ლეკებს ჯაჭვით ჰყოლითათ დაბმული. ამ ამბავმა რო- გორლაც მოსკოვსა და პეტერბურ- გში მყოფ ქართველებამდე მიაღ- ნია. ვახტანგ VI-მდა იქ მყოფმა ქარ- თველობამ იშუმდგომლეს მთავ- რობის ნინაშე და გაათავისუფლეს


იოსები. ტყველებიდან გამოხსნილი სამებელი მისულა ჯვარის ციხეს, იქ დაუსაფლავებია თავისი ძმისნუ- ლი და გამგზავრებულა მოსკოვს, სადაც 1732 წელს ჩააღწია. მდცირე ხანს დაბინავდა ვორონეჟის მონას- ტერში, ვახტანგის შუამდგომლო- ბით სინოდმა მას ჯამაგირიც დაუ- ნიშნა. 1733 წელს სამებელი მიიწვი- ეს ნეკსის ლავრაში გარდაცვლილ ჰერცოგ მეკლენბურგ შვერინის საფლავზე მლოცველ-მწირველად. 1734 წლის 22 მაისს იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულის ბრძანებით, იოსებ სამებელი ნოვგოროდის მიტ- როპოლიტის თეოფანე პროკოპო- ვიჩის თანაშემნედ დაანინაურეს და ამავე დროს პირველი ხარისხის იურიევის, ანუ წმინდა გიორგის მო- ნასტრის წინამდღვრობა უბოძეს.

ამ დროიდან შეუდგა იოსებ სამე- ბელი საქართველოს ეკლესიისათ- ვის სასარგებლო საქმეთა კეთებას.

პირველ რიგში იგი, როგორც იმდ- როინდელი მრავალი მოღაწე, პირ- ველი რიგის ამოცანად მიიჩნევდა ქართული სტამბის გამართვას. იოსები ცდილობდა, ქართული სტამბა მოეწყო მოსკოვში, მით უფ- რო რომ ვასტანგის შემდეგ თბი- ლისში სტამბის მუშაობა შეწყდა. ასეთივე სურვილი ჰქონდა ბაქარ ბატონიშვილსაც, მაგრამ სტამბის დაარსებასა და წიგნების ბეჭდვის საქმეს თანხის უქონლობა აბრკო- ლებდა. დარეჯანის სტამბა პატარა იყო და სრულებით არ კმაროდა მა- თი სურვილის განხორციალები- სათვის. იოსებ სამებელმა 3-4 წლის განმავლობაში თავისი სამსახურით მოახერხა საკამაო თანხის მოგროვე- ბა სტამბის დასაარსებლად და წიგ- ნების ბეჭდვის დასაწყებად. ამ საქ- მის შესრულება იოსებმა მიანდო თავის ახლო ნაცნობსა და სანდო პირს, მღვდელმონაზონ ქრისტე- ფორე გურამიშვილს. მანაც 1737 წელს სამებელის ხარჯით შეიძინა დარეჯან ბატონიშვილის სტამბა, ტექნიკურად გააუმჯობესა და საკ- მაოდ კარგად მოწყობილი სტამბა გამართა. სტამბის ზედამხედველო- ბა ებარა ქრისტეფორე გურამიშ- ვილს. იოსებს უნდოდა მოსკოვს გა- დასვლა, რათა სტამბისათვის

## ალავერდის ტაძარი





## შირვანის მონასტერი

ეხელმძღვანელა, მაგრამ სინოდმა  
არ გაათავისუფლა იმ მიზეზით,  
რომ ნოვგოროდის კათედრაზე ყო-  
ფლილი მიტროპოლიტის (თეოფანე-  
პროკოპოვიჩის) გარდაცვალების  
შემდეგ ახალი მიტროპოლიტის და-  
ნიშვნამდე მისი მოვალეობა იოსებს  
უნდა შეისახოვინდინა.

სამეცნიელის სტამბის გამართულ  
მუშაობაზე ზრუნვდნენ მოსკოვში  
დამკვიდრებული ქართველები ბა-  
ქარ ბატონიშვილის თაოსნობით. ამ  
დროისათვის დღის წესრიგში იდგა  
ქართული ბიბლიის ბეჭდვის საქმე  
(რომლის რედაქტორება არჩილმა  
დაიწყო). ასევე სურდათ დაეპეჭ-  
დათ სახარება, სამოციქულო, და-  
ვითნი, ჟამნი, ლოცვანი, კონდაკი,  
კურთხევანი, ტიპიკონი, სვინანქა-  
რი, თვენი, პარაკლიტონი, მარხვა-  
ნი, ზატიკი. 1739-1740 წელს ბაქარ-  
მა შეკრიბა რუსეთში მყოფი ქართ-  
ველი სამლვდელოება და ერთად იმ-  
სჯელეს ქართული წიგნების ბეჭდ-  
ვის საკითხებზე. ბაქარმა სამლვდე-  
ლო პირებს შესთავაზა დასაპეჭდად  
განზრახული წიგნების რედაქტი-  
რება, ხოლო საგამომცემლო საქმე  
მთლიანად უნდა ჩაეპარებინათ  
მთავარების კონცოს იოსებისათვის.  
1740 წელს ბაქარმა სინოდს აცნო-  
ბა ქართველ სამლვდელოთა კრების  
გადაწყვეტილება და ითხოვა სამე-  
ბელის მოსკოვში გადმოყვანა. 1740  
წელსვე, სინოდის ბრძანებით, იგი  
მართლაც გადაიყვანეს მოსკოვის

ზნამენის მონასტერში, რომლის არ-ქიმანდრიტადაც იგი დარჩა გარდა(კვალებამდე) (1750).

მას შემდეგ, რაც სამებელი მოსკოვს გადამოვიდა, უპირველეს საქმედ ქართული დაბადების დაბეჭდვა იქცა. ალსანიშნავია, რომ ამ წიგნის დასაბეჭდად სტამბა დოროებით გადატანილი იქნა ბაქარის ბინაზე დაბა ვსეხსვიატსკოეში ანუ, როგორც თვით წიგნშია მოხსენიებული, „დაბასა სესვენნკისასა, მოსკოვის ახლოს“. იმუამად სტამბის ოსტატები იყვნენ: ქრისტეფორე გურამიშვილი, ბაქარის კარის მღვდლები ფილიპე და დავითი. სტამბის ზედამხედველად და მეურნედ დაინიშნა ვახტანგ მეფის ყოფილი მდივანმნიგნობარი მელქისედეკ კავკასიძე. „დაბადების“ ბეჭდვაში მონაწილეობას იღებდნენ ბაქარი და ვახტანგი ბატონიშვილი. თუმცა ამ წიგნის დაბეჭდვამდე მისი სერიოზული სწორება მოუნია იოსექ სამებელს — მან ქართული ტექსტი შეუდარა ებრაულ, სირიულ, ბერძნულ და სლავურ ტექსტებს. „დაბადების“ რედაქტირება დასრულდა 1742 წლის დამლევს, მაგრამ მისი ბეჭდვა ნაწილ-ნაწილ დაიწყო და 1743წლის 1 მაისს უკვე სრულად იყო დაბეჭდილი. ცნიბილია, რომ სამებელმა კიდევ მრავალი საეკლესიო წიგნი დაბეჭდა, მაგრამ მისი სხვა გამოცემები არ შემორჩენილა. 1744 წელს სინოდის ნებართვით

იოსებმა დაბეჭდა იოანე დამასკელის „მიუწვევნელობისათვის ღვთისა“. 1744 წელს იგი დაახლოვებია ქართველ მისიონერს იოანე მანგლელ ეპისკოპოსს. მათი დიდი მეცა-დინეობით დაფუძნდა მუდმივი, განუწყვეტელი მისია ქრისტიანობის აღსადგენად კავკასიელ ხალხთა შორის. მოსკოვში მათ ამ დიდი საქმისათვის პროექტი შეადგინეს, ეს პროექტი სამებელმა საკუთარი ხელმოწერით წარადგინა წმინდა სინოდის წინაშე. 1746 წელს სინოდმა ეს პროექტი მოიწონა. ამის შედეგად დაარსდა ე.წ. ოსეთის ქრისტიანობის აღმდეგენელი კომისია, რომლსაც ჯამაგირს უხდიდნენ. კომისიაში შეიყვანეს ქართველი სამღვდელოებაც. მისიის უფროსი იყო იოანე მანგლელი. ყიზლარში, სადაც იოანე უკანასკნელ დროს დამკვიდრდა, აშენდა სახლი მისიისათვის, გაშენდა ბაღები, გაჩნდა სათევზაო და სათიბავი ადგილები. იოსებ სამებელი ამ დროს საკმაოდ მოხუცებული იყო. 1749 წელს მან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, რათა აქ გაეტარებინა უკანასკნელი წლები. ამის თაობაზე 1749 წლის ივნისში თხოვნით მიმართა სინოდს, გაეთავისუფლებიათ იგი და ნება მიეცათ ყიზლარში წასვლისა და იოანე მანგლელთან დარჩენისა „მიზეზისათვის ღრმა სიბერისა“. სინოდმა ნება დართო, მაგრამ სამებელმა 1750 წლის 3 ივლისამდე გამგზავრება ვერ მოახერხა (ამავე წლის 23 აპრილს მან აკურთხა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია). თან იახლა თავისი ბიძაშვილები არქიმანდრიტი ეფთომე და მესტამბე მღვდელი ფილიპე, და — თინათინი (იღუმენიად ყოფილი ქართველ მეფეთა მიერ მოსკოვში დაარსებულ ნოვინის დედათა მონასტერში) და ძმისწული — ავთანდილ ქობულოვი. იოსებმა საქართველოში ვერ ჩააღწია, 1750 წელს 1 სეტემბერს იგი სარატოვში გარდაიცვალა. თანახმად მისი ანდერძისა, დაკრძალეს ასტრახანის საკათედრო ტაძარში. მისი ქონება — მოსკოვიდან წამოღებული ქართული სტამბა და სახარება შესწირეს დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს, ერთი ვერცხლის საცეცხლური — აღავერდის ტაძარს, პირადი წიგნები კი თავისი დის, თინათინისათვის დაუტოვებია.

ლეიტონი

# «ერთად ნეკრები რუსი და ქართველი» — აღმოსავლეთის რევიზი

## ■ ომი ირანთან

XIX საუკუნის დასაწყისში ირანს არ სურდა, გულისტანის დამამცირებელ ზავს ბოლომდე შერიგებოდა. განსაკუთრებით, მას საქართველო არ ეთმობოდა და ახალი ომისათვის გაცხოველებით ემზადებოდა. არც რუსეთი აპირებდა ერევნისა და ნახიჭევნის სამუდამოდ დატოვებას ირანის სამანებში და თვითონაც დინჯად გეგმავდა ახალ სამხრეთულ ომს. სამხრეთისკენ რუსეთის ნინსვლა დროებით გადადო თვითონ იმპერიის გულში დატრიალებულმა დიდად შემაშფოთებელმა ამბებმა. ეს იყო 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყება. მომდევნო წელს კი რუსეთმა და მისი ახალი იმპერატორის, ნიკოლოზ პირველის კარმა მაინც მოახერხა სამხრეთულ საქმეთა გააქტიურება.

ირანის სასახლის კარს კი ეგონა, რომ დეკაპრისტების ანტიცარისტული გამოსვლა უაღრესად ხელ-საყრელ ამინდს ქმნიდა რუსეთის ცარიზმის გასანადგურებლად ამი-ერკავკასიის საომარ ასპარეზზე.

და 1826 წლის ივლისში ირანელთა 60000-იანი არმია აბას-მირზას სარდლობით ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა რუსეთის ქვეშევრდომ ყარაბაღში.

და ალექსანდრე ბატონიშვილიც შემოქრილიყო სპარსული კავალე-რიით შამქორის მთებში.

ასე დაიწყო ახალი რუსეთ-ირანის ომი.

აბას-მირზამ განჯა აიღო და შეტევები გზაბოძალად გამალა: მარჯვნივ — ბაქოსკენ, მარცხნივ — თბილისისკენ.

რუსთა სარდლობამ მტერთან შესახვედრად გამოუშვა ქართული მილიცია, სახალხო ლაშქარი პოლკოვნიკი ვახტანგ სავარსამიძის სარდლობით. ქართველებმა თბილისის გზები ჩაუჭრეს და შეუკრეს მტერს.


1826 წლის 2 სექტემბერს რუსებმა და ქართველებმა შამქორის ახლოს სასტიკად გაანადგურეს შაჰის 10000-იანი ნარჩევი გვარდია. დამარცხებული ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთისკენ გაიჭრა. რუსებმა ქართველს ქართველები გა-

მოადევნეს გრიგოლ ორბელიანის, ზურაბ ანდრონიკაშვილის, გიორგი ესეს დე ერისთავის წინამძღოლობით. წამოენივნენ და დაამარცხეს ქართველმა თავადებმა ქართველი ბატონიშვილი. ძლივს გაასწრო სიკვდილს ალექსანდრემ.

13 სექტემბერს, განჯასთან, აბას-მირზამ თავი მოუყარა 40000 მეომარს. რუსთა სარდლობამ წინაკერძით ისევ ქართველები მიუშვა მტერზე (რამდენი ხნის წინათ ითქვა პირველად — „ნესადმცა არს წინამძღოლობა ქართველთა“!). და შეიჭრენ ქართველები ირანელთა შუაგულში, მიჰყენენ რუსები, ირანელთა უმრავლესობა დააწვინეს. არაქსისკენ გაიქცა აბას-მირზა. რუსთა და ქართველთა ჯარები განჯაში შევიდნენ. 1826 წლის მინურულს აზერბაიჯანი გაიწმინდა შაჰის ჯარებისაგან.

1827 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა კავკასიის მთავარსარდლისა და მთავარმართებლის პოსტზე მისთვის საეჭვო გენერალი ერმოლოვი უფრო სანდოდა საყვარელი გენერლით — პასკევიჩით შეცვალა.

პასკევიჩმა, უპირველესად, ნახიჭევანი განმინდა ირანელთაგან. მერე მიადგა ერევანს და გააფირებული იერიშების შემდეგ, 1827 წლის 1 ოქტომბერს აიღო კიდევ. რუს მე-



ალექსანდრე ბრიგადოვი

ომრებთან ერთად ერევნისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა 600 ქართველმა ცხენოსანმა, რომელთაც სარდლობდა გენერალი რომან ბაგრატიონი, სახელოვანი პეტრე ბაგრატიონის ძმა, თვითონაც ბოროდინის ბრძოლის გმირი.

1827 წელს რუსებმა და ქართველებმა გადალახეს საკუთრივ ირანის საზღვრები. პირველი დიდი უძველესი სპარსული ქალაქი იყო თავრიზი, რომელსაც 61000-იანი ირანული გარნიზონი იცავდა. პასკევიჩი ამ ქალაქის აღების გეგმას ჩაღრმავებოდა, როცა მოულოდნელად, 1827 წლის 1 ნოემბერს, თავრიზი უეცარი დაცემით აიღო გენერალმა გიორგი ერისთავმა. ეს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო მთელს საომარ კამპანიაში და სწორედ ამიტომაც იმპერატორმა ამ მეომრული ოპერაციის მთავარი გმირი გიორგი ესეს დე ერისთავი დააჯილდოვა ალექსანდრე ნეველის ორდენით. ქართველი გენერალისაგან თავრიზის აღება აღა-მაჟმადხანის მიერ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის საზ-



ღაური იყო; ამბობდნენ მაშინ მტერთა და მოყვარეთა შორის: „სპარსელებთან შურისმგებლად 30 წლის შემდეგ ბედმა გაგზავნა ისევ ქართველი, ოლონდ რუსთის არმიის სათავეში“.

თავრიზის დაუფლების შემდგომ რუსებს და ქართველებს გზა გახსნილი ჰქონდათ თეირანისკენ. დაიძრნენ და მიუახლოვდნენ კიდეც ირანის სატახტოს და ირანელებიც სასწრაფოდ ზავს ჩაფრინდნენ.

და დაიდო ზავი თურქმანჩაიში 1828 წლის 10 თებერვალს. ეს ზავიც რუსთის სრული მონაპოვრებით აღინიშნა. რუსთის სამფლობელოებს შეუერთდა ნახიჭევანისა და ერევნის ყოფილი სახანოები, კასპიის ზღვაც მთლიანად რუსთის სანაოსნო-საბატონოდ გამოცხადდა და, ბოლოს, ირანს რუსთისთვის

სამხედრო კონტრიბუციად უნდა გადაეხადა 20 მილიონი მანეთი.

თურქმანჩაის ზავის შემდგენელი და განმახორციელებელი იყო სახელოვანი პოეტი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელიც დაინიშნა რუსთის სრულუფლებიან ელჩად ირანში.

ასევე, გრიბოედოვის პროექტით, ნახიჭევნისა და ერევნის ყოფილი სახანოებისაგან შეიქმნა სომხეთის ოლქი, რომელსაც პირველ მმართველად და გამგებლად დაენიშნა სახელოვანი ქართველი პოეტი და გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე, სიმამრი ალექსანდრე გრიბოედოვისა.

ისევ გრიბოედოვის თავგამოდებით, ახალ სომხურ ოლქში ირანიდან გადმოსახლდა და დაემკვიდრა 40000 სული სომები.

ინგლისის დიპლომატთა წაქეზე-ბით, ირანის ხელისუფლება ცდილობდა თურქმანჩაის დამამცირებელი ზავის გადასინჯვას, მაგრამ რუსეთის ელჩი მტკიცედ მოითხოვდა უკვე დადგენილ სახელშეკრულებო პირობათა დაცვას. მაშინ, 1829 წლის 30 იანვარს, ისევ ინგლისელთა წაქეზებით, გახელებულმა ბრძომ თეირანში თავდასხმა მოაწყო რუსულ საელჩოზე. მთელი დიპლომატური კორპუსი ამონცვიტეს. მოკლეს თვითონ ალექსანდრე გრიბოედოვი. მისი გვამი ქართველებმა, ალექსანდრე ჭავჭავაძის მოთავეობით, თბილის გადმოსავენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს.

რუსთის მეფემ ამ ბარბაროსული აქტის სანაცვლოდ სპარსეთის ხელისუფლებისაგან ბოდიშის მოხდა და მდიდარი ძლვენი იქმარა.

## რაი თურქეთთან

სამასი წელინადი გასულიყო, რაც უმძიმესი ოსმალური უდელი ჩაპკირვოდა სამცხე-ჯავახეთს, სრულიად მესხეთს, აფხაზს. იყო მხოლოდ მარადიული ფიქრი, წუხილი და ოცნება გათიშულ ღვიძლ ძმათა ხელახალი გაერთიანებისა და გამთლიანებისა.

და 1829 წლის 14 აპრილს ახალი ომი გამოცხადდა რუსთისა და თურქეთს შორის. მაისში ბალკანეთის მიმართულებით შეუტიეს რუსებმა. ივნისში ამიერკავკასიაში, სამხრეთ საქართველოში გაიხსნა ფრონტი.

ყარსის ციხისკენ მიეშურებოდნენ რუსული ლეგიონები. მენინავეთა რიგებში კვლავ ქართველი მხედრები იყვნენ. სამდლიანი მძაფრი იერიშების შემდეგ, 1829 წლის 23 ივნისს, რუსებმა და ქართველებმა ყარსი აიღეს. ციხე-ქალაქის დამცველი ემინ-ფაშა, თავისი შტაბით, ტყვედ აიყვანეს გამარჯვებულებმა.

ამის შემდეგ, 15 ივლისს, რუსებმა და ქართველებმა ისევ აიღეს ფოთი, ხოლო 24 ივლისს დაეუფლენ ახალქალაქს. აქედან კი ახალციის სკენენ წარემართნენ გამარჯვებულნი.

ახალციის უმაღლეს მეჩეთზე ნახევარმთვარე აღმართულიყო — ქრისტიანთათვის ოსმალური წყვდიადის სიმბოლო. 40000-იანი თურქული გარნიზონი იცავდა ამ „სიმბოლოს“... და საიერიშოდ მისულ რუსთა და ქართველთა მოთხოვნა-

ზე — ციხე-ქალაქი დაცალეთო — თურქული ციხიონის მეთაურმა საპასუხოდ ეს გადმოსძახათ: „ჯერ ციდან მთვარე ჩამოხსენით და მერე ახალციის მეჩეთიდან ნახევარმთვარეო“.

მაშინ მივიღნენ რუსები და ქართველები იერიშით ახალციხეზე, მივიდნენ და 16 აგვისტოს კიდევაც აიღეს, ნახევარმთვარეც ჩამოაგდეს და მის სანაცვლოდ გამარჯვებულმა ქრისტიანებმა ქრისტიანული ჯვარიც აღმართეს. დიდი იყო ზეიმი და სიხარული, განსაკუთრებით ქართველთა გულში...

ახალციიდან დაიძრნენ გამარჯვებულნი და ზედიზედ გაათავისუფლეს არტაანი და აწყური.

**28 აგვისტოს ალექსანდრე ჭავჭავაძემ აიღო ბაიაზეთი და ბაიაზეთის მთელი საფაშო.**

თეირანში გრიბოედოვის მოკლამ და რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობათა გართულებამ ისმაღლეთს იმედი ჩაუნერგა და გაათამამა. ხონთქარმა 1829 წლის თებერვალში ახალი ჯარები დასძრა ახალციისა და ქობულეთისკენ. მაშინ ქართველებმა საკუთარი ენთუზიაზმით ახალი



ალექსანდრე ჭავჭავაძე

ლაშქარი შემოიყარეს და მტერს გაეგებნენ. ორგან, ქობულეთის ახლოს — ლიმანთან და კინტრიშთან, გურულებმა გმირობის სასწაულები აჩვენეს. ლიმანთან, 5 მარტს, 12000 რუსის გვერდით 1300 ქართველი იბრძოდა. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 6 აგვისტოს კი მუხასტატესთან ქართველებმა და რუსებმა სრულად გაანადგურეს თურქთა უზრავლესი მხედრობა. ახალციისკენ წამოსული 20000-იანი თურქული არმიაც განადგურდა.

1829 წლის 27 ივნისს, თვითონ პასკევიჩის სარდლობით, რუსებმა და ქართველებმა აიღეს მცირე აზიის აღმოსავლეთი კარიბჭე - დიდი



და ძველი ციხე-ქალაქი არზრუმი. არზრუმს მოჰყვა დაცემა ბაიბურთისა, გიუმიშხანესი და უკვე ტრაპიზონისკენ საღამიშერო გზაზე შემდგარიყვნენ გამარჯვებულნი.

ამასობაში, ტრაპიზონისკენ წინ გაჭრილთა ზურგში გენერალმა გე-სემ ილაშქრა ბათუმსა და აჭარაში ჩარჩენილ თურქთა წინააღმდეგ, მაგრამ მისი ეს „დამოუკიდებელი

წიაღსვლა“ უშედეგოდ დამთავრდა და იმდენად აჭარა კვლავ ოსმალეთის ხელში ჩარჩა. გესეს ისიც ვერ შეეტყო, რომ ზავი უკვე შეკრული იყო და ციხისძირთან გამართულ ბრძოლაში, 15 სექტემბერს, 650 მებრძოლი ტყუილ-უბრალოდ შეაკლა მტერს.

ზავი კი რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო 1829 წლის 14 სექ-

ტემბერს ქალაქ ადრიანოპოლში. ამ ზავით საქართველოს (ანუ რუსეთის იმპერიას) დაუბრუნდა მისი სისხლხორცეული ქალაქები და მიწები: ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და ერთ საიმპერიო „ახალციხის ოლქად“ გაერთიანდა — ახალციხე, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიგანი, აბასთუმანი და ჭაჭარაქი.

## ■ ყირიმის ომი

1853 წელს ახალი საომარი ჭიდილი დაიწყო რუსეთსა და თურქეთს შორის. ეს იყო ცნობილი „ყირიმის ომი“, ანუ „აღმოსავლეთის ომი“, სწორედ „აღმოსავლეთის საკითხთა“ ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელად. თურქეთს ამ ომში მოკავშირებად ედგნენ ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც მათი საბატონო აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ მიმავალ გზებზე არ შეეძლოთ დაეშვათ რუსეთის გაბატონება. საქართველოს ამ ომშიც თავისი სისხლი უნდა გაელო. ყოველთვის ასე იყო. რუსეთ-თურქეთის ომებში,

„ტრადიციულად“, ორი ფრონტი იხსნებოდა — ბალკანეთისა და ამიერკავკასიისა, ანუ საქართველოსი.

და ომის დაწყებამდე თურქეთს საქართველოს საზღვრებზე უკვე მოეყენებია უზარმაზარი საომარი ძალები — 60000 მეომარი, დიდალი მძიმე და მსუბუქი არტილერიით. ოსმალთა ყველაზე მძლავრი აზმები იდგნენ არდაგანთან, ბაიაზეთთან, ბათუმთან. აქედან დაწყებული იერიშებით თურქეთის სარდლობა ითვალისწინებდა უწინარესად ხელში ჩაეგდო ალექსანდრო-პოლი (ლენინაკანი), ახალციხე, ქუთაისი და ამის შემდგომ სრულის ძალებით დაძრულიყვნენ საომარი კამპანიის მთავარი მიზნისაკენ, თბილისისაკენ. რუსეთის საიმპერიო სარდლობა კავკასიის ფრონტის ამ ომში მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა და მთავარ საომარ ძალებს ბალკანეთის ფრონტზე აგზავნიდა. ნიკოლოზ იმპერატორმა მეფისნაცვალ ვორონცოვს მხოლოდ ერთი დივიზია გამოიუგზავნა და თან ყარსისა და არდაგანის დაუყოვნებლივი აღებაც მოსთხოვა.

ომი თურქებმა ომის გამოცხადებამდე დაიწყეს. 1853 წლის 15 ოქტომბერს, ლამით, ძლიერმა ოსმალურმა რაზმებმა მოულოდნელი თავდასხმა მოაწყვეს გურიის სასაზღვრო ხაზზე, სოფელ შეკვეთილთან დაბანაკებულ მცირერიცხვან რუსულ-ქართულ საგუშაგოზე. ქართულ სახალხო ლაშქარს გიორგი გურიელი მეთაუ-

რობდა. სასტიკი და უთანასწორ ბრძოლა მთელი ლამე გაგრძელდა და მხოლოდ მაშინ გათვადა, როცა საზღვრის დამცველებს საომარი საშუალებანი სრულად ამოენურათ. ბრძოლაში დაიღუპა ყველა რუსი და ქართველი მებრძოლი, მათ შორის გიორგი გურიელიც.

გურიაში ოსმალთა შემოჭრის უამსვე, აღმოსავლეთ საქართველოში, საინგილოში, ასევე უეცრად, ძლიერი მხედრობით შემოიჭრა სახელოვანი შამილი. იგი მოილტვოდა ბელაზნისა და ზაქათალის ციხეთა დასაუფლებლად. მაგრამ სასწაფოდ გაუხტა გენერალი (და პოეტი) გრიგოლ ორბელიანი ქართველთა და რუსთა რაზმებით და ალაზანზე გამართულ ბრძოლაში კიდევაც გაიმარჯვა. შამილი ხელცარიელი და სისხლდადენილი უკუიქცა დაღესტნისაკენ.

2 ნოემბერს სოფელ ბაინდურთან, ალექსანდროპოლის ახლოს, კიდევ ერთი ბრძოლა მოხდა „ომის გამოუცხადებლად“. აქ დასაზვერავად გამოსულ რუსთა ჯარს, რომელსაც გენერალი ილია ორბელიანი (გრიგოლის ძმა) მეთაურობდა, სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა ანატოლიის მთელი ოსმალური კორპუსი. უთანასწორ ბრძოლა გაგრძელდა მთელი დღე. ორბელიანმა და მისმა ჯარმა უკუაქციების მტერი. გენერალმა ბებუთოვმა მო-



რომან ბაგრატიონი

უსწრო მაშველი ჯარით; თურქებს ართაჩამიდე მისდიეს. ამ ბრძოლიდან ორი დღის შემდეგ, 1853 წლის 4 ნოემბერს ოფიციალურად გამოცხადდა „ყირიმის ომი“.

ნოემბერსვე ახალციხისკენ დასრუს მთავარი ძალები ოსმალებმა. ახალციხე-ბორჯომი-სურამი-თბილისი — ასეთი იყო თურქული სტრატეგიის მთავარი გეზი. ძალზე უჭირდა ახალციხის რუსულ გარნიზონს, რომელსაც გენერალი კოვალენსკიმ მუდარის ნერილი მისნერა იმშამინდელ კავკასიაში სახელგანთქმულ გენერალს — ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს — მომეშველე და მომაცილე ახალციხეზე აღყად მომდგარი ოსმალური ჯარებით. სასწაფოდ გასწია ანდრონიკაშვილმა ახალციხისკენ, 14 ნოემბერს მივიდა, მტერი დაზვერა, რაოდენობა, აღჭურვილობა და პოზიციები გაუსინჯა.



თვითონ 800-კაციანი რუსულ-ქართული რაზმი ჰყავდა, მონინაალმ-დეგეს კი — 20000-იანი არმია. დაზერვიდან ორი დღის შემდგომ, 16 ნოემბერს, ანდრონიკაშვილმა მტრის განლაგებებს არტილერიის ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ, როცა დიდი ვერაფერი შედეგი მიიღო, უცრად — მრავალრიცხოვნობით და მაგარი პოზიციებით გულდამშვიდებული მტრის განსაცვიფრებლად — თავისი ჯარი ხიშტითა და ხმლით შეტევაზე გადაიყვანა. თურქები დააპირა მტრის ეგზომანაზეულმა და თავზეხელალებულმა იერიშმა. რუსები და ქართველები პირველ კვეთებისთანვე მიღებულ საომარ ინიციატივას აღარ შეელივნენ და ოთხსაათიანი ხოცვა-ულება სრული გამარჯვებით განასრულეს. დამარცხებული თურქული არმია ახალციხის მისადგომებს მოწყდა და არდაგანისკენ გაიქცა. ბრძოლის ველზე მრავალი თურქი დაეცა, უფრო მეტი დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. გამარჯვებულებს დარჩათ მდიდარი ნადავლი, მტრის საომარი საჭურველი. ამ ბრძოლაში ქართველთაგან გამორჩეულად თავი ისახელეს გორელმა მეომრებმა.

თბილისი დიდის ზეიმით შეხვდა გენერალ ანდრონიკაშვილს და მის თანამებრძოლებს. მათ შეეგება მეფისაცვლის ამალა, ქართველი თავადაზნაურობა, ქალაქის მთელი მოსახლეობა ზურნით, საზანდრით, დოლით, ბარბათით. **ახალციხის ბრძოლის გმირთაგან ბევრი დაჯილდოვეს, მათ შორის ას ორმოცდაათამდე ქართველი.**

ახალციხის ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ, 19 ნოემბერს, ყარსი-დან 35 კილომეტრის მანძილზე, სოფელ ბაშვადიკლართან, ახალი დიდი ბრძოლა გაიმართა თურქებსა და რუსებს შორის. უთანასწორო ბრძოლა (36000 თურქი და 1000 რუს-ქართველი) ისევ თურქთა მარცხით გათავდა. დაიღუპა 6000 თურქი და 1500 რუს-ქართველი. **ქართელთაგან აქ გამორჩეულად ისახელეს თავი გენერალმა ივანე ჭავჭავაძემ, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ და ილია ორბელიანმა. ეს უკანასკნელი ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა.**

ბამკადიკლარის ბრძოლა „ყირიმის ოშში“ დიდი სახმელეთო გამარჯვება იყო ნინა დღის, 18 ნოემბრის დი-



გიორგი ერისთავი

რის საფრთხემ საგრძნობლად იმატა, ხოლო სახმელეთო ბანაკების სიმძლავრე სრულებითაც ვერ გაიზარდა. საქმე ის იყო, რომ სწორედ ამ დროს ყარსით, საქართველოში შემოსაჭრელად, თავი მოიყარა 60000-იანმა თურქულმა არმიამ, რომელიც ალექსანდროპოლისკენ უნდა დაძრულიყო, მერე — თბილისისკენ. ბათუმის მიმართულებითაც ახალი არმიის გამოგზავნას აპირებდნენ თურქი. ხოლო საქართველოში მდგარი მცირერიცხოვანი ძალების შესავსებად და გასაძლიერებლად არსაიდან არავითარი საჯარის ნაწილი არ იგზავნებოდა. მაგალითად, გურიაში სულ 10 ბატალიონი, ანუ 42 ასეული იდგა, აქედან 2 ასეული რუსი და 40 ასეული ქართველი მოხალისე „მილიციელი“.

მალე მეფისანაცვლად დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი მურავიმოვი. მან მაშინვე მტრის შემოსევის უკუსაგდებად და საიმპერიო საზღვართა დაცვის მეთაურად დანიშნა ისევ გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, რომელმაც მისვლისთანავე საჭიროდ მიიჩნია ერთიმეორისგან მონიუტეტილ სტრატეგიულ პუნქტთა ერთმანეთთან დაკავშირება. საგანგებოდ განვეულ მცხოვრებლებს გურია-იმერეთ-ახალციხის გზები გააწმენდინა და მათზე მეთვალყურე საგუშავოები გამართა. ეს ღონისძიებანი დროული გამოდგა, რადგან გურიაში შემოსაჭრელად ბათუმს უკვე მოსულიყო 34000-იანი თურქული არმია სელიმფაშას მეთაურობით.

ბათუმიდან ქობულეთში გადმოვიდნენ თურქები. მთელი გურია საომრად დადგა ფეხზე. **სახალხო დაშქარის მალაქია გურიელი მიუძღვიდა, შეკვეთილან დაღუშული გმირის გიორგი გურიელის ქმა.** მალაქიას ადრევე გაეთქვა სახელი ვაჟა-ცოლით და გარეგნული სიმშვენიერით („გურული ხალხის მშვენება“ — ასე ეძახდა მას მეფისანაცვალი მურავიმოვი).

თვითონ გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი მტერთან შესახვედრად თავისი სუსტი ძალებით ოზურგეთს იდგა, მაგრამ თუ აქვე დარჩებოდა, ვარაუდობდა, რომ რიცხვმრავალი მტერი რიონ-ქუთაისის მაგისტრალზე გაიჭრებოდა შემოვლითი მანევრით. ამიტომ მან მტრის საცდურად ხმა გაავრცელა, თითქს რუსები დასავლეთი საქართველო-



დან საერთოდ აპირებენ ჯარების გაყვანას და ფრონტის ხაზის თბილისთან გადატანას. ეს ხმა დააგდო ანდრონიკაშვილმა, გურიის დაცვა დრომდე მალაქა გურიელს და მის რაზებს მიანდო, თვითონ თავისი ჯარით ოზურგეთიდან გავიდა და სოფელ აკეთის გასწვრივ, მდინარე რიონზე დაბანავდა.

სელიმ ფაშამ რუსების „წასვლა“ წასვლად იჭეშმარიტა, ჩოლოქი გადმოლასა, ოზურგეთში შემოვიდა და ბანაკად დადგა. დადგა, მაგრამ მალაქა გურიელმა და მისმა პარტიზანებმა მტერს ბანაკიდან ცხვირი აღარ გამოაყოფინეს. მოულოდნელი თავდასხმებით ანუხებდნენ და ათხელებდნენ. თან მტრის ყოველ მოქმედებასა და მოძრაობას სარდლობას აცნობებდნენ. ასე შეიტყო ანდრონიკაშვილმა, რომ მტრის 12000-იანი ჯარი მოღალატე ჰასანბეგი თავდგირიძის სარდლობით ლანჩჩუთის ხეობას შემოჰყოლოდა და სოფელ ნიგოითისკენ მოეშურებოდა. ანდრონიკაშვილმა მტერს **ნიკოლოზ ერისთავი** შეახვედრა თავისი რაზმით. ნიგოითთან გამართულ ბრძოლაში ერისთავმა და მისმა ქართულ-რუსულმა ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. გაქცეულ ჰასანბეგი თავდგირიძეს ერასტი ჭყონია წამოერია, ხმლით თავი გააგდებინა და ანდრონიკაშვილს მოართვა.

ანდრონიკაშვილმა მაშინ დრო მოწეულად მიიჩნია, თავს დასცემოდა ოზურგეთში დაბანაკებულ თურქთა მთავარ ძალებს. მაგრამ ოზურგეთს მტერი აღარ დახვდა ქართველ გენერალს — გაესწრო სელიმ ფაშას, ჩოლოქზე უკანვე გადასულიყო და იქვე დაბანაკებულიყო თავისი ჯარებით.

მთავარსარდალმა თანამებრძოლი გენერლები შემოიყარა და თათბირი გამართა. ურჩიეს, შეტევა რამდენიმე დღით გადაედოთ, მაგრამ, სანამ მტერს კარგად დაზვერავდნენ და მის სიძლიერე-სისუსტებს დაადგენდნენ. ანდრონიკაშვილმა ეს რჩევა არ მიიღო და სანამ მტერი ბოლო მარცხის სიმწარეს თავს დააღწევდა, მანამ მასთან შებმა და შეტევა ამჯობინა.

მაშ, გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა ბრძანა და ჯარი საომრად დალაგდა:

რუსები: ქვეითი 11 ბატალიონი; კაზაკ ცხენოსანთა 4 ასეული.

ქართველები: გურიის 6 ქვეითი



ილია როგორიანი

ასეული მაჭავარიანისა და თავდგირიძის მეთაურობით; იმერეთის 6 ქვაითი და 5 ცხენოსანი ათეული, ამათში — მიქელაძების ასეული, მხცოვანი ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით.

მთავარ ძალად იდგა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი, რომელიც ასლანან, ამ წელს ვე შეეკრისათ და გაენვროთნათ საგანგებოდ დარჩეული ვაჟკაცებისგან.

ლაშქრის სათავეში ედგა **გიორგი ჯანდიერი**, სწორუპოვარი სიმამაცისთვის „დროშა-გიორგის“ სახელით განთქმული ვაჟკაცი.

ლაშქრის წინ იდგა მედროშე, თეთრ ცხენზე ამხედრებული ბოდბისხეველი გოლიათი, გვარად **ნატროშვილი**, ხელში შავი დროშით.

ლაშქრი იყოფოდა ასეულებად, საკუთარი გამოსარჩევი ფერით და ნიშნით:

**პირველი ასეული — ოსები, წითელი ნიშნითა და წითელი ფაფახებით. მეთაური თავადი გიორგი მაჩაბელი;**

**მეორე ასეული — ქიზიყელნი, სიღნაღის მაზრისანი, თეთრი ნიშნებითა და თეთრი ფაფახებით. მეთაური ზაქარია ანდრონიკაშვილი;**

**მესამე ასეული — თელავის მაზრისანი, ყვითელი, ოქროსფერი ნიშნებით. მეთაური თავადი ნიკო ჭავჭავაძე;**

**მეოთხე ასეული — თბილისისა და გორის მაზრისანი, ცისფერი ნიშნებით. მეთაური თავადი დავით ვახვახიშვილი;**

მეხუთე ასეული — თუშ-ფშავეცსურნი, შავი ნიშნითა და შავი ქუდებით, მეთაური გულადობით, მკლავლონივრობით და ბრძოლებში მიღებულ ჭრილობათა სიმრავლით განთქმული ელისა ბერიძე;

მეექვსე ასეული — აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი თავადაზნაურთაგანი, მწვანე ფერისანი. მეთაური თავადი გიორგი ერისთავი.

და სანახავადაც ბრწყინვალე იყო ამ ლაშქრის ხილვა.

სულ, ერთად ნაკრები, რუსი და ქართველნი, მოითვლებოდნენ 10000-მდე.

ხოლო, ჩოლოქებს გაღმა სელიმ ფაფახელ-გენერალი და ათხელებდნენ. თან მტრის ყოველ მოქმედებასა და მოძრაობას სარდლობას აცნობებდნენ. ასე შეიტყო ანდრონიკაშვილმა, რომ მტრის 12000-იანი ჯარი მოღალატე ჰასანბეგი თავდგირიძის სარდლობით ლანჩჩუთის ხეობას შემოჰყოლოდა და სოფელ ნიგოითისკენ მოეშურებოდა. ანდრონიკაშვილმა მტერს **ნიკოლოზ ერისთავი** შეახვედრა თავისი რაზმით. ნიგოითთან გამართულ ბრძოლაში ერისთავმა და მისმა ქართულ-რუსულმა ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. გაქცეულ ჰასანბეგი თავდგირიძეს ერასტი ჭყონია წამოერია, ხმლით თავი გააგდებინა და ანდრონიკაშვილს მოართვა.

ასეული მაჭავარიანისა და თავდგირიძის მეთაურობით; იმერეთის 6 ქვაითი და 5 ცხენოსანი ათეული, ამათში — მიქელაძების ასეული, მხცოვანი ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით.

მთავარ ძალად იდგა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი, რომელიც ასლანან, ამ წელს ვე შეეკრისათ და გაენვროთნათ საგანგებოდ დარჩეული ვაჟკაცებისგან.

ლაშქრის სათავეში ედგა **გიორგი ჯანდიერი**, სწორუპოვარი სიმამაცისთვის „დროშა-გიორგის“ სახელით განთქმული ვაჟკაცი.

ლაშქრის წინ იდგა მედროშე, თეთრ ცხენზე ამხედრებული ბოდბისხეველი გოლიათი, გვარად **ნატროშვილი**, ხელში შავი დროშით.

ლაშქრი იყოფოდა ასეულებად, საკუთარი გამოსარჩევი ფერით და ნიშნით:

**პირველი ასეული — ოსები, წითელი ნიშნითა და წითელი ფაფახებით. მეთაური თავადი გიორგი მაჩაბელი;**

**მეორე ასეული — ქიზიყელნი, სიღნაღის მაზრისანი, თეთრი ნიშნებითა და თეთრი ფაფახებით. მეთაური ზაქარია ანდრონიკაშვილი;**

**მესამე ასეული — თელავის მაზრისანი, ყვითელი, ოქროსფერი ნიშნებით. მეთაური თავადი ნიკო ჭავჭავაძე;**

**მეოთხე ასეული — თბილისისა და გორის მაზრისანი, ცისფერი ნიშნებით. მეთაური თავადი დავით ვახვახიშვილი;**

**მესამე ასეული — თელავის მაზრისანი, ყვითელი, ოქროსფერი ნიშნებით. მეთაური თავადი ნიკო ჭავჭავაძე;**

**მეოთხე ასეული — თბილისისა და გორის მაზრისანი, ცისფერი ნიშნებით. მეთაური თავადი დავით ვახვახიშვილი;**

**მესამე ასეული — თელავის მაზრისანი, ყვითელი, ოქროსფერი ნიშნებით. მეთაური თავადი ნიკო ჭავჭავაძე;**

**მეოთხე ასეული — თბილისისა და გორის მაზრისანი, ცისფერი ნიშნებით. მეთაური თავადი დავით ვახვახიშვილი;**



ვდილის ხაზზე მიუშვა თადარიგად შემოტოვებული ჯარის ნაწილი. თურქები საბოლოოდ გატყდნენ და გაიქცნენ. გამოედევნენ ქართველები და რუსები, ცემით და ჩეხებით. მდინარე ლელვამდე სდიეს და გადარეკეს. პირველთაგან გაქცეულიყო და გადახვეწილიყო თვითონ ფაშა სელიმი.

**ჩოლოქის გამარჯვება ქართველთა და რუსთა დიდი ძლევამოსილება იყო.** განადგურდა მტრის უზარმაზარი არმია. გამარჯვებულებს ხელთ ჩაუვარდათ მტრის საჭურველი, საომარი დროშები, აღალ-ფორანი. გამარჯვებულთა მსხვერპლი მცირე იყო. ბრძოლის ველზე დაცემულთა შორის, ზაქარია ანდრონიკაშვილისა და დავით ვახვახიშვილის გარდა, იყვნენ კიდევ ოთხი ძმა ვახვახიშვილი, მხცოვანი ქაიხოსრო მიქელაძე და კაზაკთა მეთაური ხარიტონოვი. ჩოლოქთან მიღებულმა მძიმე მარცხმა თურქეთს მეორე დიდი ლაშქრობის გეგმაც ჩაუშალა — ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით...

...იმავე 1854 წლის ივლისში შამილი შემოიჭრა კახეთში 12000 მეომრით. შემოიჭრა, აიღო შილდა და ალაზნის დასარბევად მიუშვა ჯარი. ერთი რაზმი წინანდალს მიიჭრა, დავით ჭავჭავაძის უკაცოდ დატოვებულ სახლ-კარს დაეცა და ტყვედ წიაყვანა ქალები და ბავშვები, მათ შორის მეულლენი თვითონ დავით ჭავჭავაძისა და ბაშკადიკლარის ბრძოლაში დაცემული ოლიარბელიანისა. ეს იყო და ეს. მომხდურებმა ნადავლი იკმარეს და უკანვე, დალესტნისკენ გაქუსლეს. დიდი „მსოფლიო სახელის“ მქონე შამილი ასეთი „ლოკალური ხასიათის“, დამამცირებელ შარაგზის ყაჩალობასაც არ ერიდებოდა....

ყირიმის ომი კი თავის გზით ვიდოდა. 1854 წლის 17 ივლისს რუსებმა, გენერალ ვრანგელის სარდლობით, ბაიაზეთთან გაანადგურეს თურქთა ჯარი და ორი დღის შემდეგ აიღეს თვითონ ბაიაზეთი. იმავე წლის 24 ივლისს რუს-ქართველთა ჯარებმა გენერალ ბებუთოვის მეთაურობით სოფელ კიურეკ-დართან გამართულ ბრძოლაში დაამარცხეს რიცხვით უპირატესი თურქული არმია. მაგრამ არც ერთ ამ გამარჯვებას ყირიმის ომის საერთო



ივანე ანდრონიკაშვილი

მსვლელობაში რაიმე გადამწყვეტი როლი არ უთამაშნია.

მომდევნო 1855 წლის ივნისის დამდეგს მეფისნაცვალი მურავიოვი 25000-იანი არმიით მიადგა ყარსს და ალყაში მოაქცია იგი. თურქეთი დაფრთხა და ინგლის-საფრანგეთს ყარსის დახსნისთვის გადაუდებელი დახმარება სთხოვა. ინგლისელები და ფრანგები მაშინ ყირიმში სევასტოპოლს უტევდნენ გაალმასებით და ყარსისთვის ვერ მოიცლიდნენ. თურქეთის უმაღლესმა სამხედრო ხელისუფლებაში ჯარების გადმოსხმა დაიწყო დასავლეთ საქართველოში. ასეთი მანევრით ყარსის მოალყენი უნდა დაშინებულიყვნენ და ქალაქისთვის ალყა მოეხსნათ. სევასტოპოლიც იმ დღეებში დაეცა და თურქეთ-ინგლის-საფრანგეთის პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა. ჯარების გადმოსხმა დასავლეთ საქართველოში მთელი სექტემბერი გრძელდებოდა. თურქთა ჯარებს ენერგიული ფაშა ომერი უძღვდა და თან ხმას ავრცელებდა, რომ როგორც კი ჯარების გადმოსხმას დაასრულებდა, მაშინვე ყარსის გადასარჩენად გაეშურებოდა. ყარსის თურქულ ციხიონის სევასტოპოლის დაცემამ და საქართველოში თურქული ჯარების გადმოსხმა ფრთხები გამოასხა ხოლო მის მოალყებს ფრთხები ჩამოაყრევინა. კაზაკთა სარდალი გენერალი ბაკულანოვი ურჩევდა მურავიოვს, სანამ გვიან არ იყო, ყარსის ალყა მოეხსნა, და უკან გაბრუნებულიყო. მაგრამ მეფისნაცვალმა ირწმუნა,

ყარსის აღებასაც მოასწრებდა და ომერ ფაშასაც ყრსთან გამოჩენამდე გაანადგურებდა. ამიტომ დაუყოვნებლივ იერიში წამოიწყო, სულის ძალებით და უკიდურესი გააფრთხებით. რუსები და ქართველები იბრძოდნენ დიდი გმირობით, მაგრამ დიდი მსხვერპლიც გაიღეს. ქალაქი კი ვერ აიღეს. მურავიოვი ყარს მაინც არ მოეშვა და ალყა განგრძო.

ამასპაბში ომერ ფაშა დასავლეთ საქართველოში ჯარების გადმოსხმას მორჩა და ყველას ერთად, სულ 36000 თურქ მეომარს, თავი მოუყარა აფხაზეთში. ამასთან გამოირკვა, რომ თურქთა სერასქერი გენერალურ ლაშქრობას სანამდვილეში აპირებდა არ ყარსისკენ, არამედ სამეგრელოსკენ. ასეც მოხდა. ომერ ფაშა სრულის ძალებით სამეგრელოში შემოიჭრა, ენგურამდე მოვიდა, ენგურზე მას ქართველები და რუსები დაუხვდნენ. ბრძოლა რამდენიმე დღე გაგრძელდა და თურქთა გამარჯვებით გათავდა. მაგრამ თვითონ სამეგრელოს მოსახლეობა ოსმალთა დამკვიდრებას არ შეურიგდა და დაუცხრომელი პარტიზანული ომის გზას დაადგა. სამეგრელოს მაშინ რუსეთის ერთგული ქვეშევრდომი, დავით დადიანის ქვრივი ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინე განაგებდა. ხოლო თურქთა წინააღმდეგ მეგრელთა პარტიზანულ მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა ეკატერინეს მაზლი გრიგოლ დადიანი.

თურქთა მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. 1855 წლის 14 ნოემბერს რუსებმა და ქართველებმა აიღეს ყარსი. ამ გამარჯვებამ ყირიმის ომის სასწორი ორივე ფრონტზე — ყირიმშიც და საქართველოშიც — ისევ რუსეთისკენ გადასწონა. ომერ ფაშამაც სასწრაფოდ უკანდახევა იწყო სამეგრელოდან.

1856 წლის 18 მარტს ყირიმის ომი დასრულდა. ზავი ორივე მხარეს ავალებდა, დაპყრობილი ტერიტორიები ერთმანეთისთვის დაეპრუნებინათ. ასეც მოხდა: ყარსი რუსებმა დატოვეს, სამაგიეროდ სევასტოპოლი, ყირიმი, აფხაზეთი და ყულევი კვლავ დაიბრუნეს.

მასალა მოამზადა  
გიორგი გაბრიელი

მ

# ლეკიაონი XVIII საუკის მორი ნახევარი

ქართლს ლეკები პირველად XVIII საუკუნის ოციან წლებში „ეწვივნენ“. აქ ისინი კახეთზე გამოვლით შემოვიდნენ. დასუსტებულმა კახეთმა ველარ შეიკავა თავდამსხმელები. ვახტანგ VI-მ გადაწყვიტა ჭარბელაქნის საკითხის გადაჭრა, მაგრამ კახეთის მეფისა და ორანის შაჰის ვახტანგისადმი უნდობლობამ ჩაშალა მეფის ეს ლაშქრობა და „უბატონო თემები“ საშიშ განსაცდელს გადაარჩინა.

„ოსმალობის“ დროს ქართლში ლეკეთა თარეში განსაკუთრებით გაძლიერდა. ქართლის ფაშები კიდევ უფრო უძლურნი იყვნენ ლეკებთან ბრძოლაში. ოსმალთა ნინააღმდეგ აჯანყებულ თავადებს მრავლად მოჰყავდათ ლეკეთა რაზმები. თავის მხრივ, ოსმალთა ფაშებიც ხელს უწყობდნენ ლეკებს აჯანყებულ თავადთა მამულების რბევაში. ლეკები კი ხალისით აოხრებენ ქართლის ოსმალურს თუ მის მონინააღმდეგ ნანილებს.

XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში მთელი ქართლი ლეკეთა ბრძოებით იყო მოცული. ქვეყნის ზოგიერთი მხარე სავსებით დაიცალა მოსახლეობისაგან. მნარმლებელი მოსახლეობა გაწყდა, დატყვევდა ან გაიხიზნა: მეურნეობა ყოვლად შეუძლებელი გახდა. სხვაგან კიდევ ციხე-გალავნებსა და მათ გარშემოლა ბოგინობდა სიცოცხლე.

მდგომარეობა არც „ყიზილბაშობისას“ გაუმჯობესებულა. მართალია, ნადირ-შაჰი არ სწყალობდა ლეკებს, მაგრამ ოსმალეთი ეხმარებოდა მათ. ქართველი აჯანყებულებიც (შანშე ერისთავი, გივი ამილახორი და სხვ.) მრავლად ქირაობდნენ ლეკეთა რაზმებს და ყიზილბაშთა მომხრე მეფისა თუ თავადების ქვეყნებს არბევინებდნენ მათ. ლეკები გადაურჩნენ მრისხანე ნადირ-შაჰს. ინდოეთის დამპყრობელმა ვერ გასტეხა თავისუფალი დალესტანი. ჭარ-ბელაქანიც გადაურჩა ყაენის რისხებს.

„ყიზილბაშობა“ გათავდა, ქართლ-კახეთში „ქართველობა“ აღდგა. ქვეყნის ნინაშე ლეკეთა საკითხი ისევ გა-დაუჭრელი იყვა. თეიმურაზ-ერეკლე შეეცადნენ ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას, მაგრამ საკითხი ერთობ მძიმე აღმოჩნდა. XVIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჭარ-ბელაქანისა (და საერთოდ ლეკების) დამხმარედ შექის ხანი გამოვიდა, რომელმაც საქართველოს ნინააღმდეგ ბრძოლაში ლეკები გაიერთიანა. თეიმურაზ-ერეკლემ ბოლოს დაბოლოს შექის ხანს სძლიერ, მაგრამ ლეკეთა შემოსევანი ქართლ-კახეთში ამის შემდეგ ოდნავადაც არ შემცირებულა. XVIII საუკუნის 60-იან წლებში მათ „გამაერთიანებელიც“ გაუჩნდათ.

უცხო დამკვირვებლები თუ ქართველი თანამედროვენი თანხმობით აღნიშნავდნენ, რომ ლეკები ქართვე-

ლებთან პირისპირ შებმას გაურბოდნენ. ეს გასაგებიცაა: ისინი ხომ ჩვეულებრივ საომრად და ქვეყნის დასაპყრობად არ მოდიოდნენ. მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადავლის შოვნა იყო. ვერც შეიარაღებით, ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართველებს ვერ უსწორდებოდნენ. არც გმირობის სტიმულები გააჩნდათ. ამიტომაც მსხვილ იმებში ისინი ჩვეულებრივად მარცხდებოდნენ.

მთებიდან ჩამოსვლის უმაღ ლეკები წვრილ გუნდებად იყოფოდნენ, ულრან ტყებს, მიუვალ კლდეებსა და ვერან ადგილებს ირჩევდნე ხოლმე სადგურებად და ასეთი ბუნაგებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წვრილად ტყვენვა-ძარცვას ეწეოდნენ. „სამოქმედოდ“ ლეკები სწორედ მაშინ გამოდიოდნენ, როცა ქართველი გლეხობა ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებული სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გამოსულიყო. ხვინა-თესვის, მესის თუ როგორის დროს მოედებოდნენ ხოლმე ისინი მინდვრებს და მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც კი შეიძლებოდა: ადამიანები, ოთხფეხი საქოხელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი. ამავე დროს მიუხდებოდნენ ხოლმე ლეკები უკაცოდ დარჩენილ სოფლებს და თავიანთი ქვეყნისაკენ მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებს, სოფლის ნახირს. დალესტანში გადაყვანილ ტყვებს უმთავრესად ყირმელი ვაჭ-

რები იძენდნენ. სხვებიც მრავლად ყიდულობდნენ ამ საქონელს. თვით ჭარში მრავლად მოდიოდნენ ტყვეებით მოვაჭრენი შირვან-ირანიდან. XVIII საუკუნის სამოციანი წლებიდან ქართველი ტყვეებით ვაჭრობის სხვა პუნქტებიც მრავლად იყო. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის ახალციხე იყო. აქ მოჰყავდათ ტყვეები საქართველოს ყოველი კუთხიდან. მოჰყავდათ არა მარტო ლეკებს ან თურქ მარბილებს, არამედ ტყვეებით მოვაჭრე ქართველებსაც. ტყვეებს აქ, უმთავრესად, თურქულ უკანონები ცვლიდნენ. საქონელი უხვად შემოჰყონდათ ოსმალეთიდან.

XVIII საუკუნის სამოციანი წლებიდან ახალციხე დაღესტენელ ლეკეთა მთავარი სადგური შეიქნა. აქედან ისინი „მარჯვედ“ აჩანაგებდნენ საქართველოს ყოველ კუთხეს, მის აღმოსავლეთსა თუ დასავლეთს.

მრავალი შემოსვა განუცდია საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მრავალი დამპყრობელი მისდგომია მის კარს. არაერთხელ უტარებია ქართველ ხალხს აგრესორთა მძიმე უღელი. სხვადასხვა გარჩნდა განუცდია ჩვენს ქვეყანას მოძალადე-დამპყრობელთა ექსპლუატაცია. ყველა ესენი, ზოგი უფრო ნაკლებად, აფერებდნენ საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებას. მაგრამ არც ერთი შემოსვა ლეკებიდან მარცხდებოდნენ.

1770 წელს ერეკლე მეფის დაუცხრომელი მეცადინობით ლეკეთა თარეში საქართველოში შედარებით შენელებული იყო.

„ლეკებინობის“ ნათლად ნარმოსადგენად საკმარისია, გავეცნოთ საქართველოში ლეკეთა თარეშის ხუთწლედს (1754-1758 წწ.).

სწორედ ამ დროს ლეკები ეწვივნენ ზემო ქართლს. 1000 კაცისაგან შემდგარი რაზმი მცირე გუნდებად დაიიყო და სოფლებს მოედო. 13 ივნისს ერთ-ერთი გუნდი ხიდისთავს დაეცა. სოფელი აიკლეს. ციხეში გამაგრებული ათი კაცი ცეცხლში გამოსწვეს. შემდეგ ლეკები ჯარმა „ნაახდინა ტანისხიდ და შემოადგნენ დირბის (ციხეს“. ცხინვალიდან მეფენი მიერველ-



ნებ დირბს. „შეიქნა ომი ფიცხელი, სძლიერს ლეკთა ზედა... გააქცივეს, ამოწყვიტეს ლეკნი. გაემარჯვათ მე-ფეთა. გაიქცენ ლეკნი. მივიღდნენ ცი-ხესა წალკისასა“. დირბის ომში 42 ქართველი, ხოლო ლეკი 140 მოიკლა. აოხრებული, უმკვიდრო თრიალეთი ლეკებმა თავაინთ ბუნაგად გაიხადეს. იქ წალკის ციხეში მიჰქონდათ ნარ-ბევ-ნატყვენავი ქართლიდან და სამ-ცხე-ჯავახეთიდან.

1755 წელს ლევათა თარეში საქართველოში ოდნავადაც არ შემცირებულა. ბაამან ნახტავნის ხან ყოფილმა, რომელმაც აჯი-ჩალაპთან კავშირით ვერაფერი გააწყო თემურაზერეკლეს წინააღმდეგ, ახლა ლევების საშუალებით სცადა თავისი საქმის გამოსწორება. ლევთა ბელადებს ის მრავალი ტყვიასა და საქონლის შოვნას შეპირდა. წამოუძღვა ლევთა ჯარს და ყაზახ-ბორჩალოსა და სომხეთის ტყეში დაიდო ბინა. ბაამან-ხანს ცოლშვილი ქართლში ჰყავდა, მათ წაყვანას ცდილობდა. ხანისამსა-განზე მოლაპარაკება გამართა ქართველებთან. აღჯა-ყალის ციხეში ბაამან-ხანის მოციქულები ხუთი ლევი-ბელადი ქართველებმა დაატყვევეს, ხოლო ხანის წინააღმდეგ თვითი ერეკლე მეფე თავისი ჯარით გავიდა. ლევები გაიქცნენ. ბაამან-ხანი განჯას შეეფარა.

ლტოლვილ დეკებს განჯაში ახალი  
დასტები შეეყარნენ. შეერთებული  
ჯარი ისევ ქართლისაკენ წამოვიდა.  
ჯავხტის მთებში ავიდნენ და იქ და-  
იდეს ბინა. შეკრეს ჯავახეთიდან  
ქართლს მომავალი გზები და ქურდუ-  
ლი თავდასხმებით მოსვენებას არ აძ-  
ლევდნენ ქართლისა და ჯავახეთის  
გალეობას.

ამ წვრილ თარეშებს 1755 წელს  
კვლავ დიდი ლაშქრობა მოჰყვა. ხუნ-  
ძახის ბატონს მჭადიჯვარს დამარ-  
ცხების სირცხვილი ვერ მოენელები-  
ნა. ქართლ-კახეთის ერთის დაკვრით  
ნახდენის „იდეა“ მას მოსვენებას არ  
აძლევდა. წინა წლის გამოცდილების  
გამოყენებით ის ახლა საგანგებოდ  
ემზადებოდა. მისი კაცები მოედვნენ  
მთელს დაღესტანს და ყველას საქარ-  
თველოში სალაშქროდ იწვევდნენ.

ქართველებისათვის ნურსალ-ბე-  
გის ეს გამოლაპშერება მოულოდნელი  
რომ არ ყოფილა, ამიტომ სათანადო  
ზომებიც დროულად მიიღეს. მეფებ-  
მა მთელი ქართლისა და კახეთის მო-  
სახლეობა ათხო თვის მარაგით გან-  
საკუთრებით საიმედო ციხეებსა და  
მიუვალ ხევებში გახიზნეს. ჯარიც



**შამილის ცინააღმდეგ გეპრეზოლი თუშთა სახელმწიფო რაზე**

ქვეყნიდან მაქსიმალურად გამოიყანეს და თან იახლეს. ერეკლე თელავს დაფგა, თეიმურაზი — ანანურს.

ნურსალ-ბეგმა ამხელად საქმე კა-  
ხეთიდან დაიწყო. ის ყვარლის ციხეს  
შემოადგა. ქართლის ჯარიც ანანუ-  
რიდან თელავს მივიდა.

ქართველთა მიერთელავს მიღებული სამხედრო მოქმედების გეგმის განხორციელება წარმატებული აღმოჩნდა. წურსალ-ბეგმა ომი წააგო. დიდმა საფრთხეში გაიარა. საქართველოს ერთბაშად მოთხრის გეგმა მტერს ჩაეშალა. ლეკითა ბრძოების მეთაურს, თუნდაც ამიერკავკასიის ხანების დახმარებით, რა თქმა უნდა, იმის შესრულება არ შეეძლო, რაც თვით შაჰ-აბასმაც კი ვარ შეძლო.

1756 წელს დალესტრინიდან ახალი სამი ათასი ლეკი წამოვიდა „საშოვარზე“. ამათგან ზოგი სამცხე-ჯავახეთს მიუხდა, ზოგი კიდევ ქართლში დაიფანტა. ამ წელს ლეკებმა შიდა ქართლი განსაკუთრებით მიზანში ამოიღეს. ეს იმიტომ, რომ ლეკებისათვის უფრო ადვილად მისადგომი სომხით-საბარათიანი თანდათან იცლებოდა და მოსახლეობა შიდა ქართლში იხიზნებოდა. ხიზნებს ლეკებიც მოჰყვნენ.

მკათათვე იყო. ლეკები ტყეებში ჩასხდნენ და აქედან სამკალში გასულ გლეხებსა და უკაცოდ დარჩენილ

სოფლებს დაერივნენ: „იყო ცემა და  
ტაცება, ყოველგან ხოცვა და ტყვეთა  
ნასხმა“.

ერეკლე კახთა ჯარით ქართლს მო-  
ეშველა. მეფებმა ლევათა ერთი რაზ-  
მი ნიჩბისას ციხესთან დაახელეს და  
მრავლად განყვიტეს. თეიმურაზი და  
ერეკლე გორს დადგნენ. ქართლის  
ჯარი შემოიყარეს და ახალდაბას  
აყიდნენ. ამ დროს ლეკები კარალეთს  
შემოადგნენ. გალავანი აიღეს. დიდ-  
ძალი საქონელი და ტყვე იშვევეს. ნა-  
შოვრით ლეკები საციციანოს მთები-  
საკენ გაუდგნენ. აქ დაედოთ ბინა.  
ქართველები სწრაფად წამოვიდნენ  
ახალდაბიდან და აპრაგებს გზა გადა-  
უქრეს. პრძოლა სკრის ნასოფლარში  
მოხდა. ლეკები დამარცხდნენ, მრავა-  
ლი დაეხოცათ, ტყვე და საქონელი  
დაჰყარეს. მხოლოდ ისინი გადარჩ-  
ნენ, ვინც ტყუში შეასწრო.

ნაომარი ქართველები დირბის ბოლოს ისვენებდნენ. ამ დროს ლეკტა

სხვა გუნდი ქართლს დაეცა. მინდვრიდან საქონელი და ტყვევ გაიტაცა. ქართველები გამოუდგნენ, ლეკებმა ტყვე და საქონელი დაყარეს, თვითონ კი ტყეში შეასწრეს.

რაკი ძალა დაინახეს „კუდგნენ ლექნი და წავიდნენ ქართლისა ქვეყნიდამ“.

ამ დროს დაღუსტებინდან ლეკთა ახა-  
ლი რაზმი გამოვიდა. მათ შეიტყვეს,  
რომ ერეკლე მეფე კასთა ჯარით  
ქართლს იყო. ამიტომაც ლეკებმა და-  
სარბევად კახეთი აირჩიეს. რაზმმა  
გომბორის მთიდან წამოუარა კახეთს,  
რუისპირს დაეცა, ააოხრა და რბევით  
შიგნით კახეთი ჩაიარა. ლეკებს კახი  
და ქიზიყელი მდევრები აედევნენ,  
ბრძოლა ყარალაჯს მოხდა ქიზიყის  
ბოლოს. კახელები დამარჯხონ.

ერეკლე სწრაფად კახეთს გაჩნდა.  
დაარჩია კახი და თუში ვაჟუაცები და



თუმთ მოურავის სარდლობით და-ლესტანს გაისტუმრა. „გარდუხდნენ და დალესტნის სოფლებს, წამოიღეს მრავალი ცხვარი და ძროხა, ვინა ლეკ-ნი მოწინვნენ, დახოცნეს და უზებდ-ლად ნაშოვარი კახეთში გარდმოსხეს „ამავე დროს ქიზიყელები მეფემ ჭარს გაუძახა. „მიუსახდნენ ქიზიყელი, ააოხრეს ჭარული სოფლები, წამოი-ღეს ნაშოვარი, მოიტანეს ქიზიყები“.

ამავე წელს და დალესტნიდან საქართ-ველიში ლეკთა კიდევ ერთი ჯარი წა-მოვიდა და ქართლში დაითანატა. ერთმა გუნდმა თავის სადგურად დართის კარი აირჩია. შიდა ქართლიდან თბილისისაკენ მთავარი გზა აქ გამოიყლიდა. ლეკებმა შეკრეს გზა. ხელთ იგდეს შიდა ქართლიდან ქალაქს მო-მავალი ქარავანი, დახვდნენ მუხრა-ნის ბატონს სახლოუბუცეს კონსტან-ტინეს, ლაშქარი დაუმარცხეს და თვით მოკლეს. კონსტანტინე სახლ-თუბუცესი ფრიად ენერგიული და თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკის ერ-თგული ფეოდალი იყო. მისი სიკვდი-ლი მძიმე დანაკლისი იყო.

დართის კარიდან ლეკები უხვი ნა-შოვრით და დალესტნის გზას გაუდგნენ. კახეთში ლალისყურის ბოლოს ერეკ-ლე თუშებითა და კახებით გადაუდგა მათ და ისე ამოხოცა, „რომ მოამბე არ წასვლიათ“.

1757 წლისათვის „დაიცალა საბარა-თაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მა-მული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთა-ოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხა-რეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბულახის-შვილები სამ-შვილდესა შინა. იყო ცემა და ოხრება საქართველოსა შინა. გავიდიან მეფე-ნი ქალაქით, შეებიან, ზოგჯერ გაე-მარჯვის თუ ლეკზე და ზოგჯერ წაილი-ან ფრიადი“. ლეკთა თარების მრავა-ლი შემთხვევიდან წყაროები ამ წელს მხოლოდ ერთს სცნობენ აღნიშვნის ღირსად. ლეკის ჯარი ათასი კაცისა-გან საავალიშვილოს მოუხდა. ყვიბი-სის ციხე აიღეს. ტყვე და საქონელი იშოვეს. შემდეგ ჭობისხევის ციხეს შე-მოადგნენ. თეიმურაზ მეფემ სურამი-დან ქართლის ჯარი მოაშველა მეცი-ხოვნებს. ლეკები გაეცალნენ. წავიდ-ნენ და ჯავახეთი დაარბიეს.

1758 წელს „სურათი“ არ შეცვლი-ლა. მეფები მცირე რაზმით წვრილ-ლეკის ჯარებს სდევნიდნენ ზემო ქართლში. ზაფხული იყო. ცხინვალს იდგნენ. ამ დროს ოთხი ათასი კაცი-საგან შემდგარი ლეკის ჯარი ჩინ-ჩოლმუსას მეთაურობით ცხინვალს

მიადგა. მეფეები საფრთხეში ჩავარ-დნენ. მცირე ამაღლა ახლდათ. შებმა არ ეგებოდა. ციხეში გამაგრდნენ. ამავე დროს იმერეთს ქსნის ერისთავი გავ-ზავნეს და სოლომონ მეფეს დახმარე-ბა სთხოვეს. სოლომონი სწრაფად გა-მოვიდა, მაგრამ ლეკებს ველარ მოუს-წრო. ჩინჩოლ-მუსამ საეჭვო საქმეს თავი დაანება. ჩქარა მოეცალა გამაგ-რებულ ციხეს და მეორე დღეს ალს და ეცა. აიღო ის და დიდი ტყვეთა და საქონლით ახალ ციხის კენუვნებლად წავიდა. იმერეთისა და ქართლ-კახე-თის მეფებმა კავშირი დადგვეს: „შე-რიგდნენ პირითა მტკიცით: რომელ-საც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველნეთო“.

ქართლიდან ლეკის ჯარი ახალ ცი-ხეს ავიდა. სოლომონ იმერეთს დაბ-რუნდა, თეიმურაზ-ერეკლე — თბი-ლისა.

ამ დროს სოლომონ მეფე გმირუ-ლად ებრძოდა ოსმალების ბატონო-ბას და ოსმალთა აგენტ ზოგიერთ თა-ვადს თავის ქვეყანაში. ახალ ციხის ფაშა ოსმალეთის უანდარმი — სო-ლომონის დაღუპვას ცდილობდა. ფა-შამ დიდის პატივით მიიღო ლეკი მძარცველები. დაიქირავა ისინი და იმერეთს გაუსია. მცირე ჯარით სო-ლომონი ვერ შეება ლეკებს. ვერც ქართლ-კახეთის მეფეთაგან დახმა-რების თხოვნა მოასწრო. ლეკებმა და-არბიეს იმერეთის მრავალი სოფელი, გაძარცვეს გელათი და დიდი ტყვეთა და საქონლით დაბრუნდნენ ახალ ცი-ხეს. ამ სამსახურისათვის ფაშამაც ბევრი მისცა მათ და დალესტანს გა-ისტუმრა.

ადვილი გასაგებია, რომ აგრე წარ-მატებით დასრულებული ექსპედი-ცია მისაბაძი მაგალითი აღმოჩნდა და დალესტნელი აბრაგებისათვის: „ეს ნაშოვრი ნახეს ლეკთა, წამოვიდა და დალესტნიდან ქვეთი და ცხენოსანი, აივსო ზემო ქართლის ქვეყნები ლე-კით, აოხრებდნენ და მიქონდათ ურიცხვი“.

გამარჯვებულ ჩინჩოლ-მუსას ახ-ლა კოხტა-ბელადიც შეუერთდა. 1759 წელს ორივენი რვა ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით ზემო ქართლს ენ-ვივნენ. ლეკის ჯარი აქ ორად გაიყო. ჩინჩოლ-მუსამ არადეთი აიღო. ლი-ახვი შევლო, სამაჩაბლოს ოსები და-არბია, დაბრუნდა და ავნევს შემოად-გა. ამას იმანაბაში კოხტა-ბელადი ატო-ცის ციხეს ადგა.

თეიმურაზ-ერეკლემ ქართლ-კახე-თის ჯარები შემოიყარეს. სოლომონ მეფესაც აწვიეს. უკანასკნელი სწრა-

ფად გადმოვიდა. ქართველები ყორ-ნისიდან გავიდნენ და პირველად ატოცს მდგომ ლეკებს თავს დაესხ-ნენ. სასტიკ ბრძოლაში ლეკები და-მარცხდნენ და ილტვოლდნენ. ახლა ქართველთა ლაშქარი ავნევისაკენ წა-ვიდა. ჩინჩოლ-მუსა, რა კოხტა-ბელა-დის დამარხცება შეიტყო, ავნევს მო-ეცალა და დვანის ციხეში შევიდა. ქართველებიც აქ მივიდნენ. დამით ლეკები გაიპარნენ. ლტოლებილებს ქართველთა ლაშქარი ვერ ეწია.

ამრიგად, ლეკთა ეს მესამე მსხვი-ლი შემოსევა მათი მარცხით დამთავ-რდა.

**ლეკთა ხუთი წლის „მოლვანეობის“** ამ სურათიდან შეგვიძლია კარგად წარმოვიდგინოთ ის აუტანელი პი-რობები, რომელშიც ქართველი ხალ-ხი XVIII საუკუნეში „ლეკიანობისას“ იმყოფებოდა. ასეთი „ლეკიანობა“ კი მაშინ, სამწეაროოდ, ერთობ ხშირი იყო. გასაგებია, რომ ასეთ პირობებ-ში შემცირდა და დაეცა სოფლის მე-ურნეობა, ხელოსნობა, აღებ-მიცე-მობა. მრავალი სოფელი და კუთხე დაიცალა. მინცდა სიცოცხლე, კულ-ტურული მეურნეობა. „ნაოხარი“, „პარტახი“, „ხარაბა“, „ვერანა“, „ცა-რიელი“ და „უმკვიდრო“ იქმნა მევე-ნახეობა-მეხილეობის, მეაბრეშუმე-ობა-მებამბეობის, ბრინჯისა და ხორბლეულის ქვეყანა. „მკვიდრი“ და „სრული ბეგრის გამომდები“ გლეხი „ხიზნად“ და „ბოგანოდ“ იქ-ცა. მაგარსა და დაცულს ადგილებს შეეფარნენ ისინი. ლარიბ-ლატაკებს აქ შიმშილი და ჭირი დაერევა და ლეკზე დალესტებული მიწები გაჩალის-ფასადი.

XVIII საუკუნის საქართველოს წინა-შე „ლეკიანობა“ ის საკითხი იყო, რომ-ლის ასე თუ ისე გადაჭრაზე დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის მომავა-ლი. ამას კარგად გრძნობდნენ ქართლ-კახეთის პოლიტიკის მესვე-ურნი და ამიტომაც იყო, რომ ამ სა-კითხს უდიდეს ყურადღებას აქცევდ-ნენ. მრავალი მოვლენა სამნაო თუ საგარეო პოლიტიკის სარბილზე XVIII საუკუნეში, სწორედ „ლეკიანო-ბასთან“ დაკავშირებით ზდება გასა-გები, მის ნიადაგზე აიხსნება. ისე, როგორც დავით აღმაშენებლის დროს „თუ რქიმი“ იყო ის, რაც დიდად განსაზღვრავდა იმ დროის სამეფო პოლიტიკას, აქაც „ლეკიანობა“ იყო ერეკლე II-ის საშინაო და საგარეო ლონისძიებათა ერთი უმთავრესი გან-მსაზღვრელი მომენტთაგანი.

# დასავლელი აცელიტიკოსები აუსათის პოლიტიკაზე კავკასიაში

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლელი ანალიტიკოსები საკმაოდ მგრძნობიარედ ეკიდებოდნენ რუსეთისთვის კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და აქედან გამომდინარე ამ რეგიონში მისი გააქტიურების მიზეზებს, მეთოდებსა და შედეგებს. ერთნი მასში ხედავდნენ დასავლეთის ინტერესებისადმი მუქარასა და ახლო აღმოსავლეთში უსაფრთხოების შენარჩუნებას, არ აღიარებდნენ რა რუსეთის უფლებას, ისე ემოქმედა, როგორც უდიდეს იმპერიას; მეორენი მიისწოდნენ, რომ ამაღლებულიყვნენ რუსოფობულ გრძნობებებზე და შესულიყვნენ მონინააღმდეგის მდგომარეობაში.

ამგვარად, როგორც ერთმა ბრიტანელმა პუბლიცისტმა აღნიშნა 1841 წელს, კავკასიის დაუფლება პეტერბურგის სამართლიანი სურვილი კი არა, გარდაუვალი აუცილებლობა იყო. ის შეასენებდა თანამედროვეთ, რომ ცენტრალური რუსეთის ყველა დიდი მდინარე შავ და კასპიის ზღვებში ჩაედინებოდა. ამ მნიშვნელოვანი საგაჭრო და სატრანსპორტო გზების ეფექტურად გამოყენების პრობლემას რაკი ვერ წყვეტდა, რომელიც უზრუნველყოფდა სამხრეთით საიმედო გასასვლელებს არსებულ მსოფლიოში, რუსეთის იმპერია წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ, იზოლირებულ და ბარბაროსულ ქვეყანას. ამიტომ კავკასიის გაკონტროლება რუსეთის არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.

მსგავსი პრაგმატული შეხედულებები ჰქონდა ბრიტანული ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც უზარმაზარ მოგებას იღებდა რუსეთთან ვაჭრობით. როგორც ცნობილია, ამ საკმაოდ რაციონალური რუსოფობიის წარმომადგენელთა შორის ყველაზე გამორჩეული იყვნენ: რიჩარდ კობლენი და ჯონ ბრაიტი.

\*\*\*

რუსეთის კავკასიაში მოსვლას სხვადასხვაგვარად აფასებდნენ XIX ს. პირველი ნახევრის დასავლელი ავტორები. ერთნი, ასე თუ ისე, აღიარებდნენ ამ რეგიონში რუსეთის შეჭრის პოზიტიურ მნიშვნელობას.

ინგლისელი მოგზაურის — რობერტ კერ-პორტერის დაკვირვებით, **არსებული შედეგი საქართველოსთვის უდიდესი იყო. მისა ხლება, როგორც იქნა, თავი დაღინიშნების ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენდა, გრძნობდა რა თავს ნამდვილი სახელმწიფოს დაცვისა და მმართველობის ქვეშ.**

რ. კერ-პორტერი საქართველოს დამოუკიდებლობას XVIII საუკუნეში რეალურად მიიჩნევდა: ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონები იყვნენ ირანელი, თურქი და ლეკი დამპყრობლები. სწორედ ამიტომ არჩიეს ქართველებმა ძლიერი იმპერიის მფარველობის ქვეშ შესვლა, უპირველეს ყოვლისა კი, — ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით.

\*\*\*

ზოგიერთი ავტორი ამიერკავკასიაში XIX ს. პირველ ნახევარში რუსული პოლიტიკის სიკეთეს მიანერდნენ საზოგადოებრივი წესრიგის გაუმჯობესებას. აღინიშნებოდა, რომ

**მხარის მთალ ტარიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საქართველო და მას განვითარება, რომელიც არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.**

მეგა განვითარება უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საქართველოს სამხრეთი ტიკიური იყო ეკვივისათვის, რომელიც საქართველო და მაცილე განვითარებას განვითარება, რომელიც არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.

მსგავსი პრაგმატული შეხედულებები ჰქონდა ბრიტანული ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც უზარმაზარ მოგებას იღებდა რუსეთთან ვაჭრობით. როგორც ცნობილია, ამ საკმაოდ რაციონალური რუსოფობიის წარმომადგენელთა შორის ყველაზე გამორჩეული იყვნენ: რიჩარდ კობლენი და ჯონ ბრაიტი.

მეგა განვითარება უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს სამხრეთი ტიკიური იყო ეკვივისათვის, იმდენად რამდენადაც მენარმეს აღარ ეშინოდა თავისი შრომის წარმომადგენელი მნიშვნელობას.

ყოფისა და საკუთრების ხელყოფისა, რომელსაც უკვე კანონი იცავდა. რუსეთი, კერ-პორტერის აზრით, მთელი მონდომებით ცდილობდა, კანონიერება ქართული ყოფიერების გათვალისწინებით და ემყარებინა, რაც საზოგადოების კეთილგანწყობის საფუძველს წარმოადგენდა, გრძნობდა რა თავს ნამდვილი სახელმწიფოს დაცვისა და მმართველობის ქვეშ.

რ. კერ-პორტერი საქართველოს დამოუკიდებლობას XVIII საუკუნეში რეალურად მიიჩნევდა: ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონები იყვნენ ირანელი, თურქი და ლეკი დამპყრობლები. სწორედ ამიტომ არჩიეს ქართველებმა ძლიერი იმპერიის მფარველობის ქვეშ შესვლა, უპირველეს ყოვლისა კი, — ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით.

ზოგიერთი ავტორი ამიერკავკასიაში XIX ს. პირველ ნახევარში რუსული პოლიტიკის სიკეთეს მიანერდნენ საზოგადოებრივი წესრიგის გაუმჯობესებას. აღინიშნებოდა, რომ

**მხარის მთალ ტარიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საქართველო და მას განვითარებას განვითარება, რომელიც არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.**

მეგა განვითარება უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საქართველოს სამხრეთი ტიკიური იყო ეკვივისათვის, რომელიც საქართველო და მას განვითარებას განვითარება, რომელიც არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.

მეგა განვითარება უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საქართველოს სამხრეთი ტიკიური იყო ეკვივისათვის, რომელიც საქართველო და მას განვითარებას განვითარება, რომელიც არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.

მეგა განვითარება უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს სამხრეთი ტიკიური იყო ეკვივისათვის, რომელიც საქართველო და მას განვითარებას განვითარება, რომელიც არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.

მეგა განვითარება უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს სამხრეთი ტიკიური იყო ეკვივისათვის, რომელიც საქართველო და მას განვითარებას განვითარება, რომელიც არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.



მემამულეთა ძალაუფლების მთავარი საშუალება — დაბეგვრა.

როგორც კ. მაკეალოვი ამტკიცებდა, ეჭვგარეშე იყო, რომ რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამ „შესამჩნევი სიკეთე მოუტანა ქართველი ხალხის ძირითად ნაწილს“.

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში ჩამოსული უცხოელები ყურადღებას ამახვილებდნენ რუსეთის ხელისუფალთა შედეგიან ძალისხმევზე, კეთილმოწყოთ საქართველოს დედაქალაქი. მისი მცხოვრები, მოიპოვეს რა დიდი ხნის ნანატრი სიმშვიდე, აეტიურად შეუდგნენ მენარმეობას, რომელიც არც თუ ისე მკირე მოგებას იძლეოდა.

რუსეთს აქებდნენ ქვეყნის „გონივრული და ენერგიული“ მართვისთვის; რუსეთის წყალობით, გახსნა გზა ევროპული ცივილიზაციისკენ. მაგ.: XIX ს. შეა წლებში მეგრელებმა ერთ-ერთ ინგლისელ დამკვირვებელზე ბეჭდინერი და კმაყოფილი ადამიანების შთაბეჭდილება მოახდინეს.

დასავლელი მოგზაურები მიუთი-  
თებდნენ, რომ რუსეთის წყალობით  
ვაჭრობა საქართველოში აყვავდა  
და სულ უფროდაუფრო ვითარდე-  
ბოდა. რუსეთში გაპეონდათ, ძირი-  
თადად, ლვინო და აბრეეშუმი.

საფრანგეთის კონსულს — შევა-  
ლიე გამბას საკამაოდ საფუძვლია-  
ნად აინტერესებდა საქართველოს  
რუსეთთან შერწყმის ეკონომიკური  
შედეგების საკითხი. როცა 1802  
წელს ტფილისში რუსული ხელი-  
სუფლება მყარდებოდა, ქალაქის  
ნანგრევებს, როგორც მეტაფორუ-  
ლად შენიშნავდა ფრანგი კონსული,  
„ჯერაც კვამლი ასდიოდა“. ასეთი  
იყო 1795 წლის ირანის თავდასხმის  
შედეგები. გამბა ამტკიცებდა, რომ  
ქვეყანა, ასე დასუსტებული გარეშე  
მტერთა შემოსევებისაგან, ევროპას-  
თან კავშირების გარეშე დარჩენილი,  
ვერასდროს ვერ შეძლებდა ხელსაყ-  
რელი პირობების შექმნას გაჭრობის  
გასავითარებლად. მაგრამ

აუსათის მოსვლასთან  
ერთად, უზრუნველყოფილი  
იქნა ას სიმაღლი დაცვა  
მტკიცებან და მოცესიგდა  
ჟილამართვალობა,  
სამართლებრივი სამართლება  
საქართველოსა და  
ამინისტრაციასთან



საქართველო XIX საუკუნეები

გასამრევად  
გამოცემულია. გაიზარდა  
საქონეალგარევა რესერვის  
აღმოსავლეთიდან და  
დასავლეთიდან. ახალი  
რესერვი საგვლობურო გა  
გადაიქცა კვართისა და  
აზისი ძაგლკავშირების  
ერთ-ერთ ერთგველოვან  
საკაზრო არტერიას.

ოლონდ გამბა სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რიგი გარემოება საფრანგეთს ართმევდა იმის შესაძლებლობას, თავისი ვაჭრობისათვის გამოყენებინა ეს „უზარმაზარი ბაზარი“ და „ვრცელი ველი მსხვილი კომერციული ოპერაციებისათვის“.

ფრანგი კონსულის დაკვირვებები  
მეტყველებდა საქართველოს სო-  
ციალურ-ეკონომიკურ და კულტუ-  
რულ აღორძინებაზე XIX ს. პირველ  
მეოთხედში. ამ ფონზე მოულოდნე-  
ლად გამოიყურება მისი აზრი იმის  
თაობაზე, რომ ამ ქვეყნის რუსეთის  
იმპერიაში შესვლის მომენტიდან  
იგი აღარაა ისტორიის ობიექტი.

ლიტტიკამ ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში. რუსეთ-თურქეთის ომის (1812-1829) პერიოდში ბრიტანელი ავტორი ტ.არმსტრონგი წერდა რუსეთის სრულიად რეალურ პერსპექტივაზე — თუ ის დარჩებოდა ერთგული ამ პოლიტიკის, შემოიერთებდა თურქულ სომხეთს, რომლის ხალხიც ელოდა რუსების მოსვლას, როგორც მონბისგან გამათავისუფლებელს.

ერთი უცხოელი  
დამკვირვებალი წერდა,  
რომ ასეთის მნიშვნელობა  
— ცივილიზაციალი გაესაღა  
კავკასია — უძინასი სიკათა  
მოუტან კაცობრიობას,  
რისთვისაც განათლაბალი,  
ერისტიანელი ევაროპის  
შექმნას იმსახურებდა.

ამ თვალსაზრისის მხურვალედ  
მხარს უჭერდა ამერიკელი მოგზაუ-  
რი კავკასიაში **გ. დიტსონი**. ის მივი-  
და დასკვნამდე, რომ რუსეთი დიდ  
მუშაობას ეწეოდა კავკასიის ცივი-  
ლიზებისა და გაქრისტიანებისათ-  
ვის. დიტსონი ისე გულწრფელად  
იყო ამ თვალსაზრისში დარჩეულე-  
ბული, რომ მზად იყო (მიუხედავად  
თავისი დემოკრატიული შეხედულე-  
ბებისა), ეპატიებინა და გამართლე-  
ბაც კი მოექებნა რუსეთის დესპო-  
ტიზმისა და სისასტიკისათვის.

\*\*\*

ზოგჯერ გამოითქმებოდა ისეთი  
აზრიც, რომ რუსეთი ამიერკავკასი-  
აში მხოლოდ ორანისა და თურქეთის  
დამარცხების შედეგად არ დამკ-  
ვიდრებულა. ამას გარკვეულწილად  
ხელი შეუწყო მისმა ფხიზელმა პო-



ამასთან, დიტსონი ვერ ასცდა  
ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს.  
ერთის მხრივ, ის ამბობდა, რომ კავ-  
კასიელი მთიელები განვითარების  
ბარბაროსულ სტადიაში იმყოფე-  
ბოდნენ; მეორეს მხრივ — აღფრ-  
ოვანებული იყო მათი შინაგანი  
ტაქტით, სიკეთითა და სტუმართ-  
მოყვარეობით, რაც არც თუ ისე  
ხშირად, უცხო იყო ცივილიზებული  
ხალხებისთვის.

ზოგიერთი ცნობილი ბრიტანელი ანალიტიკოსი უურადღებას ამავისი-ლებდა დასავლეთისათვის საშიშ საერთაშორისო-გეოპოლიტიკურ შედეგებზე, რაც რუსეთის კავკასია-ში შეღწევას შეიძლებოდა მოჰყო-ლოდა, ნანილობრივ კი — სპარსე-თის იმპერიის დასუსტებას, რაც მას პეტერბურგის ლუკმად ქცევის სა-შიშროებას უქმნიდა. იმ შემთხვევა-ში, თუკი ეს მოხდებოდა, რუსეთის შემდგომ მიზნებში, უფრო მიმ-დევნო იქნებოდა ინდოეთი. ამიტომ ბრიტანეთის ხელისუფლებას ურ-ჩევდნენ, ყოველმხრივ გაეძლიერე-ბინა თავისი პოზიციები თეირანში და კონტროლქვეშ ჰყოლოდა შუა აზია.

კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის  
შედეგების წინასწარი შეჯამების  
რეალურ საბაზად იქცა ყირიმის ომი — გარდატეხის პერიოდი ევროპის  
ისტორიაში, რომელმაც დასავლეთ-  
ში წარმოშვა იმედების ეფუძნია,  
რომელთაც ახდენა არ ენერა. პე-  
ტერბურგში კი უარესის შიში სავსე-  
ბით უსაფუძვლო აღმოჩნდა. შეფა-  
სებები, როგორც წესი, ომის მსვლე-  
ლობაზე იყო დამოკიდებული. სხვა-  
დასხვაგვარად უყურებდნენ რუსე-  
თის პოლიტიკის პერსპექტივას კავ-  
კასიაში უცხოელი ავტორები. მათი  
პროგნოზების ხასიათი გამომდინა-  
რეობდა იქედან, თუ ვინ იყო იგი  
(რუსოფონი თუ რუსოფილი).

**ჯ. ჯონსონმა, რომელიც საქართველოს 1817 წელს ეწვია, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნაადრევი იყო საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შედეგების შეჯამება, პერსპექტივებზე საუბარი არჩია. ის თვლიდა, რომ საქართველოს თავის ახალ ამბლუაში სამომავლოდ კარგი პერსპექტივები გადაეშლებოდა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში, მეტალურგიაში, ურბანიზაციასა და განათლებაში.**

ჯონის მოგადის ასახვა  
კეთებულების  
ხელისუფლებას  
საქართველოს  
საკონსტიტუციო საკანონი  
მაგისტრალურ გადაქცევის  
მოსახლეობისათვის,  
რაღაც ეს ყველაზე იმი  
განაპირობებდა  
სამომავლოდ დასავლეთის  
აღმოსავლეთთან  
დაკავშირებას. აა მიზნით  
რასა ესკორტის  
დაცვის კატეგორიული ინიციატივის  
ვარიაციების გასწავლა.  
მაგრამ აა გეგმვას  
სერიოზულ საფრთხეს  
უქმნიდნო ჩატარების  
დასავლეთ კავკასიონი და  
ლაკაბი – აღმოსავლეთში,  
მოწინიერებაში, მომლების  
ავტორის აზრით, კვლავაც  
დიდხას არ  
დამორჩილებების გადაცევის  
რასათვის ხელისუფლებას.

პოლკოვნიკმა რატიერმ თავის შრომაში, რომელიც 1829 წელს გამოაქვეყნა, იმედი გამოთქვა, რომ რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებას ეკონომიკური აღორძინება მოჰყვებოდა, მათ შორის საქართველოსიც. როტიე თვლიდა, რომ პეტერბურგმა თავის თავზე აიღო კოლოსალურად რთული ამოცანის შესრულება, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ცივილიზაციული გაეხადა ეს ხალხები, მაგრამ არა ძალით, არამედ ბრძნული და ფრთხილი პოლიტიკით.

რუსეთ-თურქეთის ომის (1828-1829) შემდგომ ტეპბუ დემარინი წერდა, რომ რუსეთისათვის ანაპის მიერთება რუსებს გაუხსნის კავკასიის როგორც უზარმაზარ სამოლვანეო ასპარეზს. XIX საუკუნის 30-იან წლებში ბრიტანელი პოდპოლკოვნიკი პ. კამერონი წერდა, რომ, კითხვაზე თუ როდის დამთავრდება კავკასიის ომი — ვერ უპასუხებს

„ვერც ერთი გამჭრიახო სახელმწიფო მოღვაწე“, „ველაზე გამოცდილი სამხედრო მეთაურიც კი“. მხოლოდ კამერონმა ინინასწარმეტყველა, რომ ეს ბრძოლა შთამომავლობაში გაოცებასა და აღფრთოვანებას გამოიწვევს;

კითხვა — სჭირდებოდა კი რუს-  
სეთს საქართველო? — ფრანგი  
სამხედრო ანალიტიკოსი ფ. ბოჟუ-  
რი 1829 წელს უარყოფითად პასუ-  
ხობდა. ერთადერთი, რაშიც რუ-  
სეთს საქართველო გამოადგებოდა,  
იყო ის, რომ საქართველო იქნებო-  
და საყრდენი წერტილი, საიდანც  
რუსეთი აღმოსავლეთში გააძლიე-  
რებდა თავისი ცივილიზაციის გავ-  
ლენას. მაგრამ ამ ამოცანას, რო-  
გორც თვლიდა ბოჟური, უკეთ და-  
საკლებლი იმპერიის შეძლებდნენ.

XIX საუკუნის 20-იან წლებში  
საფრანგეთის კონსული თბილისში  
**შევალიერდება** თვლიდა, რომ რუ-  
სეთის მთავრობა იმპერიისადმი  
შემოერთებული ხალხების კანონე-  
ბისა და წეს-ჩევეულებებისადმი  
ხელშეუხებლობის პრინციპით  
მოქმედდებდა.

აგდენაღ, XIX ს. პირველი  
ნახევრის დასავლეთის  
ტიტურაზე  
ნარმაზგან ძვიროვას  
ცყაროს და საკათავო  
სტრიქონის გრაფიკ ქავლს  
აღიმუშავ საკითხთან  
აკავშირებით. ის  
იმუშავებოვანი გედენაღ,  
ასაგდენადაც მას ქანიშვილი,  
რთის მხრივ, აა საკითხით  
ღრმად დაიცეცარეს ერთ-ერთი  
ადამიანები; და მორჩაც,  
ადამიანები, რომელიც  
უყარებდნენ ამას,  
სა თუ ისე, კახეო თვალით.

ორივე თვალსაზრისი, რა თქმა  
უნდა, საინტერესოა ისტორიული  
სიმართლის დასადგენად. ტრადი-  
ციულად, რუსეთის „აგრესორად“  
მოხსენიება და მისი განსჯა შეხამე-  
ბული იყო გეოპოლიტიკურ და სხვა  
მოტივებთან, რამაც იგი კავკასია-  
ში მოიყვანა.

## მოამზადა

# შ ერთად – სამამულო ომის გზები

1945 წელს დიდ სამამულო ომში გამარჯვების პარადზე გამოსვლისას მარშალი გიორგი კონსტანტინეს ძე უჟკოვი ამბობდა:

„საბჭოთა კავშირ-გერმანის ფრონტზე ფეხქვეშ გაითელა გერმანული იარაღის ავტორიტეტი და ევროპაში ომი გამარჯვებით დასრულდა. ომმა ჩვენი არმიის არა მარტო გოლიათური ძალა და უმაგალითო გმირობა აჩვენა, არამედ — ჩვენი სტრატეგიისა და ტაქტიკის სრული უპირატესობა მტრის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე“. გამარჯვებისათვის ასევე საჭირო იყო მარჯვე სტრატეგიული ხელმძღვანელობა, რომელიც უმაღლესმა მთავარსარდლობამ განახორციელა ი. ბ. სტალინის მეთაურობით.



## ■ დიდი სამამულო ომის ქართველი გმირები



### ნოე პეტრეს ძე აზამია

დიდი სამამულო ომის ქართველ გმირთა გალერეას ამშვერბაშვილი კავკასიის ფრონტის ზღვისპირა არმიის საზღვაო ქვეითთა მე-7 ბრიგადის სნაიპერთა ინსტრუქტორი, ზემდეგი ნოე ადამია. იგი დაიბადა 1917 წლის 21 დეკემბერს ხონის რაიონის სოფელ მათხოვში, გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. სამხედრო-საზღვაო ფლოტში 1938 წლიდანაა; ფრონტზე ქუთაისის რაიონული სამხედრო კომიტეტიდან გაინვიეს. 1940 წელს დაამთავრა ოდესის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი. 1941 წლიდან ფრონტზე.

მე-7 ბრიგადის სნაიპერთა ინსტრუქტორი, ზემდეგი ნოე ადამია მო-

ნაწილებდა სევასტოპოლის გმირულ დაცვაში.

1942 წელს იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი სნაიპერთა მოძრაობისა, ოთხმოცამდე მებრძოლს დაეხმარა ამ საქმის შესწავლაში. პირადად მან კი გაანადგურა 200-მდე ჰიტლერელი და ააფეთქა 2 ტანკი.

1942 წლის 21 ივნისს მამაცი სნაიპერი 11 მეავტომატესთან ერთად ალყაში მოექცა. მისი მეთაურობით ჯგუფი მთელი დღის განმავლობაში გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, გაანადგურეს მონინააღმდეგის ასზე მეტი ჯარისკაცი, შეძლო ალყის გარღვევა და ბრძოლით სამშვიდობოს გამოსვლა.

სარ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1942 წლის 24 ივლისს საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ფაშიტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლენილი მამაცობისა და გმირობისთვის ზემდეგ ნოე პეტრეს ძე ადამიას სარკ გმირის წოდება მიენიჭა.

მაგრამ მამაც ჯარისკაცის არ დასცალდა სამშვიდოლო უმაღლესი ჯილდოს მიღება. მეავტომატეთა ოცეულის მეთაური იმ 60 ათას საბჭოთა მეომართა შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ვერ მოასწრეს სევასტოპოლის დატოვება ქალაქის ევაკუაციის დროს, და 1942 წლის 3 ივლისს გასფორტის რაიონში დაიღუპა.

დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და მედლით „მამაცობისთვის“. მის სახელს ატარებდა

ქუჩა ქალაქ სოხუმში. მისი სახელი, ასევე, ამოტვიფრულია გმირ-ქალაქ სევასტოპოლის დამცველთა მემორიალურ დაფაზე ნახიმოვის მოედანზე.



### დავით ილიას ძე ბაქრაძე

მაიორი დავით ილიას ძე ბაქრაძე პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილე გახლდათ უკრაინასა და პოლონეთში, მეთაურობდა პარტიზანულ პოლკს.

დ. ბაქრაძე 1912 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სნავლობდა თბილისის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში. მისი დამთავრებისთანავე, 1938 წლიდან რამდენიმე ხანს არხანგელსკში მუშაობდა.



1940 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. დაამთავრა პოლკის სკოლა და დაინიშნა მსუბუქი არტილერიის პოლკის მეთაურად, რომელიც ომის დასაწყისში დასავლეთის ფრონტზე იმყოფებოდა. მონაწილეობდა ქალაქ მოგილიოვის ბრძოლებში. მრავალდღიანი სისხლის მდვრელი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ჯარები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ქალაქი და უკან, აღმოსავლეთისკენ დაეხიათ. დავითი უკან დახევისას ამხანაგებთან ერთად ალყაში მოექცა და 1941 წლის დეკემბერში სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოხვდა ქ. კონიტოვში.

1942 წლის ზაფხულში რამდენიმე ტყვესთან ერთად გაქცევა მოაწყო, გადაწყვიტა ფრონტის ხაზზე გადასვლა და კვლავ მწყობრში ჩადგომა. გაქცეულები ერთი თვის განმავლობაში წვალებითა და დიდი გაჭირვების ფასად მიიჩნევდნენ კონიტოპიდან ბრიანშინამდე; ძირითადად, დამით გადაადგილდებოდნენ, გზებისა და სოფლებისაგან მოშორებით და 1942 წლის აგვისტოს ბოლოს შეუერთდნენ პარტიზანებს. 12 სექტემბერს იგი პარტიზანულ რაზმში ჩაირიცხა და დაინიშნა ქვემების მეთაურად. პარტიზანულ შენაერთში მან ნამდვილი საბრძოლო სკოლა გაიარა. მამაცი, გაბედული და შეუპოვარი მებრძოლის სახელი დაიმკვიდრა პარტიზანებს შორის. მისი მეთაური ს. კოპაკი მის შესახებ წერდა: „ყველანი კმაყოფილები იყვნენ, რომ ჩვენ — უკრაინელ, ბელორუს, რუს შურისმაძიებლებს შეგვემატა ქართველი ეროვნების ადამიანი“.

ბაქრაძის საბრძოლო თვისებები — სამამაცე, გამბედაობა, დისციპლინირებულობა — გახდა საფუძველი მისი დანინაურებისა. იგი მე-9 ასეულის მეთაურად დაინიშნა. ის ყველაფერს აკეთებდა, მის ხელქვეითებს კარგად რომ შეძლებოდათ

ქვემების მოხმარება და ნამდვილი პარტიზანები ყოფილიყვნენ. მისი ამ გულმოდგინებისათვის ხელმძღვანელობა მას აფასებდა და ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებებს აძლევდა.

ასე იყო 1943 წლის მაისშიც, როცა ფაშისტებმა ალყაში მოაქციეს სუმის ოლქის პარტიზანული შენაერთები დნეპრისა და პრიპიატის შორის. გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: მდინარე პრიპიატის მარჯვენა ნაპირზე გადასასვლელის აშენება. მისი დასრულების შემდეგ ხიდის დაცვა ხელმძღვანელობამ და ბაქრაძეს დაავალა. ბაქრაძის ასეულმა ჰიტლერებებს სასტიკი ბრძოლა გაუმართა, მებრძოლებს სტიმულს აძლევდა მათი მეთაურის, ქართველი ვაჟუკაცის პირადი გმირობა. მტერი მოგერიებულ იქნა, პარტიზანებს გზა გაეხსნათ.

1943 წლის 19 ივლისს კარპატის რეიდის დროს, როცა სოფელ როსილნთან ესესელებმა პარტიზანებს გზა გადაუღობეს, ბაქრაძემ ბრძანება მიიღო, სოფლისათვის სამი ასეულით შეეტია. დამით შევიდნენ სოფელში. ხელყუმბარებით, ავტომატის ცეცხლითა და ხელჩართული ბრძოლით პარტიზანებმა 200 ჰიტლერები გაანადგურეს. გზა კარპატებში გაიხსნა.

კარპატებიდან გამოსვლის დროს ბაქრაძე და მისი ჯგუფი მტერმა 21-ჯერ მოიცია ალყაში, მაგრამ ისინი ყველობის ახერხებდნენ მისგან თავის დაღწევას.

შემდეგ იყო პარტიზანთა პირველი უკრაინული დივიზიის რეიდი დასავლეთ ბუგის იქით და პოლონეთის აღმოსავლეთ რაიონებში. ამ რეიდში ბაქრაძე მეთაურობდა ს. რუდნევის სახელობის ბოლეს და თავი ისახელა, როგორც უნარიანმა მეთაურმა. მტრის ზურგში პარტიზანული მოძრაობა ეხმარებოდა საბჭოთა

ჯარისკაცებს წარმატებული საბრძოლო მარცვალის განხორციელებაში. ხდებოდა ასეც: დააპყრობდნენ რა ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტს პარტიზანები, მეორე ან მესამე დღეს გადასცემდნენ მას წითელი არმიის რეგულარულ ნაწილებს. პარტიზანთა პოლკმა და ბაქრაძის მეთაურობით დაიკავა მდ. ნემაზზე გადასასვლელი ხიდი და იცავდა მას ფაშისტი დამპყრობლებისაგან საბჭოთა ნაწილების მისვლამდე.

მხოლოდ ორი რეიდის დროს და ბაქრაძის პოლკმა გაანადგურა მოწინააღმდეგის 1500 ჯარისკაცი და ოფიცერი, 4 ორთქლმავალი, 105 აერტომანქანა და ტანკი; მეთაური ასე ახასიათებდა დ. ბაქრაძეს სსრ კავშირის გმირის წოდების მისანიჭებლად წარდგენილ დასაჯილდოებულ ფურცელში: „დავით ილიას ძე ბაქრაძე ქვემების მეთაურობიდან პოლკის მეთაურამდე გაიზარდა. მისი პოლკი ყოველთვის მენინავე იყო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 1944 წლის 7 აგვისტოს განსაკუთრებულად გაბედული მოქმედებისათვის მას მიენიჭა სსრ გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

1945 წლიდან პოდპოლკოვნიკი ბაქრაძე თადარიგშია. ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქში, მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო საბჭოთა და სამეურნეო თანამდებობაზე. 1965 წლიდან საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქმარმარილოს“ მმართველი გახლდათ. იყო სსრ და III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1946-1954 წლებში; ხოლო 1954-1958 წწ. — საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ავტორიის წიგნებისა: „გმირთა სისხლით“ (1950), „ძველ გზებსა და ბილიკებზე“ (1965), „ლეგენდარული რეიდი“ (1968).

დავით ბაქრაძე გარდაიცვალა 1977 წელს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე. გმირის სახელი ეწოდა თბილისის ერთ-ერთ ქუჩაშა.

იგი დაჯილდოებული იყო ლენინის 5, სამამულო ომის I ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მრავალი მედლით, აგრეთვე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის „ვირტუტი მილიტარის“ პირველი ხარისხის ორდენით.

**დეა სვანიძე**





## ■ მაღლობა გახსნებისთვის



ევაკუაციისას დამუშავდ სანატორიუმი „მიგრაცია“ მედიარსონალი. გადაღებულია 1945 წლის 10 ივლისს

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს მთლიანად ომში დალუპულთა, დაჭრილთა და დატყვევებულთა 73%. სწორედ აქ განადგურდა ვერმახტის საბრძოლო ტექნიკის ძირითადი ნაწილი: 70 ათასზე მეტი (75%-ზე მეტი) თვითმფრინავი, დაახლოებით 50 ათასი (75%-მდე) ტანკი და შეტევის იარაღი, 167 ათასი (74%) საარტილერიო იარაღი, 2,5 ათასზე მეტი საბრძოლო ხომალდი, ტრანსპორტი და დამხმარე ხომალდი.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ისტორიაში იქამდე არნაბული ბრძოლები გაიმართა. პირველი დღეებიდანვე ფრონტის ხაზი 4 ათას კმ-ზე გაიშალა, ხოლო 1942 წლის შემოდგომაზე ფრონტი 6 ათას კმ-ს გადააჭარბა. მთლიანად საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი ოთხჯერ აღემატებოდა ჩრდილოაფრიკულს, იტალიურსა და დასავლეთევროპულს, ერთად აღებულს. იმ ტერიტორიის სილომე, რომელზეც მიღიოდა საომარი მოქმედებები, შეიძლება ვიმსჯელოთ იმ მანძილის მიხედვით, რომელიც საბჭოთა ჯარებმა სტალინგრადიდან ბერლინამდე, პრალიდან ვენამდე, ანუ 2,5 ათასი კმ გაიარეს. ფაშისტი დამპყრობლებისაგან გათავისუფლებული იქნა არა მარტო 1,9 მლნ კვ. კმ. საბჭოთა მინა, ასევე ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიის 1 მლნ კვ. კმ. ფართობიც.

საბჭოთა მეომრები გმირობისა და მამაცობის არნაბულ მაგალითებს იძლეოდნენ, მათ თავდადებას თავისებური თავდაუზოგავი შრომით პასუხობდნენ მედიკოსები; დაჭრილთა სამსახურში მდგომი ჰოსპიტლების თეთრხალათიანებმა არ იცოდ-

ნენ, რა იყო დაღლა. მათი მცირე ნანილი — წყალტუბოელი მედიკოსები ჩვენმა უურნალმა დიადი გამარჯვების დღესთან დაკავშირებით გაიხსნა; პასუხად კი (ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად) აი, ასეთი სამადლობელი ბარათი მივიღეთ:



„წყალტუბოს მედიკოს ვეტერანთა სახელით მადლობას ვუძიდი უურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ რედაქციასა და წერილის ავტორს დარეჯან ანდრიაძეს №4(6) უურნალში გამოქვეყნებული წერილისთვის: „კურორტი წყალტუბო მოის წლებში“.

იმ ავადმოსაგონარ წლებში მევმუშაობდი ევაკუ ჰოსპიტალ №24-52-ში (შემდგომში სანატორიუმი „მეგობრობა“). ჩემთვის დაუკინარია ის პერიოდი:

ახალგაზრდა მედიკოსებს, მთელი დღის განმავლობაში დაჭრილთა მოვლით გადაღლილებს, ცოტახნით რომ ჩაგვეძინებოდა, ჩაგვესმოდა ხმამალალი სიტყვები: „ეშელონ... ეშელონ“. ეს იყო ჰოსპიტლის სანიტრის — სამსახურის ხმა. წამოვცვივდებოდით და გავრბოდით ჰოსპიტლის „სან. პროპუსნიკ“

ში“, სადაც რეინიგზის ვაგზალზე შემოსული ეშელონის ვაგონებიდან დაჭრილი ჯარისკაცები მოჰყავდათ. თითოეულ მათგანში მე ვედავდი ფრონტზე მყოფ ძმას — ვალოდია ბაზაძეს (20 წლის დაიღუპა 1943 წ. 27 აგვისტოს).

„პროპუსნიკში“ ჭრილობების დამუშავების შემდეგ დაჭრილები პალატებში გადაგვეყვადა და იქაც არ ვაკლებდით მზრუნველობას.

იმედია, თაობები არ დაივიწყებენ სამამულო მოში დალუპულთა საფლავებს.

გიგზავნით ჩვენი ჰოსპიტლის (№24-52-ის) მაშინდელი თანამშრომლების ფოტოსურათს. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ.

**პატივისცემით,**  
ომისა და შრომის ვეტერანი  
გოგუცა ბაზაძე“

# 2008 წლის აგვისტოს ომი: კოლეგიალური, ეკონომიკური და სელიარ-მორალური გადაბეჭდი

ამონარიდები ევროპავშირის ეგიდით შექმნილი საერთო კუსეთის 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტის მიზანზების დამდგრანი საგამოძიებო კომისიის დასკვიდან:

2) 2008 წლის 7-8 აგვისტოს საერთო კუსეთის არტილერიამ იერიში განახორციელა ქალაქ ცხინვალზე. ქართული შეიარაღებული ძალების სხვა ქმედებები ცხინვალის რეგიონისა და მისი შემოგარენის მიმართულებით კი მომზადების ფაზაში იყო; მალე ბრძოლაში ჩაება რუსეთის, სამხრეთ კუსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ელემენტები. დღიდანს არ გაგრძელებულა ქართულების ნარმატება სამხრეთ კუსეთში, იგი მალევე შეაჩერა კონტრიერიშზე ნამოსულმა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა...

3) ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვა 2008 წლის 7-8 აგვისტოს ლამეს საქართველოში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების აღმნიშვნელი იყო, თუმცა იგი იყო ხანგრძლივი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაციის წერტილი.

14) ლია საომარი მოქმედები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგრენის მიმართულებით 2008 წლის 7-8 აგვისტოს ლამეს. ოპერაციები დაიწყო ქართული არტილერიის ერთიანი შეტევით. ოპერაციის დასაწყისში ქართული კონფინგრენტის სამშვიდობო ძალების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ ეს ოპერაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ კუსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას.

აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების ორი წლისთვის დაკავშირებით, 5 აგვისტოს არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თაოსნობით გამართულმა კონფერენციამ თემაზე „2008 წლის აგვისტოს ომი: პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერ-მორალური შედეგები“ ქართველი ექსპერტების, უფლებადადამცველების, უურნალისტების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნარმომადგენლებისა და, ბუნებრივია, კონფლიქტის რეგიონიდან დევნილების დიდი ინტერესი გამოიწვია. ნარმოდგენილი იყო, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ მიერ მომზადებული ბროშურა, რომელშიც გაანალიზებულია საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო პოლიტიკა.



კონფერენციის მონაწილეებმა განიხილა ის პროცესები, რამაც მიგვიყვანა ომადე და მის ტრაგიკულ შედეგებამდე; შეაფასეს საერთო კუსეთის ხელისუფლების არაადეკვატური მოქმედებები და გადაწყვეტილებები, რასაც ათეულობით სოფლის დაკარგვა და ათეულათასობით ადამიანის საკუთარი სახლ-კარიდან გამოძევება მოჰყვა.

აგვისტოს ომის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე მსჯელობისას საუბრის მთავარი თემა იყო საქართველოს მარგინალიზაცია საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც შედეგად მოჰყვა პრეზიდენტ სააკაშვილის დანაშაულს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ; მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება კონფლიქტის შემდგომ პერიოდ-

ში, ხალხის იმედგაცრუება და საერთო კუსეთის სახელმწოდოებრიობის მომავლისადმი ეჭვის გაჩენა; აშშ-ის ხელისუფლების ნეგატიური როლი სააკაშვილის წაქეზებაში ომის დასაწყებად და მართლმადიდებლურ რუსეთთან ტრადიციული ურთიერთობების სანაცვლოდ დასავლეთზე ანგარიშმიუცემელი ორიენტაციის პოლიტიკური და ეკონომიკური უპერსპექტივობა. ცხინვალზე თავდასხმის სულიერი და ზნეობრივი შედეგები კიდევ დიდან იქნება განსჯის საგანი, თუმცა კონფერენციაზე ნათლად ითქვა, რომ ამ ომშა, უპირველესად, უდიდესი ზიანი მიაყენა სულიერბას, რადგან იგი გლობალისტური ძალების სტრატეგიის ნაწილი იყო მართლმადიდებლური სამყაროს

შესასუსტებლად და დასანაწევრებლად.

ამიტომ დიალოგის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს „ამერიკული ფასეულობების“ ჯიუტი პროპაგანდისა და მათი თავსმოხვევის სასწრაფო შეწყვეტის აუცილებლობაზე ქართული საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი და მსოფლიშედველობრივი საფუძვლების გადასარჩენად, რუს, აფხაზ და ოს ხალხებთან ტრადიციული ძმური ურთიერთობების ალლეგენა-შენარჩუნებისთვის; აღინიშნა ქართველი მართლმადიდებელი ერის გადასარჩენად მართლმადიდებელ რუს ხალხთან დაახლოების უალტერნატივის შესახებაც.

კონფერენცია გახსნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ, რომელმაც აღნიშნა:

„საქართველოში ახლა ყველაფერს პრაქტიკულად ამერიკელები აკონტროლებენ და არც არავის ეპარება ეჭვი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ამერიკელთა ნაქეზებით წამოიწყო. ეს ომი იყო ჯონ მაკეინის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური წარმატები, რადგან მისი რეიტინგი საქმაოზე მეტად დაბალი აღმოჩნდა, რაც არჩევნების საბოლოო შედეგება დაადასტურა კიდეც. ვერც ჩვენ მოვიგეთ ვერაფერი ამ ომით და ვერც — მაკეინმა, საქართველოში კი დამკვიდრდა წილით, სრული უიმედობა, უპერსპექტივობის განცდა და, რაც მთავარია, ამერიკაში მიაღწია სასურველ მიზანს — ერთმანეთს მტრად გადაჰკიდა მეგობარი ქვეყნები — რუსეთი და საქართველო!“.

ტარიელ გაგნიძემ ხაზი გაუსვა საქართველოში ისტორიის გაყალ-

ბების, ფაქტობრივად, ახალი ისტორიის შექმნის მცდელობას, სადაც რუსეთი ბოროტების საწყისადაა წარმოდგენილი, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნები კი — ამ ბოროტების მსხვერპლად. მან ყურადღება გაამახვილა, აგრეთვე, საქართველოს უძმიმესი დღევანდელობის შეცვლისა და ქვეყანაში მომავლის რჩევის დაბრუნების აუცილებლობაზე.

გორის სუხიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორმა არინა თავაქარაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო დღეს ორი უძლიერესი ქვეყნის იდეოლოგიათა შეჯახების პოლიგონად არის ქცეული, რაც მეტად საფრთხილო საქმეა და დიდ გამჭრიახობას მოითხოვს ჩვენგან. ყოფილი სახალხო დამცველის, პროფესორ ნანა დევდარიანის განცხადებით კი, ჩვენ ახლა არც თვითგვემში უნდა ვპოვოთ შვება და არც სხვაგან უნდა ვეძებოთ დამნაშავე. იგი დიდი სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს: „თუ რუსებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, გამორიცხული არ არის, იმაზე მძიმე დარტყმები მივიღოთ, ვიდრე ავგვისტოს ომი იყო...“

გაზეთ „ილორის“ მთავარმა რედაქტორმა როლანდ ჯალალანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ ავბედითი ომის დაწყების დღიდან ორი წლის შემდეგაც კი მასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი ჯერაც იდუმალებით არის მოცული. მისი აზრით, ჭეშმარიტების დასადგენად უნდა შეიქმნას საქართველო-რუსეთის ერთობლივი კომისია, რომელიც ორივე მხრიდან პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბდება სახელისუფლო და ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან.

**ამონარიდები რონალდ ასაუ-სის ნიგილან „მცირე მომ, რომ ველმაც მსოფლიო შეპრა“**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაიწყო ის ომი, რომლის არ დაწყებაზეც მას მისი მოკავშირეები აფრთხილებდნენ; ომი, რომლის დაწყების შემთხვევაშიც ისინი მას არ დაეხმარებოდნენ; ომი, რომელსაც ის ვერ მოიგებდა. საქართველოს შეიარაღებული ძალები გაგზავნეს იმ ბრძოლაში რუსეთის არმიის წინააღმდეგ, რომლისთვის ისინი სათანადოდ არც აღჭურვილნი და არც განვრთნილნი არ იყვნენ (გვ. 11).

როდესაც ომი დაიწყო აგვისტოს დასაწყისში, ჩრდილოატლანტიკური საბჭო (ნატო) მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა და განცხადება გააკეთა. გენერალურმა მდივანმა იააპ დეპოსტერება თავისი საზაფხულო ვიზიტი მხოლოდ ერთი დღით შეწყვიტა. რაც შეეხება ევროპაში ნატოს გაერთიანებული ჯარების (SACUER) მთავარსარდალს, თავიც კი არ შეუწუხებია, შეეწყვიტა საკუთარი შვებულება. ნატოს სამხედრო კომიტეტმა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა შეკრება, როცა საომარი მოქმედებები შეწყდა (გვ. 145).

ამ დროისთვის, დამღლელი დღით გათანგული სარკოზი სულ უფრო და უფრო გალიზიანებული და მოუთმენელი ჩანდა. ის მაღალ ტონებზე დაბეჯითებით მოითხოვდა ქართველებისგან, ხელი მოეწერათ დოკუმენტზე — „სად არის ბუში? სად არიან ამერიკელები?“ — ეკითხებოდა ქართულ დელეგაციას — „ისინი არ მოღიან თქვენს გადასარჩენად. არც ერთი ევროპელი არ მოდის. თქვენ მარტონი ხართ. თუ ხელს არ მოაწერთ, რუსული ტანკები მალე აქიქნებიან“ (გვ. 206).





**ამონარიდები ევროპავშირის ეგიდით შექმნილი საძართველო-რუსეთის 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტის მიზანების დამდგენი საგამოყიებო კომისიის დასკნიდა:**

26) კომისიამ დამტკიცა, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ — ქართულმა, რუსულმა და სამხრეთ ოსეთისამ — დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონი და ადამიანთა უფლებები. უმეტესწილად ეს ჩაიდინეს სამხრეთ ოსეთის არარეგულარულმა შეიძლებულმა ჯგუფებმა, მოხალისეთუ დაქირავებულმა შეიძლებულმა ინდივიდუებმა, თუმცა ძნელია დარღვევაზე პასუხისმგებელი მხარისა და დამნაშავეთა დაგენა... მათი უმრავლესობა, ნიშანთვისებების მიხედვით, სამხედრო დანაშაულს განეკუთვნება.

